შესავალი

ნაშრომი დასრულებული გვქონდა, როდესაც მსოფლიოს მოედო ცნობა: 2003 წლის 17 აპრილს საბერძნეთის დედაქალაქ ათენში უძველესი აკროპოლის სიახლოვეს შეიკრიბნენ ,,ძველი'' და ,,ახალი'' ევროპის ლიდერები და ევროკავშირის შემდგომი განვითარება-გაფართოების თაობაზე მიიღეს გადაწყვეტილება. ამ დოკუმენტის საფუძველზე, რომელიც 4.9 ათას გვერდზე მეტს შეიცავს, 2004 წლის 1 მაისიდან ევროკავშირის შემადგენლობაში ავსტრიის, ბელგიის, დანიის, ფინეთის, საფრანგეთის, საბერძნეთის, ესპანეთის, ნიდერლანდების, ირლანდიის, ლუქსემბურგის, გერმანიის, პორტუგალიის, შვედეთის, დიდი ბრიტანეთის და იტალიის გვერდით ვიხილავთ ახალ სახელმწიფოებს: კვიპროსს, ჩეხეთს, ესტონეთს, ლიტვას, ლატვიას, მალტას, პოლონეთს, სლოვაკეთს, სლოვენიას და უნგრეთს.

შედეგად, თუ ადრინდელი ევროკავშირის ფართობი 3191100 კვ. კილომეტრს შეადგენდა, ახლა მისი საერთო ფართობი 738592 კვ. კილომეტრით გაიზარდა.

შესაბამისად გაიზარდა მისი მოსახლეობაც. კერძოდ, თუ ადრე ევროკავშირში ცხოვრობდა 376 მლნ 459 ათასი ადამიანი, ახლა კავშირის მოსახლეობა 76 მლნ 13 ათასი კაცით არის გაზრდილი.

ევროკავშირის ახალი წევრების შემადგენლობა განსხვავდება იმ შემადგენლობისაგან, რომლებიც ჩვენ, გარკვეული წყაროების საფუძველზე გვეგონა, რომ ამ ეტაპზე იღებდნენ კავშირში. კერძოდ, კავშირში მიღებაზე დროებით უარი უთხრეს ბულგარეთსა და რუმინეთს, სამაგიეროდ მიიღეს მალტა.

მიუხედავად ამისა, ჩვენ ორი მიზეზის გამო ნაშრომში ამ მხრივ არავითარი შესწორება არ შეგვიტანია. პირველი არის ის, რომ ნაშრომი უკვე დასრულებული გვქონდა და მეორეც, როგორც ათენის სამიტზე განაცხადეს ,,ბებერი'' ევროპის ლიდერებმა, ამ ორ ქვეყანას, ანუ ბულგარეთსა და რუმინეთს, 2007 წელს მიიღებენ კავშირში.

ის უმთავრესი ღირებულებები, რომლებიც ევროპის ქვეყნებს აერთიანებთ და რომელთა შესახებაც ისაუბრა სამიტზე თავის გამოსვლაში დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ტონი ბლერმა, არის თავისუფლება, დემოკრატია, კანონის უზენაესობა, სოლიდარობა და ა. შ.

ეს, რაც შეეხება საერთო პოლიტიკურ ღირებულებებს.

ახლა გვინდა ორიოდე სიტყვა ვთქვათ იმ უმთავრეს ეკონომიკურ ბერკეტზე,

რომელიც გარდა პოლიტიკურისა, კავშირის წევრ ქვეყნებს აერთიანებთ. უწინარეს ყოვლისა, ეს არის მისი საერთო ბიუჯეტი. იგი ნაწილობრივ შედგება დღგ-საგან, ევროკავშირის ქვეყნებში იმპორტირებული პროდუქციის საბაჟო გადასახადისა და ასევე სპეციალური საწევრო გადასახადისაგან, რომელსაც კავშირის წევრი ქვეყნები იხდიან და რომელიც მათ მიერ წარმოებული მთლიანი შიდა პროდუქტის პროპორციულად დგინდება. აქვე აღსანიშნავია, რომ ამ ბიუჯეტის უდიდეს ნაწილს ,,შთანთქავს'' სოფლის მეურნეობა. ეს ნაწილი კი, მაგალითად, 80-იან წლებში ევროკავშირის ბიუჯეტის თითქმის 2/3-ს შეადგენდა. ახლა ამ მიზნით კავშირის

ბიუჯეტის თითქმის ნახევარი იხარჯება. ევროკავშირის ფერმერები კავშირის ბიუჯეტიდან იღებენ სოლიდურ სახსრებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტისათვის, მის საერთოდ, საწარმოებლად და ხშირ შემთხვევაში მის ,,არსაწარმოებლადაც'', რადგან მათ იმისათვისაც კი უხდიან, თუ არაფერს არ აწარმოებენ და მიწებს ,,დაასვენებენ''.

კავშირის ბიუჯეტის ხარჯებში საკმაოდ თვალსაჩინო ხვედრითი წილით არის ასევე წარმოდგენილი მოსახლეობის ღარიბი ფენებისათვის დახმარება, ჩამორჩენილი რეგიონების განვითარების პროგრამები და ა. შ. ამ მიზნით იხარჯება ბიუჯეტის დაახლეობით ერთი მესამედი.

§1. ევროკავშირში გაერთიანების ზოგიერთი წინაპირობა

დღევანდელ მსოფლიოში იზოლირებულად (ავტარკიულად) ცხოვრება ნებისმიერი სახელმწიფოსათვის ყოველმხრივ მიუღებელია. ეს მით უფრო უპერსპექტიოა ისეთი პატარა ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა. ამიტომ აუცილებელია, რომ ჩვენმა ქვეყანამ, გვინდა თუ არა ეს, არა მხოლოდ მჭიდრო ეკონომიკური კავშირები დაამყაროს სხვა ქვეყნებთან, არამედ რომელიმე მსხვილ სავაჭრო - ეკონომიკურ გაერთიანებაშიც უნდა გაწევრიანდეს და მის განვითარებას აუწყოს ფეხი.

თუმცა ეს იმას როდი ნიშნავს, რომ სხვა ქვეყნებთან, განსაკუთრებით რუსეთთან, ეკონომიკური კავშირურთიერთობების ინტენსიურობა შევანელოთ ან, მით უმეტეს, ამ ქვეყნის ბაზარზე წინა საუკუნეში უკვე მოპოვებული ,,ნიშა'' დავკარგოთ.

დღეისათვის მსოფლიოში სამი ძირითადი, მსხვილი სავაჭრო - ეკონომიკური გაერთიანება მოქმედებს. ერთი მათგანი არის ამერიკის კონტინენტზე, სადაც წამყვანი სახელმწიფოს, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ,,ლოკომოტივის'' როლს შეერთებული შტატები ასრულებს (თავისუფალი ვაჭრობის პანამერიკული ზონა -

FTAA); მეორე სავაჭრო - ეკონომიკური გაერთიანება არსებობს აღმოსავლეთ აზიაში – ეკონომიკური თანამშრომლობის აზია-წყნარი ოკეანის ორგანიზაცია, სადაც ლიდერის როლში ჯერჯერობით იაპონია გვევლინება და ბოლოს, ევროპის

ეკონომიკური გაერთიანება ანუ ევროკავშირი (EC).

თითოეულ აღნიშნულ ზონაზე მოდის მსოფლიოში წარმოებული მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) დაახლოებით ერთი მეოთხედი.

თუმცა, ზოგიერთი თანამედროვე ექსპერტი მაინც და მაინც დიდსა და გადამწყვეტ მნიშვნელობას არ ანიჭებს გეოპოლიტიკურ ფაქტორს და არ მიაჩნია იგი ხელის შემშლელ თუ, პირიქით, ხელის შემწყობად ქვეყნის ამა თუ სავაჭრო - ეკონომიკურ ბლოკში გაერთიანებისათვის.

მაგალითად, ვლადიმერ ვიდემანი თავის წერილში ,,ფანჯარა ევროპაში თუ კარები ამერიკაში'', რომელიც ყოველკვირეულ რუსულ ჟურნალ ,,ექსპერტში'' დაიბეჭდა 2003 წლის 10 მარტს, შემდეგ კითხვას სვამს: რუსეთი თავისი ისტორიის მანძილზე იყო როგორც ევროპული, ისე აზიური და ასევე ევრაზიული სახელმწიფო, რა უშლის მას ხელს, რომ ევროამერიკული გახდეს? და ავტორს ამ კითხვაზე დადებითი პასუხის გასაცემად უამრავი არგუმენტი მოჰყავს.

მიუხედავად ამგვარი თეორიული მიდგომებისა, ჩვენ მაინც ვფიქრობთ, რომ თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო საქართველოს მომავალი ევროკავშირშია საძიებელი.

ამჟამად ევროკავშირში ცხოვრობს 320 მილიონამდე ადამიანი. იმ ქვეყნის კავშირში გაწევრიანების შემდეგ, რომლებიც მისი წევრობის კანდიდატებად მოიაზრებიან, - ანუ ბულგარეთის, კვიპროსის, ჩეხეთის რესპუბლიკის, მალტის, ესტონეთის, უნგრეთის, ლატვიის, ლიტვის, პოლონეთის, რუმინეთის, სლოვენიის და სლოვაკეთის გაწევრიანების შემდეგ, ევროკავშირის მცხოვრებთა რიცხოვნობა ნახევარ მილიარდს გადააჭარბებს.

ცხადია, ასეთ სიტუაციაში, საინტერესოა გავეცნოთ ამ ქვეყნებში მიღწეულ ეკონომიკურ მდგომარეობას, რომელზე დაყრდნობით და რომლის გათვალისწინებითაც ევროკავშირი ამ ქვეყნებს თავის რიგებში მიიღებს. სწორედ ამ მიზნით შევისწავლეთ აღნიშნული კანდიდატი ქვეყნების ეროვნული მეურნეობის განვითარების ძირითადი პარამეტრები და საქართველოსთან გარკვეული პარალელების გავლებაც ვცადეთ. ამასთან, შეძლებისდაგვარად ვცდილობდით ისინი ჩვენ ქვეყანაში არსებული ძირითადი ეკონომიკური პარამეტრებისათვის დაგვეკავშირებინა, რათა გვეჩვენებინა, თუ საით უნდა წავიდეს საქართველოს ეროვნული მეურნეობის განვითარების ვექტორი.

თუმცა აქვე აუცილებელია გავეცნოთ და შეძლებისდაგვარად გავითვალისწინოთ კიდეც ისიც, თუ რა სახის შეხედულებები გამოითქმება

ევროკავშირის ქვეყნებში კავშირის შემდგომ გაფართოებასთან დაკავშირებით.

ვფიქრობთ, ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა გერმანელთა აზრები და გუნება-განწყობილება, რომელსაც ევროკავშირის შემდგომი გაზრდა - გაფართოება იწვევს. გერმანია ხომ ის ქვეყანაა, რომლის წინადადებითა და ინიციატივითაც შეიქმნა ევროკავშირი და, მეორეს მხრივ, იგი უდიდეს მაკავშირებელ როლს (პოლიტიკური, ფინანსური და ა. შ.) თამაშობს ამ კავშირში. ცხადია, კავშირის თერთმეტი ახალი კანდიდატით გაზრდა, უპირველეს ყოვლისა, მის ინტერესებს ეხება. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა გერმანელ ბიზნესმენთა შეხედულებები.

ევროკავშირის ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებით გაფართოება გერმანელ ბიზნესმენთათვის ახალი წარმატებების მომტანი რომ იქნება, ამ უკანასკნელთ ამაში ოდნავი ეჭვიც არ ეპარებათ. მაგალითად, გავლენიანი გერმანიის მრეწველთა კავშირის (გმკ) განცხადებით, ეს არის ,,სერიოზული პროექტი, რომელიც მთელი კონტინენტისათვის ნათელ მომავალს სახავს''. კავშირის პერსპექტიულობის

შესახებ განცხადება გააკეთა აგრეთვე ქვეყნის სავაჭრო-სამრეწველო პალატამ (სსპ), რომელმაც ხაზი გაუსვა იმ დიდ ორმხრივ სარგებელს, რომელიც კონტინენტის ქვეყნებმა ნახეს აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ეროვნული მეურნეობების გახსნით. ეს სარგებელი განსაკუთრებით თვალში საცემია თავად გერმანიისათვის, რომლის საგარეო ეკონომიკური კავშირურთიერთობის 10%-ზე მეტი სწორედ ამ რეგიონის ქვეყნებზე მოდის. აღნიშნული რეგიონიდან ევროკავშირის სავაჭრო საქონელბრუნვის 40%-ზე მეტი სწორედ გერმანიის გავლით ხორციელდება.

მიუხედავად ყოველივე ამისა, გერმანელ ბიზნესმენებში ევროკავშირის გაფართოება ეიფორიას როდი იწვევს. პირიქით, ამ ფაქტის გამო ისინი გარკვეულწილად შეშფოთებულიც კი არიან და მოითხოვენ, რომ კავშირის გაფაროების ტემპებზე მეტად მისი მოსამზადებელი სამუშაოების წარმართვის ხარისხის ამაღლების ტემპები უნდა დაჩქარდეს. ეს, უწინარეს ყოვლისა, ნიშნავს კანდიდატი ქვეყნების მიერ სრულყოფილი სამართლებრივი ბაზის შექმნას, განსაკუთრებით ბაზარზე კონკურენციული პირობების დაცვის მიმართულებით. სხვა შემთხვევაში, როგორც ამას აცხადებს გკმ, კავშირის საერთო ბაზარს დაშლა ემუქრება. გერმანელ მრეწველთა აზრით, ამ სფეროში გამონაკლისი არ შეიძლება არსებობდეს. გერმანელი მრეწველები, სამართლებრივი ბაზის შექმნასთან ერთად, მეტად საშურ საქმედ მიიჩნევენ ისეთი ეფექტური სტრუქტურების შექმნას, რომლებიც შეძლებენ კანონების დაცვას და მიღებული კანონების დარღვევის ყოველ მცდელობას მაქსიმალურად აღმოფხვრიან (ცნობისათვის: კანდიდატმა ქვეყნებმა კავშირში გაერთიანებამდე თავიანთ კანონმდებლობაში აუცილებლად უნდა დანერგონ კავშირის ძირითადი ნორმები და კანონები. მათ შორის, მაასტრიხტის ხელშეკრულების მოთხოვნები, რომელიც ითვალისწინებს მკაცრ საბიუჯეტო დისციპლინას, ინფლაციის დაბალ დონეს, მტკიცე სავალუტო კურსს და ა. შ.).

სავაჭრო-სამრეწველო პალატის ექსპერტი ჰორსტენ კლეტი აფრთხილებს კანდიდატ ქვეყნებს, რომ კანონების მიღებასთან ერთად, მათი ქმედითუნარიანობის მისაღწევად, შესაბამისი ბერკეტების შემუშავებასაც მიაქციონ ყურადღება. წინააღმდეგ შემთხვევაში სახელმწიფო მოხელეები და სასამართლო ორგანოები აღნიშნულ კანონებს ვერ გამოიყენებენ ცხოვრებაში და ვერ განახორციელებენ მასზე კონტროლს.

გერმანელ ბიზნესმენებს განსაკუთრებით აფიქრებთ ის ამბავი, რომ მათი მეზობელი ქვეყნები კავშირში გაერთიანების შემდეგ, კონკურენციულ ბრძოლაში გამოიყენებენ დემპინგურ პოლიტიკას, განსაკუთრებით, შრომის ანაზღაურების, სოციალურ თუ ეკოლოგიურ სფეროში. ამიტომ ისინი მოითხოვენ, რომ კავშირში შესვლამდე კანდიდატმა ქვეყნებმა სხვა თუ არაფერი, ეკოლოგიური სტანდარტები მაინც უნდა გაზარდონ. გარდა ამისა, გერმანელთა პრეტენზიები ეხება კანდიდატ ქვეყნებში ინტელექტუალური საკუთრებისა და სასაქონლო ნიშნების დაცვის ეფექტურობის ამაღლებას. ისინი არ ეთანხმებიან კანდიდატი ქვეყნების მხრიდან მოთხოვნას რაიმე გარდამავალი პერიოდის დაცვის შესახებ.

ამასთან, გერმანელ ბიზნესმენებს სრულიადაც არ აწუხებთ კანდიდატი ქვეყნების ბრიუსელთან შესათანხმებელი ერთ-ერთი ყველაზე საკამათო საკითხი, რომელიც სამუშაო ძალის თავისუფალ გადაადგილებას ეხება. ,,გპს-ს არ აშინებს მიგრაციული ნაკადები კავშირის გაფართოების შემდეგ, კულტურული და ენობრივი ბარიერები. ამასთან, შრომის ბაზრის არაელასტიკური მდგომარეობა ბუნებრივად შეზღუდავს იმიგრაციას. მეორეს მხრივ, იმიგრაციამ შესაძლოა გარკვეული სარგებლობა მოიტანოს კვალიფიციური კადრების შემოდინების სახით'' – განაცხადა ქვეყნის სსპ-ს ხელმძღვანელობამ. გპს-ის ეს განცხადება ჩადებულია მის მიერ მომზადებულ და 2000 წლის მაისის დასაწყისში გამოქვეყნებულ დოკუმენტში ,,ევროპა 2000 პლუს''. ,,ეს რაიმე სერიოზულს ვერ შეგვიქმნის, თუმცა დასჭირდება გარკვეული დარეგულირება'' – ნათქვამია დოკუმენტში.

ამ საკითხზე სრულიად განსხვავებული აზრი აქვთ დამქირავებელთა და მრეწველთა კავშირს (დმკ). კერძოდ, მათ მიაჩნიათ, რომ ევროპის შრომის ბაზარი მხოლოდ მაშინ შეიძლება გაიხსნას, როდესაც ახალი ქვეყნები სრულად მიიღებენ დასავლეთ ევროპელთა სოციალურ ნორმატივებს. ეს, ერთი მხრივ, ეხება მუშაკთა უსაფრთხოებას, ხოლო მეორეს მხრივ, თავისუფალსა და პატიოსან კონკურენციას. ზოგიერთი ექსპერტის აზრით, ევროპის შრომის ბაზარი უნდა გაიხსნას ეტაპობრივად და დიდი სიფრთხილით. ამასთან, ცალკეული რეგიონებისა და დარგების მიხედვით.

ამავდროულად, გერმანელი ბიზნესმენები გამოთქვამენ ერთგვარ სურვილს,

დახმარება გაუწიონ კანდიდატ ქვეყნებს, რათა მათ საკუთარი ეკონომიკის საკანონმდებლო და ნორმატიული ბაზა მოკლე დროში შეუსაბამონ ევროკავშირის მოთხოვნებს. მაგალითად, გსსპ მოითხოვს, რომ ამ ქვეყნების სასოფლო-სამეურნეო პროდუქციისათვის სრულად გაიხსნას ევროპის ბაზრები. ამასთან, გერმანელ ბიზნესმენებს მოუწოდებს კაპიტალი დააბანდონ ამ რეგიონის ქვეყნების განვითარების მიზნით.

ყოველივე ზემოთ თქმულის მიუხედავად, გერმენალი ბიზნესმენები არ თანხმდებიან კანდიდატი ქვეყნების მოკლე დროში ევროკავშირში გაწევრიანებას. მაგალითად, გსსპ-ს მიაჩნია, რომ პირველი ჯგუფის ქვეყნები – უნგრეთი და სლოვენია 2004 წელს უნდა იქნან მიღებული კავშირში, პოლონეთი – 2005 წელს, ჩეხეთი და ესტონეთი – 2006 წელს, ხოლო დანარჩენი კანდიდატი ქვეყნები მხოლოდ ამის შემდეგ.

,,ეს თარიღები კანდიდატი ქვეყნების ეკონომიკაზე ჩვენი დაკვირვების შედეგად გამომდინარეობს'', - აცხადებს პალატის ექსპერტი ფრანც სხორესი. კითხვაზე, თუ რატომ აკეთებენ გერმენელი ბიზნესმენები ასეთ აქცენტს კანდიდატების კავშირში გაწევრიანების ვადებზე, სხორესმა უპასუხა: ,,ამ თარიღების ცოდნა წარმოების დასაგეგმად გვჭირდება''.

მიუხედავად გერმანიაში და არა მხოლოდ აქ, არსებული გარკვეული წინააღმდეგობისა კავშირის შემდგომი გაფართოების თაობაზე, ჩვენ ყველა საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ კანდიდატ ქვეყნებს მოკლე ხანში ევროკავშირის წევრებად ვიხილავთ.

§2. კანდიდატი ქვეყნების ძირითადი სოციალურ-ეკონომიკური მახასიათებლები

ახლა ალბათ საინტერესო იქნება ვნახოთ, თუ რა მდგომარეობაა კანდიდატი ქვეყნების ეროვნულ მეურნეობაში, რა პრობლემები შეექმნათ და რა მიღწევებით შეუძლიათ მათ იამაყონ. შევეცდებით ასევე ზოგიერთი პარალელი გავავლოთ საქართველოსა და მათ შორის.

ზემოთ ნახსენები თერთმეტი ქვეყნის ერთობლივი ტერიტორია შეადგენს 1087557 კვადრატულ კილომეტრს. ამ ქვეყნებიდან ყველაზე დიდ ფართობს ფლობენ: პოლონეთი, - 312685 კვ. კმ., რუმინეთი, -238391 კვ. კმ. და ბულგარეთი, - 110910 კვ.კმ.

მოსახლეობის მაჩვენებლის მიხედვითაც პირველ ადგილზე მოდის პოლონეთი – 38632 ათასი მოსახლე, მეორე ადგილზე რუმინეთი – 22408 ათასი მოსახლე, მესამე ადგილზეა ჩეხეთი – 10224 ათასი მოსახლე. დანარჩენი ქვეყნების მოსახლეობა ასე გამოიყურება: ბულგარეთი – 7952 ათასი მოსახლე, კვიპროსი –793 ათასი,[1] ესტონეთი – 1361 ათასი მოსახლე და ა. შ. (იხ. ცხრილი №1).

ცხრილი №1

კანდიდატი ქვეყნების მახასიათებელი ძირითადი მაჩვენებლები[2]

ქვეყნები	ფართობი, ათ. კმ²	მოსახლეობა, ათ. კაცი	მოსახლეობის სიმჭიდროვე 1 კმ²	2001 წლის მშპ წარმოება, ეროვნულ ვალუტაში, მილიარდი	2001 წლის მშპ წარმოების ტემპები, %-ში	2000 წლის მშპ წარმოება, $-ში, 1 კაცზე	მშპ-ს ზრდა 2000 წლის 1999 წელთან შეფარდებით, %-ში
ბულგარეთი	110910	7952	71.5	29.618	104	1704.9	15.8
კვიპროსი	9251	789	85.7	59	104.1	11630.0	23.5
ჩეხეთი	78866	10224	129	2157.828	103.3	5548.2	5.7
ესტონეთი	45227	1364	30	96.571	105	4 164.7	-
უნგრეთი	93030	10 188	109.4	14876.4	103.8	5 194.1	10.9
ლატვია	64589	2355	36.3	4.759	107.7	3217.8	-
ლიტვა	65300	3481	53.2	48	105.9	3447.3	6.7
პოლონეთი	312685	38641	124	749.3	101	3442.0	10.5
რუმინეთი	238391	22408	93.9	1154126.4	105.3	1771.4	5.2
სლოვენია	20273	1992	98	4566.2	103	9442.9	3.8
სლოვაკეთი	49035	5380	110	969.297	103.3	3803.2	4.7

როგორც ვხედავთ, ევროკავშირში გაერთიანების მსურველ, უფრო სწორედ თითქმის უკვე წევრებს შორის, ყველაზე მჭიდროდ დასახლებულია ჩეხეთი – 129 მკვიდრი ერთ კვადრატულ კილომეტრზე; შემდგომ მოდის პოლონეთი – 124 მკვიდრი და ა. შ. (იხ. ცხრილი №1).

ცნობისათვის: 2001 წელს საქართველოში იწარმოებოდა 3159 მლნ აშშ დოლარის ექვივალენტური მთლიანი შიდა პროდუქტი. ეს შეადგენს ესტონეთში წარმოებული მშპ-ს 55.6% (ამ ქვეყანაზე განსაკუთრებით იმიტომ ვაკეთებთ აქცენტირებას, რომ კანდიდატ ქვეყნებს შორის ყველაზე მცირე მშპ-ს აქ აწარმოებენ, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ შრომის ეფექტურობის მიხედვით ეს ქვეყანა რომელიმე კანდიდატ ქვეყანას ჩამოუვარდება. უბრალოდ იგი თითქმის ყველაზე პატარა ქვეყანაა როგორც მოსახლეობის, ისე ტერიტორიის მხრივ. რადგანაც ესტონეთი ვახსენეთ როგორც ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ქვეყანა ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებს შორის, საინტერესოა მკითხველს გავაცნოთ ზოგიერთი ეკონომიკური მაჩვენებელი, რომელიც ამ ქვეყნის სამეურნეო საქმიანობას ახასიათებს.

საერთაშორისო ორგანიზაცია The Heritage Foundation -ის მიხედვით ესტონეთი მეოთხე ქვეყანაა მსოფლიოში ეკონომიკური თავისუფლების მაჩვენებლის მიხედვით. ქვეყნის ხელისუფლებამ ეროვნულ ეკონომიკაში უკვე 90-იან წლებში ისე რეფორმების გატარება დაიწყო, რომელთაც საერთაშორისო სავალუტო ფონდის ექსპერტებიც კი განცვიფრებაში მოიყვანეს. ეს უკანასკნელნი აფრთხილებდნენ ესტონელ რეფორმატორებს, რომ ასეთ უკიდურეს ღონისძიებებს შეეძლო ქვეყნის ეკონომიკაზე უარყოფითი გავლენა მოეხდინა.

მოხდა კი სრულიად საწინააღმდეგო: ბოლო რამდენიმე წელია ესტონეთში ეკონომიკის ზრდის საშუალო ტემპი 5%-ზე დაბლა არ დაცემულა. ამ უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლით ესტონეთი ყველა ყოფილ საბჭოთა ქვეყანას უსწრებს წინ და უკვე დღეს ესტონეთი წარმოადგენს ნამდვილ სკანდინავიურ ქვეყანას (ესტონელები საკუთარ სამშობლოს არ მიიჩნევენ ბალტიისპირეთის ქვეყნად) სტაბილური ვალუტით, ძალზე ლიბერალური კანონებით, განსაკუთრებით საგარეო ვაჭრობის დარგში და ა. შ. აქ ბიზნესის სფეროში უკვე მაქსიმალურად არის დანერგილი ევროპული სტანდარტები და ამ მხრივ ქვეყანაში პრობლემები თითქმის უკვე აღარ არსებობს.

აქვე გვსურს დავასახელოთ ამ ქვეყნის დამახასიათებელი ზოგიერთი საინტერესო სტატისტიკური მონაცემი;

ქვეყანაში საკმაოდ დაბალ დონეზეა ინფლაცია. კერძოდ, 2002 წლის მეორე კვარტალში ამავე წლის 1 კვარტალთან შედარებით ინფლაცია შეადგენდა 1.4 პროცენტს, ხოლო 2002 წლის 2 კვარტალში წინა წლის 2 კვარტალთან შედარებით ინფლაცია 4.2 პროცენტის ტოლი იყო.

ქვეყანაში საკმაოდ დაბალ დონეზეა მიმდინარე ანგარიშების დეფიციტი. კერძოდ, ამ მაჩვენებელმა 2002 წლის 1 კვარტალში მშპ-თან მიმართებაში მხოლოდ 15 პროცენტი შეადგინა.

ეკონომიკური განვითარების საკმაოდ მაღალი მაჩვენებლები და ამავდროულად ინფლაციის დაბალი დონე საშუალებას აძლევს ესტონურ ოჯახს საკმაოდ მაღალ დონეზე დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნილებები. კერძოდ, აქ ოჯახის ერთ სულზე ნეტო შემოსავალი შეადგენს საშუალოდ 2543 ესტონურ კრონას,

ხოლო ოჯახის ერთ სულის საშუალო ხარჯები (ნეტო) შეადგენს 2511 ესტონურ კრონას.

საგულისხმოა, რომ ესტონეთის ასეთ წარმატებულ ეკონომიკურ განვითარებას საკმაოდ შეუწყო ხელი პროგრესულმა საგადასახადო კანონმა. მაგალითად, აქ დაწესებულია პირდაპირი სავალდებული საშემოსავლო გადასახადი 26 პროცენტის ოდენობით, რომელსაც ყველა დასაქმებული იხდის თავის შემოსავალზე. იურიდიული პირები განთავისუფლებული არიან ამ გადასახადისაგან იმ შემთხვევაში, თუ ისინი ფირმის მიერ მიღებულ მოგებას განვითარებისათვის საჭირო ინვესტიციებში დააბანდებენ. დამქირავებლები იხდიან სოციალურ გადასახადს თვითეულ დასაქმებულზე მათი შრომის ანაზღაურების 33 პროცენტის ოდენობით. ამ თანხების 13 პროცენტი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვაზე იხარჯება.

ესტონეთზე საუბრის დასასრულს უნდა ითქვას შემდეგი: წარმატებულმა ეკონომიკურმა განვითარებამ და მისმა ლოგიკურმა შედეგმა, - საკმაოდ კარგმა ცხოვრების პირობებმა მრავალი სხვა ქვეყნის მოქალაქეს უბიძგა საცხოვრებლად ამ ქვეყანაში გადასულიყო. ამის შესაბამისად ესტონეთის ხელისუფლება იძულებული შეიქმნა გარკვეულად შეეზღუდა იმიგრანტთა ნაკადი. კერძოდ, დღეისათვის აქ სამუშაოდ ჩასულთა რაოდენობა არ უნდა გადააჭარბოს ქვეყნის მუდმივი მოსახლეობის 0.05 პროცენტს. ეს შეზღუდვა არ ეხება ევროკავშირის ქვეყნების, ნორვეგიის, ისლანდიის, შვეიცარიის, აშშ-ს და იაპონიის და ასევე ემიგრაციაში მცხოვრებ ესტონელ მოქალაქეებს. უცხო ქვეყნის მოქალაქეს ესტონეთში მუშაობის უფლება ეძლევა მაქსიმუმ ხუთი წლის ვადით). ამავე წელს საქართველოში ერთ მცხოვრებზე გაანგარიშებით იწარმოებოდა 682 აშშ დოლარი. ეს კი 40 პროცენტია ერთ მცხოვრებზე წარმოებული მშპ-სი ბულგარეთში, ანუ ქვეყანაში, სადაც ანალოგიური მაჩვენებელი კანდიდატი ქვეყნებიდან ყველაზე დაბალია და 7-ჯერ ნაკლები, ვიდრე სლოვენიაში, ანუ იქ, სადაც აღნიშნული მაჩვენებელი აღნიშნული ქვეყნებიდან ყველაზე მაღალია. იმავე ესტონეთის ანალოგიური მაჩვენებელთან მიმართ ჩვენთან არსებული მაჩვენებელი მხოლოდ 16.4 პროცენტს შეადგენს.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოში 2001 წელს 2000 წელთან შედარებით მშპ-ს ზრდა 4.5%-ს შეადგენდა.

ცხრილი № 2

კანდიდატი ქვეყნების ეროვნული მეურნეობის
მახასიათებელი ძირითადი მაჩვენებელები
(გაგრძელება)[3]

კანდიდატი ქვეყნების ძირითადი მახასიათებლები 2001 წლისათვის											
	ბულგარეთი	კვიპროსი	ჩეხეთი	ესტონეთი	უნგრეთი	ლატვია	ლიტვა	პოლონეთი	რუმინეთი	სლოვენია	სლოვაკეთი
სას-სამ. მიწების ხვედ.წილი მთელ ფართობში, %	50	34	54	21	63	38	53	59	62	34	49.7
ქალაქის მოსახლეობა მთელ მოსახლეობაში	69	69	74	67	65	68	67	62	55	-	56.1
ქალების ხვედრითი წილი მთელ მოსახლეობაში	51	51	51	54	53	54	53	51	51	51	51.4
ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა მთელ მოსახლეობაში	48	48	50	59	57	59	45	45	51	49	49.1
ქორწინების რიცხვი 1000 მკვიდრზე	4	15	5.1	4.1	4.3	3.9	4.5	5	5.8	3.5	4.4
განქორწინებები 1000 მკვიდრზე	1.3	1.7	3.1	3.2	2.4	2.4	3.2	1.2	1.4	1.1	1.8
ახალშობილები 1000 მკვიდრზე	8.6	12	8.9	9.3	9.5	8.3	9.1	9.5	9.8	8.8	9.5
გარდაცვალებულები 1000 მკვიდრზე	14	6.9	11	14	13	14	12	9.4	12	9.3	9.7
ბუნებრივი მატება 1000 მკვიდრზე	-6	4.8	-2	-4	-3.4	-6	-2.5	0.1	-2	-0.5	-0.2
მიგრაცია/ემიგრაცია 1000 მკვიდრზე	-	6.6	-1	-	1.3	-2	-0.7	-0.4	-	1.5	0.2
მსუბუქი ავტომობილების რიცხვი 1000 მკვიდრზე	262	399	344	299	244	250	326	272	144	443	240
ფიქსური ტელეფონების რიცხვი 1000 მკვიდრზე	189	448	677	542	488	267	293	249	205	758	399
ბინის ტელეფონების რიცხვი 1000 მკვიდრზე	369	620	376	376	368	308	329	283	180	474	289
ინტერნეტით მოსარგებლ.რიცხოვნობა 1000 მკვიდრზე გაანგარიშებით	17	96	122	43	30	7	68	-	-	70	124

როგორც ცხრილი № 2-დან ჩანს, კანდიდატი ქვეყნების მთელ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებში წარმოებისათვის გამოსადეგ ფართობების ხვედრითი წილი ყველაზე მაღალია უნგრეთში, სადაც ეს მაჩვენებელი 63%-ს შეადგენს, შემდეგ მოდის პოლონეთი და ა.შ.

საქართველში ეს მაჩვენებელი 15%-ს არ აღემატება.

კანდიდატ ქვეყნებში მთელი მოსახლეობიდან ქალაქად ყველაზე მეტი ადამიანი ცხოვრობს ჩეხეთში, - 73.9%, ბულგარეთში, - 69,2%, კვიპროსში, - 69% და ა. შ.

საქართველოში ქალაქად ცხოვრობს მოსახლეობის 57.8 პროცენტი (2000 წლის მონაცემები).

მთელ მოსახლეობაში ქალთა სქესის წარმომადგენლები ყველა აღნიშნულ ქვეყანაში ჭარბობენ მამაკაცებს და მათი ხვედრითი წილი 50.9%-დან კვიპროსში – 54%-მდე ლატვიაში,- მერყეობს.

საქართველოში ქალების ხვედრითი წილი მთელ მოსახლეობაში 52 პროცენტს აჭარბებს.

1000 მოსახლეზე გაანგარიშებით ქორწინების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აღინიშნება კვიპროსში, - 15.1%, რომელიც 4-ჯერ და მეტჯერ აღემატება მინიმალურ ანალოგიურ მაჩვენებელს, რომელიც სლოვენიაშია დაფიქსირებული. თუმცა ისიც

უნდა ითქვას, რომ სამაგიეროდ, ამავე სლოვენიაში 1000 მკვიდრზე გაანგარიშებით განქორწინებათა რიცხვი ყველაზე დაბალია და იგი 1.1-ს შეადგენს. აღნიშნული მაჩვენებელი ყველაზე მაქსიმალურია დაფიქსირებული ესტონეთსა და ლიტვაში და იგი შეადგენს 3.2-ს.

საქართველოში 1000 მცხოვრებზე გაანგარიშებით დაქორწინებულთა რიცხვი 2000 წლისათვის შეადგენდა 2.8-ს, ხოლო განქორწინებულთა – 0.4-ს.

ახალდაბადებულთა რიცხვის მიხედვით 1000 მცხოვრებზე გაანგარიშებით ლიდერობს კვიპროსი, სადაც ეს მაჩვენებელი 12-ს შეადგენს, ხოლო მინიმალურია ბულგარეთში – 8.6 ბავშვი.

რაც შეეხება გარდაცვალებულებს ყოველ 1000 მცხოვრებზე გაანგარიშებით, იგი ასევე ყველაზე დაბალია კვიპროსში, სადაც იგი შეადგენს 6.9-ს, ხოლო ყველაზე მაღალი ბულგარეთში, - 14.2-ს.

შედეგად, ბუნებრივი მატების მაჩვენებელი 1000 მცხოვრებზე გაანგარიშებით, ყველაზე მაღალია კვიპროსში, - 4.8, ხოლო ყველაზე დაბალი კი ლატვიასა და ბულგარეთში, სადაც ეს მაჩვენებელი მინუს ექვსს შეადგენს.

1000 მცხოვრებზე გაანგარიშებით, ახალშობილთა რიცხვი საქართველოში უდრის 8.9 ბავშვს, ხოლო გარდაცვალებულთა – 9.1-ს. აღნიშნულის გამო ჩვენთან მოსახლეობის ბუნებრივი მატების ნაცვლად 2000 წელს პირველად დაფიქსირდა მისი კლება და ეს მაჩვენებელი – 0.2 პროცენტს შეადგენდა. სამწუხაროდ, ეს მეტად საგანგაშო ტენდენცია შემდეგ წლებშიც გაგრძელდა.

1000 მცხოვრებზე გაანგარიშებით ფიჭური ტელეფონების რიცხოვნებით პირველ ადგილს იკავებს სლოვენია, სადაც აღნიშნულ რიცხოვნობაზე მოდის 758 ტელეფონი; ამ სახის ტელეფონები კანდიდატი ქვეყნებიდან ყველაზე მცირე რაოდენობა ფიქსირდება ბულგარეთში – 189.

რაც შეეხება ჩვეულებრივ, ბინის ტელეფონებს, მათი რიცხოვნობით 1000 კაცზე გაანგარიშებით ყველას უსწრებს კვიპროსი, 620 ტელეფონი, შემდეგ მოდის სლოვენია, - 474 ტელეფონი და ა. შ.

1000 მკვიდრზე გაანგარიშებით ინტერნეტში ყველაზე მეტი მცხოვრებია ჩართული ჩეხეთსა და სლოვაკეთში, სადაც თანამედროვე გლობალიზაციის სიკეთით სარგებლობს შესაბამისად 122 და 124 ადამიანი.

აქ განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, კანდიდატ ქვეყნებში, გარდა კვიპროსისა, თანამედროვე ტექნოლოგიების სიკეთე ადამიანებისათვის განსაკუთრებით ბოლო ხანს განხორციელებული პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების წყალობით მოხდა. მაგალითად, პოლონეთში 1989 წელსა და 1992 წელს შორის ტელევიზორების რიცხოვნობა ყოველ 100 ოჯახზე გაანგარიშებით გაიზარდა 50,7-დან 91-მდე, ვიდეოაპარატურის – 4,7-დან 54-მდე; მაცივრების 20-დან 30-მდე; ავტომანქანების 30-დან 40-მდე და ა. შ. ანალოგიურის თქმა შეიძლება ასევე სხვა ქვეყნების შესახებაც.

ცხადია, ცხოვრების მიღწეული დონე კანდიდატ ქვეყნებში იზიდავს იმიგრანტებს საზღვარგარეთის ქვეყნებიდან და პირიქით, მძიმე საცხოვრებელი პირობები უბიძგებს მათ სამშობლო ქვეყნის მიტოვებას.

როგორც ვხედავთ, 1000 კაცზე გაანგარიშებით, დადებითი მიგრაციული სალდო აქვს კვიპროსს, სადაც ეს მაჩვენებელი 6.6 ადამიანს შეადგენს, უნგრეთს, სლოვენიასა და სლოვაკეთს, ხოლო უარყოფითი სალდო – ჩეხეთს, ლატვიას, ლიტვასა და პოლონეთს.

საქართველოს შესახებ უნდა აღინიშნოს შემდეგი: როგორც ჩანს, ის მძიმე საცხოვრებელი პირობები, რომელიც შექმნილია საქართველოში თუნდაც კანდიდატ ქვეყნებთან შედარებით, აიძულებს ქვეყნის მკვიდრ მოსახლეობას დატოვოს საცხოვრებელი ადგილები და სხვაგან გადასახლდეს. ამ სახის პროცესები ჩვენს ქვეყანაში უკვე ათ წელს გრძელდება. იგი ძირითადად დაიწყო 1990 წელს, როდესაც უარყოფითმა სალდომ 15.7 ათასი კაცი შეადგინა. ამ პროცესებმა თავის პიკს მიაღწია 1994 წელს, როდესაც უარყოფითი სალდო 198 ათასი ადამიანი იყო. სულ 1990-2000 წლებში საქართველო დატოვა 1200 ათასზე მეტმა ადამიანმა. რაც შეეხება 2001 წელს, ამ დროისათვის უარყოფითი მიგრაციული სალდო კიდევ უფრო მეტს, - 1287 ადამიანს უდრიდა.

როგორც შესაბამისი მასალების ანალიზი გვიჩვენებს, საქართველო ისეთი მნიშვნელოვანი მაჩვენებლების მიხედვით, როგორიცაა მოსახლეობის მატება, ცხოვრების დონე და სხვ. ჩამორჩება არა მხოლოდ ევროკავშირის კანდიდატ ქვეყნებს, არამედ ჩვენს მეზობელ სომხეთსა და აზერბაიჯანსაც. ამიტომ ვფიქრობთ, არ იქნება ზედმეტი, თუ მკითხველის ყურადღებას ამ საკითხებზე ცოტა უფრო ვრცლად, ქვემოთ წარმოდგენილი პატარა წერილის სახით შევაჩერებთ.

ახალ საუკუნეს საქართველოს დეპოპულიზაციით შეხვდა

საქართველოში დემოგრაფიულ, ეკონომიკურ თუ სხვა სახის პრობლემებს ჩვენი ხელისუფლება გარდამავალი პერიოდის სიძნელეებით, რეფორმების თანმხლები სირთულეებით და ა.შ. ათასგვარი მიზეზებით ხსნის. ამდენად, უაღრესად საინტერესოა გავეცნოთ, თუ ანალოგიურ მდგომარეობაში აღმოჩენილი ჩვენი უშუალო მეზობელი ქვეყნები რა სირთულეებს აწყდებიან და როგორ ართმევენ ისინი მათ თავს.

საქართველოს მოსახლეობა ხუთმილიონიან ზღვარს 1979 წელს გადასცილდა, როდესაც ქვეყნის მოსახლეობამ 5014,8 ათასი კაცი შეადგენდა. 2001 წლისათვის ეს მაჩვენებელი ოფიციალურად 4945,3 ათასი კაცს შეადგენს (მრავალი ექსპერტის შეფასებით ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო დაბალია), ანუ 1979 წელთან შედარებით შემცირებულია 69,5 ათასი ადამიანით. რაც შეეხება ბოლო ოთხ წელიწადს (1998-2001 წლები), ამ პერიოდში საქართველოს მოსახლეობა შემცირებულია 3,1%-ით. და ეს ხდება იმ დროს, როდესაც ჩვენი მეზობელი სომხეთისა და აზერბაიჯანის მოსახლეობა ამავე პერიოდში იზრდებოდა; კერძოდ, სომხეთის მოსახლეობა

გაიზარდა 0,5%-ით, ხოლო აზერბაიჯანის – 2,4%-ით. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ თითქმის მთელი XX საუკუნე, ვიდრე 1959 წლამდე, საქართველოს მოსახლეობა გაცილებით მეტი იყო, ვიდრე აზერბაიჯანის, ან მით უმეტეს სომხეთის. კერძოდ, 1913 წელს საქართველოს მოსახლეობა შეადგენდა 2600 ათას კაცს, აზერბაიჯანის 2339 ათასს; ამგვარი სიტუაცია გაგრძელდა 1959 წლამდე, როდესაც პირველად გადააჭარბა აზერბაიჯანის მოსახლეობამ საქართველოსას. კერძოდ, ამ წლის აღწერით ირკვევა, რომ აზერბაიჯანის მოსახლეობა იყო 3698 ათასი, ხოლო საქართველოსი – 4044 ათასი.

აღსანიშნავია, რომ ასეთ სიტუაციაში საქართველოს მოსახლეობის ბუნებრივი მატების მაჩვენებელი მკვეთრად ჩამორჩება მეზობელი ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებელს. მაგალითად, თუ 2001 წელს სომხეთში მოსახლეობამ მოიმატა 8,1 – ათასით, აზერბაიჯანში – 65,1 -ით, საქართველოში ეს ზრდა მხოლოდ 1,1 ათასის ტოლი იყო. უფრო მეტიც: იმ დროს, როდესაც 2001 წელს ყოველ ათას კაცზე გაანგარიშებით ბუნებრივი მატება სომხეთში შეადგენდა 2.1-ს, აზერბაიჯანში – 8,1-ს, საქართველოში იგი 0,2 -ის ტოლი იყო (ექსპერტები ამ ციფრსაც ეჭვის თვალით უყურებენ და მიაჩნიათ, რომ იგი ხელოვნურად არის გაზრდილი). აღსანიშნავია, რომ იგივე მაჩვენებელი 2000 წელს უარყოფითი ნიშნით ხასიათდებოდა, ანუ პირველად XX საუკუნეში მოხდა ის, რომ ქვეყნის მოსახლეობის ბუნებრივი მატება გაზრდის ნაცვლად შემცირდა და კლება – 0,2-ს შეადგენდა. როგორც ჩანს, ახალ ათასწლეულს საქართველო დეპოპულაციით შეხვდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ როგორც შესაბამისი სტატისტიკური მაჩვენებლების ანალიზით ირკვევა, მოსახლეობის დაბერების მაჩვენებელი გაცილებით გამოხატულია საქართველოში, ვიდრე სომხეთსა თუ აზერბაიჯანში. მაგალითად, 2001 წელს 55-59 წლის ასაკის მოსახლეობა სომხეთში შეადგენდა 2,6%-ს, აზერბაიჯანში – 1,8%-ს, ხოლო საქართველოში – 4,5%-ს; 60-64 წლის ასაკის მოსახლეობა სომხეთში შეადგენდა 4,5%-ს, აზერბაიჯანში – 3,5%-ს, ხოლო საქართველოში – 5,7%-ს. რაც შეეხება 65-სა და უფრო მაღალ ასაკს, აქ მდგომარეობა საქართველოში კიდევ უფრო დამძიმებულია. კერძოდ, ამ ასაკის მოსახლეობა სომხეთში შეადგენს 9,2%-ს, აზერბაიჯანში – 5,9%-ს, ხოლო საქართველოში – 13,6%-ს, სხვა სიტყვებით თუ ვიტყვით, საქართველოში, განსხვავებით სომხეთისა და აზერბაიჯანისაგან, ეს მაჩვენებელი გადასცდა იმ ზღვარს, რაც დემოგრაფიულ მეცნიერებაში კრიტიკულ ზღვრად არის მიჩნეული. კერძოდ, დემოგრაფები მიიჩნევენ, რომ თუ აღნიშნული მაჩვენებელი 12%-ს გადასცდება, ეს დემოგრაფიული ასპექტით საზოგადოების კრიზისულ მდგომარეობაზე მეტყველებს.

ცალკე გვინდა გამოვყოთ მოსახლეობის ზრდის მაჩვენებელი ისეთ ასაკში, როგორიც არის 25-45 წლები. ამ ასაკთან დაკავშირებით განსაკუთრებით იმიტომ ვლაპარაკობთ, რომ გვახსენდება ერთი ადგილი საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ნოე ჟორდანიას წიგნიდან ,,წიგნი ოჯახში საკითხავი'' (გამომცემლობა ,,მერანი'', თბილისი 1989 წელი). კერძოდ, ამ წიგნში ჟორდანია, წერს: ,,საზოგადოების ბურჯი, მისი მატარებელი და შემოქმედი არის ერთი ასაკი – 25-დან 45 წლამდე. წინა პერიოდი მოსამზადებელია, შემდეგი პერიოდები კრიტიკული და მოხუცების

ზედნაშენია. შემქმნელი პერიოდი შეიძლება გავაფართოოთ ცხელ ქვეყნებში – ვიანგარიშოთ 20 წლიდან, ხოლო ცივ ქვეყნებში ავიყვანოთ 50-მდე, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, ის საზოგადოება თუ ერი, რომელიც ამ ასაკს უვლის და იყენებს აწყობილად, არ დაიღუპება. ის არის ცხოვრების ძალ-ღონე, მისი მუსკულები, მისი სისხლი და ხორცი, მისი ენერგია და ბრძოლის ღერძი" (გვ. 77). როგორც შესაბამისი სტატისტიკური მასალებიდან ჩანს, ამ მაჩვენებლით საქართველო სერიოზულად ჩამორჩება აზერბაიჯანს და ოდნავ უსწრებს სომხეთს. (იხ. „სტატისტიჩესკი ეჟეგოდნიკ იუჟნო-კავკაზსკიხ სტრან, 2002 წელი, გვ. 15).

საქართველოში მძიმე მდგომარეობა ფიქსირდება ასევე სიკვდილიანობის მაჩვენებლის მიხედვითაც. კერძოდ, თუ 2000 წლისათვის ყოველ ათას კაცზე სომხეთში გარდაცვლილია 6,6 მამაკაცი, აზერბაიჯანში _ 6,3, საქართველოში ეს მაჩვენებელი 8,5-ს შეადგენს. საქართველოში მამაკაცთა შორის სიკვდილიანობის მაჩვენებელი განსაკუთრებით მაღალია ისეთ ასაკში, როდესაც ადამიანს განსაკუთრებით დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია საზოგადოებისათვის. კერძოდ, 35-39 წლის ასაკში საქართველოში გარდაცვლილთა რიცხვი ყოველ ათას კაცზე შეადგენს 2,8 ადამიანს, მაშინ, როდესაც სომხეთში ეს მაჩვენებელი შეადგენს 2-ს, ხოლო აზერბაიჯანში - 2,7 ადამიანს. ანალოგიური მდგომარეობაა 40-44 ასაკი მამაკაცთა შორისაც. კერძოდ, ამ ასაკის მამაკაცებისათვის (ყოველ ათას კაცზე) სიკვდილიანობის მაჩვენებელი სომხეთში შეადგენს 3-ს, აზერბაიჯანში 4-ს, ხოლო საქართველოში –6,2-ს.

იგივე შეიძლება ითქვას სიკვდილიანობაზე ქალთა შორისაც. კერძოდ, აღნიშნულ წელს სომხეთში ყოველ ათას კაცზე მოდიოდა 6 გარდაცვლილი ქალი, აზერბაიჯანში – 5,5 ხოლო საქართველოში – 6,2.

საქმე მხოლოდ დემოგრაფიაში როდია

აღსანიშნავია, რომ ამგვარი არასახარბიელო სიტუაცია საქართველოში მეზობელ ქვეყნებთან შედარებით ფიქსირდება არა მხოლოდ დემოგრაფიულ სფეროში. მაგალითად, თუ მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) 1998-2001 წლებში სომხეთში გაიზარდა 12 პროცენტით, აზერბაიჯანში – 28,6%-ით, საქართველოში ადგილი ჰქონდა მის კლებას. კლების მაჩვენებელმა ამ პერიოდში 12,8 პროცენტი შეადგინა. კერძოდ, 2001 წელს სომხეთმა აწარმოა 2117 ათასი აშშ დოლარის ეკვივალენტის პროდუქცია, აზერბაიჯანმა – 5717 ათასი დოლარის, ხოლო საქართველომ – 3159 ათასის, მაშინ, როდესაც იგივე მაჩვენებლები 1998 წელს შესაბამისად შეადგენდა სომხეთში 1899 მლნ დოლარს, აზერბაიჯანში 4181 მლნ-ს, ხოლო საქართველოში – 4919 მლნ-ს. იგივე ითქმის მშპ-ის წარმოების მაჩვენებელზე ერთ მოსახლეზე გაანგარიშებით. კერძოდ, თუ 1998 წლისთვის ეს მაჩვენებელი სომხეთში შეადგენდა 499 დოლარს და 2001 წლისათვის გაიზარდა 557 –მდე, აზერბაიჯანში შესაბამისად 571-ს და 715-ს, საქართველოში ეს მაჩვენებელი 787-დან 682-მდე შემცირდა.

ამ ქვეყნებთან შედარებით ზრდის დაბალი ტემპები დაფიქსირდა საქართველოს ეროვნული მეურნეობის ისეთი მთავარი დარგების მიხედვით, როგორიც არის მრეწველობა და სოფლის მეურნეობა. კერძოდ, თუ 2001 წელს სომხეთში სამრეწველო პროდუქცია გაიზარდა 9,6 პროცენტით, აზერბაიჯანში 9,9 პროცენტით, საქართველოში ეს ზრდა მხოლოდ 4,5%-ს შეადგენდა. რაც შეეხება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ზრდას, ეს მაჩვენებელი სომხეთსა და აზერბაიჯანში შეადგენდა 11-11 პროცენტს, ხოლო საქართველოში – 8 პროცენტს. აღსანიშნავია ისიც, რომ თუ სომხეთსა და აზერბაიჯანში 2001 წელს წინა წელთან შედარებით სამრეწველო პროდუქცია გაიზარდა 3,8 პროცენტით, აზერბაიჯანში 5,1 პროცენტით, საქართველოში ეს მაჩვენებელი შემცირდა 2,4%-ით.

ცხადია, ასეთ პირობებში ყველაფერი უნდა კეთდებოდეს იმისათვის, რომ ქვეყანაში გამოცოცხლდეს ეკონომიკური ცხოვრება, ანუ იზრდებოდეს ინვესტიციები, მატულობდეს ძირითადი ფონდები და ა. შ. სამწუხაროდ, საქართველოში, განსხვავებით სომხეთისა და აზებაიჯანისაგან, ეს ასე როდი ხდება. კერძოდ, 1998-2001 წლებში ჩვენს ქვეყანაში ინვესტიციები ძირითად კაპიტალში 367,7 მლნ დოლარიდან 174,8 მლნ დოლარამდე შემცირდა, მაშინ, როდესაც მაგალითად, სომხეთში იგივე მაჩვენებელი 150,2 მლნ დოლარიდან 192,3 მლნ დოლარამდე გაიზარდა. მსგავსი რამის თქმა შეიძლება უცხოური ინვესტიციების შესახებაც. მაგალითად, თუ უცხოური ინვესტიციები 1998-2001 წლებში სომხეთში გაიზარდა 41,4 მილიონი დოლარიდან 49,5 მილიონ დოლარამდე, საქართველოში უცხოური ინვესტიციები ამავე პერიოდში შემცირდა 288 მლნ დოლარიდან 61,8 მლნ დოლარამდე.

ასეთივე სიტუაციას ჰქონდა ადგილი ძირითადი ფონდების მოქმედებაში შეყვანის სფეროშიც. კერძოდ, თუ ძირითადი ფონდების მოქმედებაში შეყვანის მაჩვენებელი 1998-2001 წლებში სომხეთში 122,2 მლნ-დან გაიზარდა 136,9 მლნ-მდე, აზერბაიჯანში – 459,9 მლნ-დან 695,4 მლნ-მდე, საქართველოში ეს მაჩვენებელი თითქმის იგივე დონეზე დარჩა, ანუ 1998 წელს მოქმედებაში შეყვანილი ძირითადი ფონდების ღირებულება შეადგენდა 106,9 მლნ დოლარს, ხოლო 2001 წელს – 110 მილიონს.

ცხადია, მწარმოებლური და ეფექტური შრომა სომხეთსა და აზერბაიჯანს იმის საშუალებას აძლევს მაღალი ხელფასები და პენსიები მისცეს თავის მოქალაქეებს. მაგალითად, 2000 წელს ერთი მუშაკის შრომის ანაზღაურება შეადგენდა 42,1 დოლარს, აზერბაიჯანში – 49,5-ს, ხოლო საქართველოში – 36,6 დოლარს.

ანალოგიურ მდგომარეობას აქვს ადგილი პენსიების მხრივაც. კერძოდ, 2001 წელს საშუალო პენსია სომხეთში შეადგენდა 8,2 დოლარს, აზერბაიჯანში – 16,1 დოლარს, ხოლო საქართველოში – 7,1 დოლარს.

დასასრულს უნდა აღინიშნოს შემდეგი: 2000 წელს სომხეთში საშუალო სასიცოცხლო მინიმუმი თვეში შეადგენდა 22,3 დოლარს, ფულადი შემოსავალი ერთ სულზე 19,5 დოლარს, ანუ ფულადი შემოსავალი ადამიანის აუცილებელ სასიცოცხლო მოთხოვნილებებს აკმაყოფილებდა 87%-ით. აზერბაიჯანში ფულადი

შემოსავალი აღემატებოდა კიდეც ადამიანის აუცილებელ სასიცოცხლო მინიმუმის შენარჩუნებისათვის აუცილებელ ფინანსურ სახსრებს; რაც შეეხება საქართველოს, აქ ადამიანის ფულადი შემოსავალი მის აუცილებელ სასიცოცხლო მინიმუმს მხოლოდ 31,2%-ით აკმაყოფილებდა.

---

1. კვიპროსის ხელისუფლებას დაქვემდებარებული ფართობი და მოსახლეობა
2. 2001 წლის მონაცემები, ცხრილის მასალები იხილე ინტერნეტში, http:www.insse.ro-Q3/gen-char.htm
3. ცხრილის მასალები იხილე ინტერნეტში, http:www.insse.ro-Q3/gen-char.htm

---

§3. მთლიანი შიდა პროდუქტის წარმოება – ქვეყნის განვითარების უმთავრესი ბარომეტრი

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელი, რომელსაც უდიდესი ყურადღება ექცევა ევროკავშირში ამა თუ იმ ქვეყნის მიღების დროს, წარმოადგენს მოსახლეობის ერთ სულზე მთლიანი შიდა პროდუქტის წარმოება. საქმე იმაშია, რომ ამ მაჩვენებელს მხოლოდ ეკონომიკური მნიშვნელობა როდი აქვს. მიჩნეულია, რომ თუ ქვეყნის ერთ სულზე მშპ-ს წარმოება წელიწადში 2000 დოლარზე ნაკლებია, მაშინ ლაპარაკიც კი ზედმეტია ასეთ ქვეყანაში დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობაზე და პირიქით, იქ, სადაც აღნიშნული მაჩვენებელი 10000 დოლარს აღემატება, აქ არ შეიძლება არ ფუნქციონირებდეს დემოკრატიული ინსტიტუტები.

როგორც მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, აღნიშნული მაჩვენებლის მიხედვით პირველ ადგილზეა კვიპროსი, შემდეგ მოდის სლოვენია და ა. შ. (იხ. ცხრ.№1).

ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ ეს მაჩვენებლები ყოველწლიური ზრდის ტენდენციით ხასიათდებიან. კერძოდ, 2000 წელს 1999 წელთან შედარებით, ერთ სულზე მშპ-ს წარმოების მაჩვენებელი გაიზარდა: ბულგარეთში – 15.8 პროცენტით, კვიპროსში – 23.5 პროცენტით, უნგრეთში – 10.9 პროცენტით და ა. შ.

აქვე არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ ევროკავშირში შესვლის კანდიდატი სამი ყველაზე მდიდარი და განვითარებული ეროვნული მეურნეობის მქონე გარდამავალი ეკონომიკის ქვეყანა ამ მაჩვენებლით ჯერ კიდევ საგრძნობლად ჩამორჩება ევროკავშირის ანალოგიურ საშუალო მაჩვენებელს. კერძოდ, მშპ-ს წარმოების საშუალო მაჩვენებელი სლოვენიაში შეადგენს ევროკავშირის ანალოგიური საშუალო მაჩვენებლის 68%-ს, ჩეხეთის რესპუბლიკაში – 59%-ს, ხოლო უნგრეთში – 49%-ს (Transformacia – Pierwsze Dziesiec lat: Analiza i Lekcje dla Europy Wschodniej i krajow bylego Zwiazku Radzieckiego, იხ. 2002 წლის თებერვალს პოლონეთის ეროვნულ ბანკში გამართული სამეცნიერო კონფერენციის მასალები. კონფერენცია მიეძღვნა

გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში ბოლო ათი წლის მანძილზე მიმდინარე პოლიტიკურ და ეკონომიკური გარდაქმნებსა და მის შედეგებს).

ცხადია, ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს ზრდის საშუალებას აღნიშნულ ქვეყნებში იძლევა ყოველწლიურად მზარდი წარმოების მასშტაბები. ამის შესახებ წარმოდგენას შეგვიქმნის ქვემოთ მოტანილი ცხრილი (იხ. ცხრილი №3).

ცხრილი №3

მთლიანი შიდა პროდუქტის წარმოება 1999-2001 წლებში, მიმდინარე ფასები, [1]

მლრდ ეროვნულ ვალუტაში[2] წლები				
	1999	2000	2001	2001 წელს მლნ. აშშ დოლარი
ბულგარეთი	23.790	26.753	29.618	13557.0
კვიპროსი	-	5.5	5.9	9176.4
ჩეხეთი	1902.293	1984.833	2157.828	56725.2
ესტონეთი	76.327	87.236	96.571	5680.6
უნგრეთი	11393.5	13150.8	14876.4	52917.4
ლატვია	3.890	4.348	4.759	7578.0
ლიტვა	42.7	45.1	48.0	12000.0
პოლონეთი	615.1	712.3	749.3	183000.0
რუმინეთი	545730.2	800308.1	1154126.4	39693.9
სლოვენია	3648.4	4035.5	4566.2	18810.3
სლოვაკეთი	835.721	908.801	989.297	20461.2

იმის შესახებ, თუ კანდიდატი ქვეყნები რამდენად ლიბერალურ ეკონომიკურ პოლიტიკას ატარებენ, წარმოდგენას მოგვცემს ამ ქვეყნებში არსებული ფისკალური სფეროს მდგომარეობა, ანუ ის, თუ როგორ სრულდება ცენტრალური ბიუჯეტების ხარჯებისა და შემოსავლების დაგეგმვისა და განაწილების პროცესი. ამ ქვეყნების ბიუჯეტის ანალიზი წარმოდგენას გვიქმნის ასევე იმის შესახებაც, თუ რა დონეზე ხდება აქ ხელისუფლების ჩარევა ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში.

ცხრილი №4

ცენტრალური სახელმწიფო ბიუჯეტები (ეროვნულ ვალუტაში, მილიარდებში)[3]

ქვეყნები	1999წ.	2000წ.	2001წ.
შემოსავლები			
ბულგარეთი	9.689	11.064	11.837
კვიპროსი	1.05	1.48	1.53
ჩეხეთი	567.3	588.2	626.2
ესტონეთი	18.1	28.1	30.6
უნგრეთი	3227.6	3679.3	4083.6
ლატვია	1.276	1.335	1.458
ლიტვა	5.99	5.78	6.34
პოლონეთი	125.9	135.7	140.6
რუმინეთი	175370.1	238040.5	288806.9
სლოვენია	943.1	991	1144.6
სლოვაკეთი	216.7	213.5	205.3
ხარჯები			
ბულგარეთი	9.65	11.234	12017
კვიპროსი	1.6	1.86	2.07
ჩეხეთი	596.9	632.3	693.9
ესტონეთი	17.2	28.4	29.7
უნგრეთი	3565.8	4048.7	4496.8
ლატვია	1.425	1.464	1.55
ლიტვა	5.94	5.84	6.97
პოლონეთი	138.4	151.1	172.9
რუმინეთი	184600.6	269809.8	328020.5
სლოვენია	962.7	1028.9	1194.2
სლოვაკეთი	231.5	241.1	249.7
დეფიციტი/პროფიციტი			
ბულგარეთი	0.04	-0.17	-0.18
კვიპროსი	-0.55	-0.37	-0.55
ჩეხეთი	-29.6	-46.1	-67.7
ესტონეთი	0.9	-0.3	0.8
უნგრეთი	-338.1	-369.4	-413.2
ლატვია	-0.149	-0.129	-0.092
ლიტვა	-0.04	-0.06	-0.63
პოლონეთი	-12.5	-15.4	-32.4
რუმინეთი	-9230.5	-31769.3	-39769.6
სლოვენია	-19.6	-38	-49.6
სლოვაკეთი	-14.8	-27.6	-44.4

1. ცხრილის მასალები იხილე ინტერნეტში, http:www.insse.ro-Q3/ national- accounts-files.htm

2. რადგან როგორც ამ ცხრილში, ისე ჩვენი შემდგომი ანალიზისას მოტანილ ზოგიერთ ცხრილშიც ნაჩვენები იქნება მონაცემები საანალიზო ქვეყნების

ადგილობრივ ვალუტაში, საინტერესოა აქვე გავეცნოთ ამ ვალუტათა კურსს დოლართან მიმართებაში. კერძოდ, 2003 წლის 22 მარტის მდგომარეობით, 1 დოლარი უდრიდა:

1.84 ბულგარულ ლევს
30 ჩეხურ კრონას;
14.7 ესტონურ კრონას;
232 უნგრულ ფორინტს;
3.25 ლიტვურ ლიტს;
0.59 ლატვიურ ლატს;
4.40 ზლოტს;
33542 რუმინულ ლეის;
217.16 სლოვენურ ტოლარს;
39.24 სლოვაკურ კორუნას.

3. ცხრილის მასალები იხილე ინტერნეტში, http:www.insse.ro/canstat-Q3/ finanse-files.htm

---

§ 4. კანდიდატი ქვეყნების ცენტრალური სახელმწიფო ბიუჯეტები

ერთ-ერთ უმნიშნელოვანეს ეკონომიკურ ბერკეტს, რომელიც განსაზღვრავს ქვეყნის ეროვნული მეურნეობის განვითარების მიმართულებებს, პრიორიტეტებს, მოსახლეობის ცხოვრების დონეს, ეროვნული მეურნეობის დარგების განვითარებისათვის ხელშეწყობის დონეს თუ სხვა, ბიუჯეტი წარმოადგენს.

ბიუჯეტის მდგომარეობას, მისი დეფიციტის ოდენობას უდიდესი ყურადღება ექცევა ასევე ევროკავშირში ქვეყნის მიღების დროსაც. ქვემოთ მოტანილი ცხრილის მაჩვენებლები ნათელ წარმოდგენას შეგვიქმნის იმის შესახებ, თუ როგორი სახე აქვს კანდიდატი ქვეყნების სახელმწიფო ბიუჯეტებს.

როგორც ცხრილი № 4-დან ჩანს, უდეფიციტო ბიუჯეტი მხოლოდ ესტონეთს გააჩნდა. ამ ქვეყანას უდეფიციტო (პროფიციტური) ბიუჯეტი ჰქონდა როგორც 1999 წელს, ისე 2001 წელს და 2002 წლის პირველ სამ კვარტალში (უფრო ახალი მონაცემები ამ ქვეყნების შესახებ არ მოგვეპოვება).

ცხრილი № 4 და წინა ცხრილის (ცხრილი № 3, მშპ-ს შესახებ) ანალიზიდან ცხადი ხდება ისიც, რომ ეროვნულ მეურნეობაში ჩარევის (პატერნალიზმის) ყველაზე მაღალი დონე შენარჩუნებულია ბულგარეთში, სადაც წარმოებული მშპ-ს თითქმის 40%-მდე ბიუჯეტის საშუალებით ამოიღება და გადანაწილდება (ვამბობთ „შენარჩუნებულია" იმიტომ, რომ სოციალიზმის ქვეყნები სწორედ იმითაც გამოირჩეოდნენ კაპიტალისტურისაგან, რომ აქ სახელმწიფო მეტად აქტიურად ერეოდა ქვეყნის ეკონომიკაში და მათ შორის საბიუჯეტო პროცესებში). ამ მაჩვენებლის მიხედვით მეორე ადგილზეა ესტონეთი (31.7%), ხოლო მესამეზე ლიტვა

(30.6%). რაც შეეხება დანარჩენ კანდიდატ ქვეყნებს, ფისკალიზმის დონის მიხედვით ეს ქვეყნები შემდეგნაირად განლაგდებიან:

კვიპროსი – 25.9%, ჩეხეთის რესპუბლიკა – 29.0%, უნგრეთი – 27%, ლატვია – 13.2%, პოლონეთი – 18.8%, რუმინეთი – 24.9%, სლოვენია – 25.1% და სლოვაკეთი – 20.8%.

აქვე საინტერესოა ვნახოთ მაჩვენებლები, რომლებიც ბიუჯეტის დეფიციტს დაახასიათებდა მშპ-თან მიმართებაში (ცხრილი №5):

ცხრილი №5

ბიუჯეტის დეფიციტი/პროფიციტი მშპ-ს მიმართ, %-ად

ქვეყნები	1999წ.	2000წ.	2001წ.
ბულგარეთი	0.2	-0.7	0.7
კვიპროსი	-4.5	-3.1	-3.0
ჩეხეთი	-0.5	-3.1	-2.4
ესტონეთი	-4.6	-1	0.4
უნგრეთი	-3.4	-3.4	2.8
ლატვია	-4	-2.8	-2.1
ლიტვა	-5.6	-2.7	-1.9
პოლონეთი	-2	-2.2	-4.3
რუმინეთი	-1.6	-3.9	-3.3
სლოვენია	-0.6	-1.4	-1.4
სლოვაკეთი	-3.5	-3.3	-4.6

როგორც ცხრილიდან ჩანს, ევროკავშირის თერთმეტივე კანდიდატ ქვეყანას, ესტონეთს გარდა, დეფიციტური ბიუჯეტი გააჩნია. თუმცა დეფიციტის მაჩვენებლები ამ ქვეყნებში მაინც და მაინც საგანგაშო არ არის. 2001 წელს მშპ-ს მიმართ შედარებით მაღალი დეფიციტი ჰქონდა სლოვაკეთს და პოლონეთს.

რაც შეეხება ესტონეთს, ამ ქვეყანას 1999 წელს საკმაოდ დეფიციტური ბიუჯეტი გააჩნდა, რომელიც შემდეგ წლებში გამოსწორდა და 2001 წელს მას ბიუჯეტში უკვე 0.4 პროცენტიანი პროფიციტი აქვს. ბიუჯეტის დეფიციტის აღმოფხვრის მიმართულებით საკმაოდ ეფექტური სამუშაოებია შესრულებული ბალტიისპირეთის დანარჩენ ქვეყნებშიც. თუ აქ 1999 წელი ფისკალურ სფეროში დეფიციტური იყო, 2001 წელი დეფიციტი მინიმუმამდეა დაყვანილი.

სრულიად საპირისპირო მდგომარეობასა აქვს ადგილი რუმინეთსა და პოლონეთში, სადაც ბოლო წლებში ბიუჯეტის დეფიციტი კლების ნაცვლად – გაზრდილია.

აქვე გვინდა აღვნიშნო შემდეგიც: მაასტრიხტის ხელშეკრულების თანახმად, ევროკავშირის, და განსაკუთრებით მის იმ ქვეყნებს, რომლებიც სავალუტო კავშირში უნდა გაერთიანებულიყვნენ, განესაზღვრათ ცენტრალური ბიუჯეტის ის მაქსიმალური დონე, რომლის გადაჭარბების შემთხვევაში მათ ევროსავალუტო ზონაში არავინ მიიღებდა. ამ ნორმად ბიუჯეტის მშპ-თან მიმართებაში 3 პროცენტის დონეზე დადგინდა. სწორედ ამ ნორმის შეუსრულებლობისათვის დარჩა დღემდე ევროსავალუტო ზონის გარეთ ევროკავშირის სამი ქვეყანა. თუ აღნიშნული კრიტერიუმით ვიხელმძღვანელებთ, გამოდის, რომ ამ მოთხოვნებს კანდიდატი ქვეყნებიდან მხოლოდ პოლონეთი (-3.3%) და სლოვაკეთი (-4.6%) ვერ აკმაყოფილებს.

ეს შეთანხმება ეხება ასევე ინფლაციას, საგარეო ვალს, საპროცენტო განაკვეთს და ა. შ. მაგალითად, ხელშეკრულებით მიღებულია, რომ ინფლაცია ევროკავშირის იმ სამი ქვეყნის ინფლაციის საშუალო დონეს 1.5%-ზე მეტად არ უნდა აღემატებოდეს, სადაც იგი ყველაზე საუკეთესოა.

ასევე, გრძელვადიანი საპროცენტო განაკვეთი უნდა იყოს არა უმეტეს 2 პროცენტით მეტი იმ მაჩვენებელზე, რომელიც ამავე ქვეყნებშია დაფიქსირებული

და, ბოლოს, ქვეყნის საგარეო და საშინაო ვალი არ უნდა აღემატებოდეს მშპ-ს 60%-ს. მაგალითად, საბერძნეთმა ამ მოთხოვნების შესრულება მხოლოდ 2001 წლისათვის შეძლო, როდესაც იგი მიიღეს კიდეც ევროსავალუტო ზონაში. რაც შეეხება დიდ ბრიტანეთს, შვედეთსა და დანიას, მათ, სხვადასხვა მიზეზების გამო თავად არ სურთ ევროსავალუტო ზონაში გაწევრიანება.

ჩვენს ქვეყანაში, 2001 წელს საბიუჯეტო შემოსავლები შეადგენდა 740.3 მლნ ლარს, ხოლო ხარჯები – 905.7 მლნ ლარს. შესაბამისად ბიუჯეტის დეფიციტი შეადგენდა –165.3 მლნ ლარს ანუ მშპ-ს მიმართ დეფიციტის მაჩვენებელი 2.5%-ს უდრიდა. 2002 წელს საბიუჯეტო შემოსავლები შეადგენდა 816.8 მლნ დოლარს, ხოლო ხარჯები – 1040.7 მლნ დოლარს. შესაბამისად ბიუჯეტის დეფიციტი შეადგენდა – 223.9 მლნ ლარს ანუ მშპ-ს მიმართ დეფიციტის მაჩვენებელი 3.1%-ს უდრიდა.

§ 5. უცხოური ინვესტიციები კანდიდატ ქვეყნებში

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელი, რომელიც მხედველობაში მიიღება ევროკავშირში ამა თუ იმ ქვეყნის გაწევრიანების დროს, არის ამ ქვეყანაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დაბანდების შესაძლებლობა, მისი უსაფრთხოება, განხორციელებული ინვესტიციების შედეგად მიღებული მოგების დაუბრკოლებლივ გატანა ქვეყნიდან და ა. შ.

ამასთან, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები წარმოადგენენ სერიოზულ საკამათო პრობლემას ამ სფეროში მომუშავე ექსპერტებს შორის. თავად გარდამავალ ქვეყნებსაც არაერთგვაროვანი პოზიცია უკავიათ ამ მოვლენისადმი. ამ ქვეყნებში, ერთის მხრივ, გამოხატავენ სერიოზულ შეშფოთებას, რომ ეროვნულ მეურნეობაში

უცხოური კაპიტალის ინტენსიური შემოსვლის დროს არარეზიდენტი ინვესტორები საკუთარ კონტროლს დაუქვემდებარებენ მათ ისედაც მწირ საწარმოო რესურსებს და მეორე მხრივ, რომ ინვესტიციების შეზღუდვის პირობებში ეროვნულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს აღარ მიუწვდებათ ხელი უცხოურ კაპიტალზე და მოწინავე ტექნოლოგიებზე. ზოგიერთი ქვეყანა რიგ დარგებში კრძალავს ან მაქსიმალურად ზღუდავს კიდეც პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელების შესაძლებლობებს. ამგვარ დარგებში შეიძლება აღმოჩნდნენ ბუნებრივი რესურსების მოპოვება, საბანკო საქმე, პრესა, ტელევიზია, სამხედრო სფერო და სხვ. და თუ აქ მაინც ხდება უცხოური კაპიტალის დაშვება ამ დარგებში, ინვესტიციების მიმღებმა ქვეყანამ შეიძლება აუცილებელ წინაპირობად წამოაყენოს ადგილობრივი მეწარმეების აქტიური მონაწილეობა კაპიტალის მართვაში, ეროვნული კადრების მომზადება, სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ – საკონსტრუქტორო სამუშაოების მათ ტერიტორიაზე განხორციელება და ა. შ.

ამასთან, ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, საჭიროა ქვეყანამ ინვესტიციების სფეროში საკმაოდ გონიერი და მოზომილი პოლიტიკა განახორციელოს. კერძოდ, თუ ქვეყანა მეტისმეტად აშკარად შეზღუდავს უცხოურ ინვესტიციებს, მას პრესტიჟი დაეკარგება საერთაშორისო საზოგადოებრიობის თვალში, იგი აღარ ჩაითვლება გახსნილ, ლიბერალური ეკონომიკის ქვეყნად, შესაბამისად დაკარგავს საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების მხარდაჭერას და მეორეც, თუ არა უცხოური ინვესტიციები, იგი ვერ მოახერხებს ადგილობრივი მრეწველობისა თუ ეროვნული მეურნეობის სხვა დარგების სათანადო ტემპებით განვითარებას.

კანდიდატი ქვეყნებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შესახებ წარმოდგენას შეგვიქმნის ქვემოთ მოტანილი ცხრილი:

ცხრილი №6

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები კანდიდატი ქვეყნების ეროვნულ მეურნეობაში[1]

	პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, მლნ.აშშ დოლარი			უცხოური ინვესტიციები ევროკავშირის ქვეყნების წილად, 2000 წელს, მლნ აშშ დოლარი	უცხოური ინვესტიციები ევროკავშირის ქვეყნების წილად, 2000 წელს, %	2000 წლისათვის პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, ერთ სულზე,აშშ დოლარი	2001 წლისათვის პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მშპ-ს მიმართ, %
	1999	2000	2001				
ბულგარეთი	2829	3831	4537	2965	77.4	483.1	33.5
ჩეხეთი	17552	21644	26764	19604	90.6	2120.7	47.2
ესტონეთი	2467	2645	3160	2207	83.4	1943.4	55.6
უნგრეთი	19298	19803	22863	-	-	1946.2	43.2
ლატვია	1551	1842	2284	-	-	785.2	30.1
ლიტვა	2063	2334	2666	1502	64.4	994.9	19.0
პოლონეთი	28075	34227	41031	27351	79.9	884.6	22.4
რუმინეთი	5528	6551	7708	-	-	292.6	19.4
სლოვენია	2682	2893	3209	2416	83.5	1450.9	17.1
სლოვაკეთი	2272	3737	4728	2916	78	694.7	23.1

როგორც მოტანილი მაჩვენებლებიდან ჩანს, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კანდიდატი ქვეყნების ეროვნულ მეურნეობაში დაბანდების მიხედვით პირველ ადგილზეა პოლონეთი, სადაც 2000 წლისათვის დაბანდებული იყო 34227 მლნ აშშ დოლარის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია, მეორე ადგილზე მოდის ჩეხეთი, სადაც დაბანდდა 21644 მლნ აშშ დოლარის პირდაპირი ინვესტიცია და ა. შ.

მშპ-ს მიმართ თუ გავიანგარიშებთ, უცხოური ინვესტიციების ყველაზე დიდი მოცულობაა დაბანდებული ესტონეთში, მშპ-ს 55.6 პროცენტი, ჩეხეთში, მშპ-ს 47.2% და უნგრეთში – 43.2 პროცენტი.

რაც შეეხება უცხოურ ინვესტიციებს მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით, ამ მაჩვენებლით პირველ ადგილზეა ჩეხეთი, შემდეგ მოდის უნგრეთი და ა. შ. (იხ. ცხრილი №6).

საქართველოში მრავალი ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გავლენით ბოლო წლებში აშკარად იკლო პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობებმა. კერძოდ, 1995 წელს ქვეყანაში განხორციელდა 33.3 მლნ აშშ დოლარის უცხოური ინვესტიცია, ხოლო 1996 წელს – 68.5 მლნ აშშ დოლარის. ამ მაჩვენებელმა თავის პიკს მიაღწია 1998 წელს, როდესაც უცხოური ინვესტიციების მოცულობამ შეადგინა 288.0 მლნ აშშ დოლარი. შემდეგში კვლავ იკლო უცხოური ინვესტიციების მოცულობამ და 2001 წელს 174.8 მლნ აშშ დოლარის უცხოური ინვესტიცია განხორციელდა.

2001 წელს საქართველოში დაბანდებული ინვესტიციების მიხედვით პირველ ადგილზე გამოვიდა შეერთებული შტატები, რომლის მიმართაც მოდიოდა მთელი ინვესტიციების 38.6 პროცენტი, შემდეგ თურქეთი – 25.2%, ვირჯინიის კუნძულები – 23.1%, მსოფლიო ბანკი – 12.1% და ა. შ.

რაც შეეხება ინვესტრიციების დარგობრივ ჭრილს, 2000 წელს მას ასეთი სახე ჰქონდა: ტრანსპორტი, სასაწყობო მეურნეობა და კავშირგაბმულობა – 41%, სამთომომპოვებელი მრეწველობა და კარიერების დამუშავება – 19%, სასტუმროები და რესტორნები – 16.3% და ა. შ.

ამ წელს ერთ მცხოვრებზე გაანგარიშებით უცხოური ინვესტიციების მოცულობა შეადგენდა 35 დოლარს, რაც ერთობ დაბალ მაჩვენებლად უნდა მივიჩნიოთ.მშპ-ს მიმართ ყველაზე დიდი მოცულობის ინვესტიციები დაფიქსირდა

1998 წელს – მშპ-ს 7%, შემდეგ, ანუ 1999 წელს, იგი 3%-მდე დაეცა, ხოლო 2000 წელს უკვე 2%-მდე შემცირდა.

აღნიშნული მაჩვენებელი კიდევ უფრო დაბალი იქნებოდა, თუ გამოვრიცხავთ ბაქო-სუფსა-ჯეიჰანის ნავთობსადენს, რომელსაც არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ გარკვეული გეოპოლოტიკური მნიშვნელობაც ენიჭება. შეიძლება ითქვას, რომ ბოლო წლებში ქვეყანაში არ განხორციელებულა არც ერთი ისეთი მსხვილი საინვესტიციო პროექტი, რომელიც ბიძგს მისცემდა ეროვნული მეურნეობის განვითარებას.

საქართველო უცხოური ინვესტიციების, როგორც საერთო მოცულობის, ისე 1 მცხოვრებზე მისი გაანგარიშებით, ჩამორჩება არა მხოლოდ ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნების შესაბამის მაჩვენებლებს, არამედ ჩვენი მეზობელი ქვეყნების – აზერბაიჯანისა და სომხეთის ანალოგიურ მაჩვენებლებსაც. კერძოდ, 2001 წელს სომხეთში განხორციელდა 192.3 მლნ აშშ დოლარის ინვესტიცია, ხოლო აზერბაიჯანში – 1257.2 მლნ აშშ დოლარის. ერთ მოსახლეზე გაანგარიშებით, სომხეთში განხორციელდა 51 დოლარის, ხოლო აზერბაიჯანში – 154 დოლარის ინვესტიცია.

ახლა საინტერესოა რამდენიმე სიტყვის თქმა იმის შესახებ, თუ რატომ არ არის მიმზიდველი საქართველო უცხოელი ინვესტორებისათვის.

ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზს, რომლის გამოც უცხოელი კაპიტალისტი ერიდება ქვეყანაში ინვესტიციების დაბანდებას და წარმოების გაზრდას, წარმოადგენს კორუფცია, რთული საგადასახადო კოდექსი, სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზირება და ნებართვების მიღების სირთულეები, კონტრაბანდა, მაღალი პროცენტი კრედიტზე და სხვა და სხვა.

ყოველივე აღნიშნულთან ერთად, ერთ-ერთი სერიოზული მიზეზი იმისა, რომ ქვეყანაში ძალზე მცირედ შემოდის უცხოური ინვესტიციები, არის ის, რომ საქართველო ნაკლებად უწევს რეკლამირებას საკუთარ თავს, ანუ ყოველივე იმას, რასაც შეიძლება ინვესტორები მოეზიდა. ასეთი ფაქტორები კი ქვეყანაში არც თუ ისე ცოტაა.

ინვესტიციების ქვეყანაში დაბანდებას აფერხებს ასევე არც თუ ისე ცუდი კანონების ფონზე საკანონმდებლო აქტების საკმაოდ ხშირი ცვლაც. ამას ინვესტორები განიხილავენ როგორც მათ წინააღმდეგ მიმართულ ერთგვარ საბოტაჟს იმ მოხელეთა მხრიდან, რომელთაც მათ ბიზნესში წილი ვერ მიიღეს.

ყოველივე აღნიშნულთან ერთად, საქართველოში სერიოზული კაპიტალის შემოდინებას აფერხებს ასევე მთავრობის მხრიდან ნაკლები მხარდაჭერა უცხოელი ინვესტორებისადმი და ა. შ.

რაც შეეხება კრედიტის სიძვირეს, ესეც გასაგებია. ფინანსური სახსრები ერთ-ერთი უმთავრესი კომპონენტია წარმოების დასაწყებად და შემდეგაც, წარმოების პროცესში მის ნორმალურად გასაძღოლად. როდესაც სესხის აღება საქართველოში წლიური 20-24 პროცენტი ღირს, ხოლო ჩეხეთში – 7%, რა თქმა უნდა, ინვესტორი ჩეხეთში ამჯობინებს დააბანდოს თავისი კაპიტალი და არა საქართველოში, მით უმეტეს, რომ სხვა ფაქტორებიც, რომლებიც სტიმულს აძლევენ ინვესტიციებს, ჩეხეთში უფრო აქტიურად იზიდავენ უცხოელ ინვესტორებს, ვიდრე საქართველოში.

ჩვენ ვიზიარებთ ზოგიერთი ქართველი ექსპერტის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ რადგან საქართველო ვერ უზრუნველყოფს უცხოელ ბიზნესმენებს მყარი პოლიტიკურ-ეკონომიკური სიტუაციით, რაც იწვევს აქ დაბანდებულ კაპიტალზე მაღალი რისკის დონეს და ზღუდავს სამეწარმეო საქმიანობის რენტაბელურობას, საჭიროა ამ ეტაპზე მაინც უცხოელი ბიზნესმენებისათვის ქვეყნის შესაბამის საკანონმდებლო ნორმებში გათვალისწინებული იქნეს სერიოზული საგადასახადო შეღავათები. ამ სახის შეღავათებს მიეკუთვნება, მაგალითად, ე.წ. ,,საგადასახადო არდადეგები". აღნიშნული რეჟიმის დროს, ინვესტორი გარკვეული პერიოდით, ვთქვათ, 5-10 წლით, თავისუფლდება მოგების გადასახადისაგან. ამგვარი რეჟიმის გატარების კლასიკურ ქვეყანას წარმოადგენს უნგრეთი, რომელიც 1989 წლის შემდეგ წარმატებით ახორციელებს ეროვნულ მეურნეობაში უცხოური ინვესტიციების მოზიდვის პოლიტიკას. აღნიშნული პერიოდის მანძილზე ამ ქვეყანაში განხორციელებულია 22.9 მლრდ აშშ დოლარის ინვესტიციები, იგი მშპ-ს 43 პროცენტს აღემატება და ეს კი, ასეთი, არც თუ ისე დიდი მოცულობის ქვეყნისათვის,

როგორიც უნგრეთია, საკმაოდ შთამბეჭდავი მაჩვენებელია. ამ სფეროში სხვადასხვა სახის შეღავათების პოლიტიკას ადგას ჩეხეთი, ესტონეთი და ზოგიერთი სხვა გარდამავალი ეკონომიკის ქვეყანაც, რაც დადებითად მოქმედებს მათ მიერ უცხოური ინვესტიციების მოზიდვის პროცესზე[2] (იხ. ცხრ.№ 6).

---

1. იხ.. http://www.insse.ro/canstat-Q3/national-accounts-files/htm

2. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, ბიულეტენი № 64, 2002 წელი

---

§6. კანდიდატი ქვეყნების ეკონომიკური აქტიურობა

როგორც უცხოური ინვესტიციები, ისე ადგილობრივი ფინანსური სახსრების დაზოგვა, შრომითი კულტურა და ტრადიციები განაპირობებენ ცალკეულ კანდიდატ ქვეყნებში განსხავებულ ეკონომიკური აქტიურობას. აღნიშნული პროცესების შესახებ წარმოდგენას შეგვიქმნის ქვემოთ მოტანილი ცხრილი:

ცხრილი № 7

ეკონომიკური აქტიურობა (%) *

ეკონომიკური აქტიურობა			
ქვეყნები	1999წ.	2000წ.	2001წ.
ბულგარეთი	49.2	48.8	49.6
კვიპროსი	59.2	60.1	61.7
ჩეხეთი	61	60.4	60
ესტონეთი	59	59.1	58.8
უნგრეთი	49.6	50	49.7
ლატვია	57.9	56.3	56.6
ლიტვა	61.9	60.4	58.9
პოლონეთი	_	56.6	56.3
რუმინეთი	63.4	63.2	62.2
სლოვენია	57.9	57.9	58.3
სლოვაკეთი	60	60.3	60.7

როგორც ცხრილიდან ჩანს, ეკონომიკური აქტიურობის ყველაზე მაღალ დონეს ადგილი აქვს რუმინეთში, სადაც ეს მაჩვენებელი შეადგენს 62.2 პროცენტს (ცნობისათვის: შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიხედვით სამეურნეო აქტიურობა განისაზღვრება 15 წლის ასაკის ზევით მოსახლეობის შრომით პროცესებში ჩაბმის მიხედვით). ამ მაჩვენებლის გათვალისწინებით, რუმინეთის შემდეგ ადგილზე მოდის კვიპროსი, სადაც შრომითი აქტიურობა შეადგენს 61.7 პროცენტს, მესამე ადგილზეა სლოვაკეთი – 60.7 პროცენტი და ა. შ.

2000 წლისათვის საქართველოში ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რაოდენობა შეადგენდა 1850 ათას კაცს. აქედან ეროვნულ მეურნეობაში დასაქმებული იყო 1749 ათასი ადამიანი. დასაქმებულთა მთელი რიცხოვნობიდან მამაკაცი იყო 934 ათასი, ხოლო ქალი – 814 ათასი.

რაც შეეხება ეკონომიკური აქტიურობის დონეს, 1999 წელს იგი მკაცრი

კრიტერიუმების მიხედვით შეადგენდა 70.9%-ს, ხოლო შერბილებული კრიტერიუმების თანახმად – 72.8%-ს (იხ.,,სამუშაო ძალა საქართველოში", სტატისტიკური კრებული 1998-1999 წლები, გვ. 20).

ეროვნულ მეურნეობაში დასაქმებულთა 52.1 პროცენტი სოფლის მეურნეობაზე მოდიოდა.

უმუშევართა რიცხვი 2000 წელს საქართველოში შეადგენდა 116 889 ადამიანს, ანუ ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 10.8 პროცენტს.

---

1. იხ. http://www.insse.ro/canstat_Q3/social.htm

---

§7. უმუშევრობა – აქილევსის ქუსლი კანდიდატი ქვეყნებისათვის

ცხადია, ეკონომიკური აქტიობა გარკვეულად განაპირობებს დასაქმების მაღალ მაჩვენებლებს, იგი ხდება უმუშევრობის ლიკვიდაციის უმთავრესი ფაქტორი და ყველაფერი ეს ერთად იქცევა ცხოვრების დონის ამაღლების წინაპირობად. მართლაც, როგორც ქვემოთ მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, იმ ქვეყნებში, სადაც ეკონომიკური აქტიობა მაღალია, შედარებით უკეთესი მდგომარეობაა მოსახლეობის დასაქმების სფეროში (იხ. ცხრილი№8).

აქვე გვინდა შევნიშნოთ ის გარემოება, რომ უაღრესად მნიშვნელოვან პრობლემას, რომლის წინაშეც გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები და მათ შორის, ის ქვეყნებიც აღმოჩნდნენ, რომლებიც ამჟამად ევროკავშირის წევრობის კანდიდატებად განიხილებიან, სწორედ უმუშევრობა წარმოადგენს. ეს პრობლემა განსაკუთრებით წარმოჩინდა ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა პოლონეთი, ბულგარეთი და ა. შ. იხ, ცხრილი №8.

ცხრილი №8

უმუშევრობის დონე კანდიდატ ქვეყნებში*
პროცენტებში

უმუშევრობის დონე, %	1999წ.	2000წ.	2001წ
ბულგარეთი	17	16.9	19.7
კვიპროსი	5.9	4.9	4
ჩეხეთი	8.7	8.8	8.1
ესტონეთი	12.2	13.6	12.6
უნგრეთი	7	6.4	5.7
ლატვია	14.3	14.4	13.1
ლიტვა	14.1	15.4	17
პოლონეთი	12.8	16.1	18.2
რუმინეთი	6.8	7.1	6.6
სლოვენია	7.6	7	6.4
სლოვაკეთი	16.2	18.6	19.2

აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ უმუშევრობის პრობლემა სხვადასხვა დარგში სხვადასხვანაირად იჭრება. ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორი ტრადიციებია დამკვიდრებული ამა თუ იმ ქვეყანაში. კერძოდ, თუ რუმინეთში, პოლონეთში,

ლატვიაში და ლიტვაში სოფლის მეურნეობაში სამუშაოს პოულობს შრომითი რესურსების საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი, სლოვენიაში, ჩეხეთსა და ა.შ. მოსახლეობის დიდი ნაწილი მრეწველობაშია დასაქმებული (ცხრილი №9).

ცხრილი№ 9

შრომითი რესურსების რიცხოვნობა კანდიდატ ქვეყნებში ძირითადი დარგების მიხედვით*

დასაქმება ძირითადი დარგების მიხედვით, ათასებში				
1999წ.	2000წ.	2001წ.	მთლიან დასაქმებაში სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა ხვედრითი წილი, %	მთლიან დასაქმებაში მრეწველობაში დასაქმებულთა ხვედრითი წილი, %
2811	2795	2899	9.4	24.1
270	279	294	4.8	12.9
4709	4876	4707	4.8	27.9
579	573	578	6.9	23.2
3812	3849	3860	6.2	24.8
968	940	962	15	16.2
1598	1518	1461	16.4	18.3
_	14526	14207	19.1	19.9
10776	10764	10697	42.3	18.9
886	901	917	10.3	30.4
2132	2102	2124	6.2	26.1

საინტერესოა ისიც, რომ კანდიდატ ქვეყნებში დასაქმების სფეროში არ არსებობს სერიოზული განსხვავება სქესის მიხედვით დასაქმებაში, არც რაიმე ხელოვნური ხელის შემშლელი პრობლემები შეინიშნება ამ მხრივ. თუმცა, რა თქმა უნდა, ტრადიციულად დაუსაქმებელ ქალთა რიცხოვნობა ჯერ კიდევ მკვეთრად აღემატება დაუსაქმებელ კაცთა რიცხოვნობას, რასაც მრავალი, როგორც ობიეტური, ისე სუბიექტური ფაქტორები განაპირობებს.

ცხრილი№10

უმუშევრობის დონე კანდიდატ ქვეყნებში სქესის მიხედვით*
ათასებში

დაუსაქმებელთა საერთო რიცხვი	1999	2000	2001
ბულგარეთი	577	567	664
კიპროსი	17	14	12
ჩეხეთი	454	454	421
ესტონეთი	81	90	83
უნგრეთი	285	263	233
ლატვია	161	159	145
ლიტვა	263	276	299
პოლონეთი	-	2785	3170
რუმინეთი	790	821	750
სლოვენია	73	68	63
სლოვაკეთი	417	485	508
კაცები			
ბულგარეთი	313	306	364
კიპროსი	8	6	5
ჩეხეთი	211	212	195
ესტონეთი	46	50	44
უნგრეთი	171	160	143
ლატვია	89	87	82
ლიტვა	150	159	178
პოლონეთი	-	1345	1583
რუმინეთი	463	482	436
სლოვენია	38	35	31
სლოვაკეთი	227	265	283
ქალები			
ბულგარეთი	264	260	300
კიპროსი	9	9	7
ჩეხეთი	243	243	226
ესტონეთი	35	41	39
უნგრეთი	114	103	90
ლატვია	73	72	63
ლიტვა	113	117	121
პოლონეთი	-	1441	1587
რუმინეთი	327	339	314
სლოვენია	35	32	32
სლოვაკეთი	190	220	225

როგორც ცხრილიდან ჩანს, უმუშევართა მაქსიმალური რიცხვი პოლონეთშია, - 3170 ათასი კაცი. ამ ქვეყანაში თითქმის იმდენივე უმუშევარია, რამდენიც ევროკავშირის ყველა დანარჩენ კანდიდატ ქვეყანაში ერთად. ყველა ამ ქვეყანაში უმუშევართა რიცხოვნობა შეადგენს 3178 ათას კაცს ანუ იგი მხოლოდ 8 ათასი უმუშევრით აღემატება პოლონეთში არსებულ უმუშევართა რიცხოვნობას.

რაც შეეხება ასაკს, აქ ცხადია განსხვავება სერიოზულია. კერძოდ, როგორც ცხრილი [1]10-დან ჩანს, უმუშევრობა 24 წლამდე ასაკის ადამიანებში გაცილებით მაღალია, ვიდრე 25 წლის და ზევით ასაკის მოსახლეობაში. ეს გასაგებიც არის, 24 წლამდე ასაკში ადამიანი ეუფლება პროფესიულ ჩვევებს, იძენს გამოცდილებას და ა. შ.

თუმცა აქვე ისიც არის აღსანიშნავი, რომ კვიპროსში უმუშევრობა დაბალია როგორც 24 წლამდე ასაკის ადამიანებში, ისე 25 წლისა და ზევით ასაკის ადამიანებში. ეს, ჩვენი აზრით, იმით არის გამოწვეული, რომ ამ ქვეყანაში მაღალ დონეზეა განვითარებული ეროვნული მეურნეობის ისეთი დარგები, როგორებიცაა ტურიზმი და მასთან დაკავშირებული მომსახურების დარგები, რომლებიც თითქმის ასაკისა და პროფესიის განურჩევლად საჭიროებენ დიდი რაოდენობით ადგილობრივ მუშა-ხელს.

ცხრილი № 11

უმუშევრობის დონე კანდიდატ ქვეყნებში ასაკის მიხედვით*
პროცენტებში

უმუშევრობა ასაკის მიხედვით			
24 წლამდე	1999	2000	2001
ბულგარეთი	36.7	35.3	39.5
კიპროსი	11.9	10.5	8.4
ჩეხეთი	17	17	16.6
ესტონეთი	19.7	23.8	22.2
უნგრეთი	12.4	12.1	10.8
ლატვია	24.4	22.5	22.2
ლიტვა	26.5	29	30.2
პოლონეთი	-	35.1	41
რუმინეთი	18.8	18.6	17.5
სლოვენია	18.1	18.1	18.1
სლოვაკეთი	32.1	35.2	37.3
25 წელი და ზემოთ			
ბულგარეთი	14.6	14.7	17.4
კიპროსი	5.1	4.3	3.4
ჩეხეთი	7.2	7.4	6.9
ესტონეთი	11.2	12.1	11.2
უნგრეთი	5.9	5.4	5
ლატვია	12.8	13.4	11.9
ლიტვა	12.4	13.7	15.5
პოლონეთი	-	13.4	15.3
რუმინეთი	4.6	5.3	4.6
სლოვენია	6.0	5.6	4.9
სლოვაკეთი	12.7	15.3	15.7

როგორც ვხედავთ, თითქმის ყველა კანდიდატი ქვეყნისათვის უმუშევრობა საკმაოდ რთულად გადასაჭრელ პრობლემად გვევლინება (ცხადია, როდესაც ისეთ დიდ ინდუსტრიულ გიგანტ სახელმწიფოში, როგორსაც გერმანია წარმოადგენს, უმუშევრობა უკვე 10 პროცენტს გადასცილდა, რაღა უნდა ვთქვათ გარდამავალი ქვეყნის ეკონომიკაზე, თუნდაც რომ მას ევროკავშირში იღებდნენ). ამიტომ ამ ქვეყნებში ხშირად ადგილი აქვს ცდუნებას, უმუშევრობის პრობლემის გადაწყვეტა ხელისუფლებამ ხშირად ისეთი ფორმებით მოინდომოს, რომელიც გრძელვადიან პერსპექტივაში ქვეყნისათვის ნამდვილად იქნება უარყოფითი შედეგების მომტანი. თუ არ ვცდებით, გარკვეულწილად ამ საკითხისადმი ამგვარ მიდგომას ავლენს ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძეც. კერძოდ, მან 2003 წლის 10 მარტს თავის ტრადიციულ რადიოინტერვიუში, საუბრობდა რა იმ წყაროებზე, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი გახდებოდა მინიმალური ხელფასის 115 ლარამდე გაზრდა, დაახლოებით ასეთი რამ განაცხადა: ამ მიზნის მისაღწევად ერთ-ერთ წყაროდ საბიუჯეტო დაწესებულებებში, მათ შორის სამინისტროებში, დეპარტამენტებში დასაქმებულ მუშაკთა რიცხოვნობის შემცირებას მთავაზობენო. და გააგრძელა: ჩვენ უკვე შევამცირეთ სამინისტროების რიცხოვნება, მათში დასაქმებულ

მუშაკთა რაოდენობა, ქუჩაში ხალხის გაყრა, სამინისტროში მუშაობს თუ ქარხანაში, მიუღებელიაო.

ჩვენი აზრით, ეს ძალზე მცდარი მიდგომაა განსაკუთრებით იმ ქვეყნისათვის, რომელიც რეფორმების, ეკონომიკის რესტრუქტურიზაციის პროცესში იმყოფება. არ შეიძლება საბიუჯეტო დაწესებულება, სამინისტრო იქნება ეს თუ სხვა ნებისმიერი საბიუჯეტო დაწესებულება (კერძო ფირმა, რა თქმა უნდა, ამას არ გააკეთებს). მოსახლეობის დასაქმების ადგილად ვაქციოთ. ამას, როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური ხასიათის მრავალი უარყოფითი პროცესი მოჰყვება. მსგავს მიდგომებს უკვე ჰქონდა ადგილი საბჭოურ ეპოქაში და რა შედეგებიც მოიტანა, უკვე ვნახეთ. ამიტომ არ შეიძლება ადამიანი, როგორი პროფესიონალიც არ უნდა იყოს იგი, თუკი მას არ ექნება რაიმე კონკრეტული ფუნქცია შესასრულებლად, საბიუჯეტო ორგანიზაციაში ირიცხებოდეს მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ იგი უმუშევრად არ დარჩეს.

სწორედ ამგვარ, დამახინჯებულ შეხედულებათა მიზეზით ხდება, რომ ჩვენში რეფორმები ადგილიდან თითქმის არ იძვრის, ეკონომიკას წინსვლა არ ეტყობა, ხოლო უმუშევრობის პრობლემა, როგორი გადაუჭრელიც იყო, ისევე გადაუჭრელი რჩება. ამ ფორმით ,,დასაქმებული" მოხელეები სისხლისმწოვლებივით ჰყავს მძიმე ტვირთად დაწოლილი ქვეყანასა და მის მეურნეობას და გასაქანს არ აძლევენ მას. სწორედ ამგვარად ,,დასაქმებული" მოხელეები, იმისათვის, რომ ხალხის დასანახად რაიმეთი დაისაქმონ თავი, იგონებენ ათასგვარ ლიცენზიებს, სერთიფიკატებს და სხვა მსგავს ,,ფუნქციებს", რითიც კიდევ უფრო უძნელებენ ჩვენს ახლადდამწყებ მეწარმეებს, საშუალო ფენის წარმომადგენელთ ახალი საქმის წამოწყებას, ხოლო ზოგიერთ მათგანს აიძულებენ უკვე დაწყებულ საქმეზე ხელი აიღონ, რადგან მათ აღარ ხელეწიფებათ ამგვარი მოხელეების გასტუმრება.

ყოველივე აქედან გამომდინარე, ყველანაირი თვალსაზრისით უკეთესი იქნებოდა, თუკი ასეთი ხელოვნურად დასაქმებული მოხელეები იმ ხელფასს, რომელსაც ისინი სამინისტროებსა თუ სხვა საბიუჯეტო დაწებულებებში იღებენ, მათ შრომითი დასაქმების ბიუროებში აეღოთ დახმარების სახით.

ობიექტურები არ ვიქნებოდით, თუ არ ვიტყოდით, რომ ბოლო წლებში საკმაოდ შემცირდა, ამასთან კანონზომიერად, მართვის ორგანოების თანამშრომელთა რიცხოვნობა. კერძოდ, თუ მათი რიცხოვნობა 1998 წელს 5.5 ათას ადამიანს შეადგენდა, 1999 წელს მათი რაოდენობა უკვე 1.6 ათასამდეა დაყვანილი (უფრო ახალი მაჩვენებლები ჯერ დამუშავებული არ არის). ეს მაჩვენებელი განსაკუთრებით შემცირებულია სოფლად, სადაც 1998 წელს არსებული 2.7 ათასი მართვის ორგანოს თანამშრომელი 1999 წელს 0.5 ათასამდე შემცირდა. ამ მაჩვენებლის კლება შედარებით ნაკლებსაგრძნობი იყო ქალაქად, სადაც იგი 2.8 ათასიდან 1.1 ათასამდე შემცირდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ აღნიშნულ პერიოდში თუმცა მართვის ორგანოს თანამშრომლების რაოდენობა როგორ სოფლად, ისე ქალაქად შემცირდა, მაგრამ მართვის ორგანოს თანამშრომლების საერთო რიცხოვნობაში სოფლად დასაქმებულ

ხელმძღვანელთა რიცხოვნობა გაცილებით მეტად იქნა შემცირებული, ვიდრე ქალაქად. კერძოდ, თუ 1998 წელს ქალაქად დასაქმებულ მართვის ორგანოს თანამშრომლების ხვედრითი წილი შეადგენდა 51.5%-ს, ხოლო დანარჩენი სოფლად დასაქმებულთა წილად მოდიოდა, 1999 წელს აღნიშნულ პროპორციას შემდეგი სახე ჰქონდა: ქალაქად იყო დასაქმებული საერთოდ დასაქმებულ მართვის ორგანოს თანამშრომელთა 67.9 პროცენტი, ხოლო სოფლად 32.1 პროცენტი.

აღსანიშნავია ისიც, რომ საანალიზო პერიოდში შემცირდა მართვის ორგანოს ხელმძღვანელების ხვედრითი წილი საერთოდ ეროვნულ მეურნეობაში დასაქმებულთა შორის. კერძოდ, თუ 1998 წელს ეს მაჩვენებელი შეადგენდა 0.3 პროცენტს, 1999 წელს მართვის ორგანოს ხელმძღვანელების ხვედრითი წილი ეროვნულ მეურნეობაში დასაქმებულთა შორის 0.1 პროცენტამდე შემცირდა. ყველა საფუძველი გვაქვს ვამტკიცოთ, რომ აღნიშნული პროცესები კიდევ უნდა გაგრძელდეს და მმართველობის აპარატში დასაქმებულთა რიცხოვნობა უნდა დაუახლოვდეს იმ მაჩვენებელს, რომელიც აუცილებელია ქვეყნის ეროვნული მეურნეობის ნორმალური და ეფექტური ფუნქციონირებისათვის.

დასასრულს გვსურს გაგაცნოთ, თუ რა სახე აქვს სახელმწიფო მმართველობის ორგანოებში დასაქმებულთა ხვედრით წილს სხვადასხვა ქვეყნების მიხედვით: მაგალითად, სახელმწიფო მმართველობის ორგანოებში დასაქმებულები მთელ დასაქმებულებში რუსეთში შეადგენდნენ 1.8 პროცენტს, ბულგარეთში – 2.8 პროცენტს, უნგრეთში 5.8 პროცენტს, პოლონეთში 1.3 პროცენტს, სლოვაკეთში 5.5 პროცენტს, გერმანიაში 6.3 პროცენტს, შვედეთში 16.8 პროცენტს, საფრანგეთში 12.4 პროცენტს და ა. შ.

---

*იხ. http://www.insse.ro/canstat_Q3/social.htm

---

g§8. ინფლაცია კანდიდატ ქვეყნებში

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სფერო, რომელსაც ყველაზე მეტად შეეხო ეკონომიკური რეფორმები გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში (ხოლო ყველა კანდიდატი ქვეყანა, გარდა კვიპროსისა, სწორედ ასეთია), ფულის მიმოქცევის სფერო წარმოადგენს.

კერძოდ, ყველა ამ ქვეყნისათვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოთხოვნად არის დასახული ინფლაციის დარეგულირება და მისი დაბალ დონეზე შენარჩუნება. თუ რა მდგომარეობაა ამ მხრივ კანდიდატ ქვეყნებში, წარმოდგენას შეგვიქმნის ქვემოთ მოტანილი ცხრილი:

ცხრილი №12

ინფლაციის მაჩვენებლები კანდიდატ ქვეყნებში,

პროცენტულად, წინა წელთან შედარებით

	1999წ.	2000წ.	2001წ.
ინფლაცია, ხელ			
ბულგარეთი	102.6	110.3	107.4
კვიპროსი	101.7	104.1	102
ჩეხეთი	102.1	103.9	104.7
ესტონეთი	103.3	104.1	105.8
უნგრეთი	110.1	109.8	109.1
ლატვია	102.4	102.6	102.5
ლიტვა	100.1	101.1	101.3
პოლონეთი	107.1	110.1	105.1
რუმინეთი	145.1	145.1	134.1
სლოვენია	106.1	108.9	108.1
სლოვაკეთი	110.1	112.1	107.4

ინფლაცია კვების პროდუქტებზე			
ბულგარეთი	92.1	110.1	106.1
კიპროსი	101.1	105.1	104.1
ჩეხეთი	94.5	101.1	105.1
ესტონეთი	96.2	102.1	108.1
უნგრეთი	102.1	109.1	113.7
ლატვია	98.4	100.1	108.1
ლიტვა	96.1	97.6	103.3
პოლონეთი	102.1	110.1	105.1
რუმინეთი	126.3	144.1	136.8
სლოვენია	103.1	105.1	109.1
სლოვაკეთი	102.1	105.1	105.1
ინფლაცია ალკოჰოლის და თამბაქოზე			
ბულგარეთი	121.1	102.1	100.6
კიპროსი	121.7	102.1	100.6
ჩეხეთი	111.1	108.2	102.8
ესტონეთი	104.1	103.1	103.1
უნგრეთი	111.5	110.8	110.3
ლატვია	106.9	106.9	102.7
ლიტვა	102.7	90.3	99.4
პოლონეთი	110.2	108.7	104.7
რუმინეთი	161.5	129.7	131.1
სლოვენია	107	104.7	107.7
სლოვაკეთი	104.3	109.6	103.3
ინფლაცია ტანსაცმელის და ფეხსაცმელზე			
ბულგარეთი	97.1	96	100.3
კიპროსი	103.5	99.5	93.3
ჩეხეთი	100	98.1	98.3
ესტონეთი	106.9	103.4	103.6
უნგრეთი	110.6	106.1	105.6
ლატვია	106.1	101.2	100.9
ლიტვა	102.2	99.2	95.8
პოლონეთი	106.5	105.5	101.5
რუმინეთი	132.2	129.8	128
სლოვენია	106.7	106.9	101.9
სლოვაკეთი	107.5	103.1	102.4

როგორც მოტანილი მასალები გვიჩვენებს, კანდიდატმა ქვეყნებმა უკვე შეძლეს დაერეგულირებინათ ინფლაცია და ახლა ეს მაჩვენებელი თითქმის ყველა ამ ქვეყანაში, გარდა რუმინეთისა, ერთნიშნა მაჩვენებელს არ აღემატება. ამ მხრივ განსაკუთრებით კარგი მდგომარეობაა ესტონეთში, ლიტვაში, კვიპროსში, ჩეხეთში და ა. შ.

ბოლო წლებში საქართველოში ინფლაცია ტრადიციულად დაბალია. კერძოდ, 1998 წელს იგი შეადგენდა 10.7%-ს, 1999 წელს – 10.9%-ს, 2000 წელს 4.6%-ს, 2001 წელს – 3.4%-ს, ხოლო 2002 წელს – 5.4%-ს.

ცალკეული პროდუქტების მიხედვით, საქართველოში ინფლაცია 2001 წელს ყველაზე მაღალი იყო თევზზე – 22.4%, თამბაქოზე – 12.9% და ა. შ. იმავდროულად ინფლაცია ყველაზე დაბალი იყო ფქვილზე – 0.4% და ა. შ.

ამ წელს წინა წელთან შედარებით ფასები შემცირდა თევზის კონსერვზე, რძესა და რძის პროდუქტებზე, ყველზე და სხვ.

---

* იხ. http://www.insse.ro/canstat_Q3/prices.htm

---

§ 9. კანდიდატი ქვეყნების საბანკო-საკრედიტო პრობლემები

სახელგანთქმული ფანტასტიური ნოველების ავტორის, 85 წლის ინგლისელი არტურ კლარკის აზრით, 2016 წლისათვის მთელ მსოფლიოში ყველა სახის ეროვნული ვალუტა გაუქმდება. ძნელი სათქმელია, რამ მისცა ასეთი პროგნოზის გაკეთების საფუძველი თითქმის შეუმცდარი პროგნოზების დიდოსტატს, რადგან ჯერჯერობით ალბათ ყველა ქვეყანაში მონეტარიზაციის კოეფიციენტი (გამოითვლება ბანკებსა და მოსახლეობის ხელთ არსებული ნაღდი ფულის შეფარდებით ქვეყანაში წარმოებულ მთლიან შიდა პროდუქტთან) სწრაფი ტემპებით იზრდება.

კერძოდ, 2001 წლის მონაცემებით, აღნიშნული მაჩვენებელი ევროზონის ქვეყნებში შეადგენდა თითქმის 80 პროცენტს[1], შეერთებულ შტატებშიც ამდენივეს. აღნიშნული მაჩვენებელი კიდევ უფრო მაღალია გაერთიანებულ სამეფოში და იგი 95 პროცენტს აღემატება.[2]

რაც შეეხება გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებს, მათ შორის იმ ქვეყნებსაც, რომლებიც ევროკავშირის კანდიდატებად განიხილებიან, აქ იგი ჯერჯერობით დაბალია. მაგალითად, პოლონეთში მონეტარიზაციის კოეფიციენტი 44 პროცენტის დონეზეა[3].

ამის შესახებ წარმოდგენას შეგვიქმნის ქვემოთ მოტანილი ცხრილი 13 (იხ. ცხრილი №13).

როგორც ცხრილიდან ჩანს, მიმოქცევაში არსებული ფულის მოცულობა მშპ-თან მიმართებაში ჯერ კიდევ დაბალია ყველა კანდიდატ ქვეყანაში. იგი საშუალოდ 5.6%-დან (რუმინეთში), 29.7%-მდე (ესტონეთში) მერყეობს. ეს მაჩვენებელი საშუალოდ ყველა კანდიდატი ქვეყნისათვის 17.9%-ს შეადგენს.

ანალოგიური მაჩვენებელი საქართველოში 2002 წელს შეადგენდა 6.1%-ს. აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ თუმცა ეს მაჩვენებელი რუმინეთში არსებულ ანალოგიურ მაჩვენებელზე ოდნავ მაღალია, მაგრამ ჯერ კიდევ ჩამორჩება კანდიდატ ქვეყნებში არსებულ ანალოგიურ მაჩვენებელს.

ცხრილი №13

ნაღდი ფულის (ეროვნულ ვალუტაში, მილიარდი) მოცულობა და მისი ზრდის მაჩვენებელი 1999 -2001 წლებში

ქვეყნები	1999წ	2000წ.	2001წ.	ზრდა 2001 წელს 1999 წელთან შედარებით, %	ნაღდი ფულის მოცულობა მიმოქცევაში მშპ-თან მიმართებაში, %
ბულგარეთი	3302	3976	4884	47.9	16.5
კვიპროსი	1.040	1.081	1.102	5.9	18.7
ჩეხეთი	447.8	497.7	583.6	30.3	27
ესტონეთი	19.3	23.4	28.7	21.2	29.7
უნგრეთი	2135.6	2378.3	2775.9	30	18.7
ლატვია	0.611	0.745	0.842	37.8	17.7
ლიტვა	5.3	5.7	6.7	26.4	14
პოლონეთი	111.4	106.5	118.3	6.2	15.8
რუმინეთი	29668.9	16331.1	64308.6	116.8	5.6
სლოვენია	363.7	385.9	462.5	27.2	10.1
სლოვაკეთი	153.9	187.2	228.5	48.5	23.1

აქვე უნდა ითქვას, რომ მიმოქცევაში არსებული ნაღდი ფულის მოცულობა საქართველოში 2002 წელს წინა წელთან შედარებით გაიზარდა 18.4%-ით და 509 მილიონ ლარს გაუტოლდა; თუმცა ზრდის ეს მაჩვენებელი აღემატება კვიპროსის და პოლონეთის ანალოგიურ მაჩვენებელს, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენთან ჯერ კიდევ დაბალია მაჩვენებელი, რომელიც გამოსახავს ნაღდი ფულის მშპ-თან მიმართებას, უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ საქართველოში ჯერ კიდევ უდიდესი რეზერვები არსებობს.

აღსანიშნავია, რომ ფულის მასის შეფარდება მშპ-თან ასევე დაბალია ჩვენს მეზობელ რუსეთშიც, სადაც იგი 15 პროცენტს არ აღემატება. საერთოდ, როგორც ექსპერტები წერენ, განვითარებულ ქვეყნებში ფულის მასის შეფარდება მშპ-თან 60-120 პროცენტის ფარგლებში მერყეობს, ხოლო გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში იგი 25-30 პროცენტის ტოლია (იხ. ჟურნალი „ДЕНЬГИ И КРЕДИТ", 2002 წლის № 5)

განვლილ პერიოდში ეკონომიკური რეფორმები, რომლებიც ხორციელდებოდა კანდიდატ ქვეყნებში, შეეხო როგორც ბანკების რიცხოვნობას, ისე მათ ისეთ ძირითად ფუნქციებს, როგორიცაა დეპოზიტების აკუმულირება და კრედიტების გაცემა. აღნიშნულის შესახებ წარმოდგენას შეგვიქმნის ქვემოთ მოტანილი ცხრილი:

ცხრილი №14

კანდიდატი ქვეყნების კომერციული ბანკების მიერ საპროცენტო განაკვეთები ანაბრებზე, %-ში

ქვეყნები	1999წ.	2000წ.	2001წ
ბულგარეთი	3.3	3.2	3.2
კიპროსი	6.5	6.5	4.8
ჩეხეთი	4.5	3.4	3.0
ესტონეთი	3.3	4.5	2.6
უნგრეთი	12.8	9.9	8.3
ლატვია	5.3	4.4	5.3
ლიტვა	4.1	3.7	2.7
პოლონეთი	16.8	17.1	11.8
რუმინეთი	45.8	31.1	26.6
სლოვენია	7.6	10	9.9
სლოვაკეთი	12.8	8.6	6.2

ცხადია, დეპოზიტებზე პროცენტების შემცირება კომერციულ ბანკებს საშუალებას აძლევს შეამცირონ აგრეთვე კრედიტებზე საპროცენტო განაკვეთები. ამ ქვეყნებში აღნიშნულ მაჩვენებლებს შემდეგი სახე აქვთ:

ცხრილი №15

კანდიდატი ქვეყნების კომერციული ბანკების მიერ საპროცენტო განაკვეთები კრედიტებზე, %-ში

ქვეყნები	1999წ.	2000წ.	2001წ.
ბულგარეთი	13.3	12.2	11.7
კიპროსი	8	8	7.5
ჩეხეთი	8.7	7.2	7.0
ესტონეთი	8.6	8.4	9.8
უნგრეთი	15.8	12.9	11.3
ლატვია	13.9	12.1	10.8
ლიტვა	13.1	12.1	9.7
პოლონეთი	19	21.5	14
რუმინეთი	65.9	53.5	45.1
სლოვენია	12.4	15.8	15.2
სლოვაკეთი	16.8	11.8	9.3

1999-2001 წლებში დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთი თითქმის ყველა კანდიდატ ქვეყანაში შემცირდა, გარდა ლატვიისა, სადაც იგი ერთ დონეზე იქნა შენარჩუნებული და სლოვენიისა, სადაც იგი გაიზარდა კიდეც თითქმის 10 პროცენტამდე. საანალიზო პერიოდში დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთი

განსაკუთრებით შემცირდა ჩეხეთში (44%-ით), უნგრეთში (34.5%-ით), და ა. შ. ამჟამად, ეკონომიკური თვალსაზრისით, ყველაზე შემოსავლიანია დეპოზიტი რუმინეთში (წლიური 26.4%) და პოლონეთში -(11.8%).

ცხადია, ამავე პერიოდში შემცირდა საპროცენტო განაკვეთი კომერციული ბანკების მიერ გაცემულ კრედიტებზეც. კერძოდ, იგი შემცირდა 27.3 პროცენტით უნგრეთში, 31.6 პროცენტით რუმინეთში და ა. შ.

დღეისათვის, ეკონომიკური თვალსაზრისით, ყველაზე ხელსაყრელია კრედიტის აღება ჩეხეთში, კვიპროსში და ა. შ.

საქართველოში დეპოზიტებზე საპროცენტო დანარიცხები გაცილებით მაღალია, ვიდრე კანდიდატ ქვეყნების უმრავლესობაში. კერძოდ, წლიური საპროცენტო განაკვეთები შემდეგნაირად წარმოგვიდგება:

	ეროვნულ ვალუტაში: (ძირითადად აშშ დოლარი)	უცხოურ ვალუტაში
მოთხოვნამდე	2	5
1 თვემდე	8	8
1-3 თვემდე	9	10
3-6 თვემდე	11	10
3-6 თვემდე	13	12
ერთ წელზე მეტი	11	11

ცხადია, მაღალი საპროცენტო განაკვეთები დეპოზიტებზე იწვევს ასევე მაღალ საპროცენტო განაკვეთებს კრედიტებზე. კერძოდ, სესხებზე წლიური საპროცენტო განაკვეთები შემდეგნაირად წარმოგვიდგება:

	ეროვნულ ვალუტაში: (ძირითადად აშშ დოლარი)	უცხოურ ვალუტაში
1 თვემდე	28	29
1-3 თვემდე	28	25
3-6 თვემდე	22	25
3-6 თვემდე	22	21
ერთ წელზე მეტი	17	19

სესხზე, რომლის დაფარვაც კრედიტორმა შეიძლება მოითხოვოს ნებისმიერ დროს, ეროვნულ ვალუტაში 20-26 პროცენტს შორის მერყეობს, ხოლო უცხოურ ვალუტაში –16-25 პროცენტს შორის.

ქართველ ბიზნესმენებს სხვადასხვა ქვეყანაში ოპერაციების განსახორციელებლად, ხოლო უცხოელ ბიზნესმენებს საქართველოში სამოღვაწეოდ აშშ დოლართან ერთად სჭირდებათ ჩვენი ეროვნული ვალუტაც და ასევე ზოგიერთი

უცხოური ვალუტაც. მათი შემენის შესაძლებლობაც მათ თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე ემლევათ. აქ ვალუტათა ყიდვა-გაყიდვის შედეგად დგება ასევე მათი კურსი ლართან თუ ერთმანეთთან მიმართებაში.

ცხრილი №16

თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კანდიდატი ქვეყნების იმ ვალუტების მიმართ ლარის გაცვლითი კურსები, რომლებიც ბირჟაზე კოტირდება

ქვეყანები	უცხოური ვალუტა	ლარი	2002 წლის 26 მარტი	2003 წლის 22 მარტი	პროცენტული ცვლილება 2003 წელს წინა წელთან შედარებით
ბულგარეთი	ლევი	1	1.1629	1.1257	-3.2
კიპრეი	ფუნტი	1	_	1.1547	_
ჩეხეთი	კრონა	1	0.0715	0.0705	-1.4
ესტონეთი	კრონი	10	1.4513	1.3859	-4.6
უნგრეთი	ფორინტი	100	0.9223	0.9304	+0.9
ლატვია	ლატი	1	3.6333	3.5354	-2.9
ლიტვა	ლიტი	10	6.5877	6.2657	-4.9
პოლონეთი	ზლოტი	1	0.5268	0.5515	+4.7
რუმინეთი	ლეი	19000	0.6380	0.6365	-0.3

როგორც ვხედავთ, განვლილი წლის (2002 წლის 26 მარტი – 2003 წლის 22 მარტი) მანძილზე ლარის კურსი გამყარებულია პოლონური ზლოტისა და უნგრული ფორინტის მიმართ. რაც შეეხება დანარჩენი კანდიდატი ქვეყნების ეროვნულ ვალუტებს (გარდა კვიპროსის, სლოვენიისა და სლოვაკეთის ეროვნული ვალუტებისა, რომელთა კოტირებაც არ ხდება თბსბ), მათ მიმართ ლარის კურსი საანალიზო პერიოდში შემცირდა.

კანდიდატი ქვეყნების ეროვნული ვალუტების კურსის ცვლილებას აშშ დოლარისა და ევროს მიმართ საანალიზო პერიოდში შემდეგი სახე ჰქონდა:

ცხრილი №17

ეროვნული ვალუტების კურსები აშშ დოლარის მიმართ

ქვეყნები	ეროვნული ვალუტა და მისი სიმბოლო	1999 წ.	2000წ.	2001 წ.	კურსის შეცვლა დოლარის მიმართ	კურსის შეცვლა ევროს მიმართ
ხელგარეთი	ლევი BGN	1.8364	2.1233	2.1847	-16	0
კვიპროსი	ფუნტი CYP	0.543	0.622	0.643	-15.6	+0.5
ჩეხეთი	კრონა CZK	34.6	38.59	38.04	-9	+7.6
ესტონეთი	კრონა EEK	14.7	17	17.5	-16	0
უნგრეთი	ფორინტი HUF	237.31	282.27	286.54	-17.2	-1.5
ლატვია	ლატი LVL	0.585	0.606	0.628	-6.9	+10
ლიტვა	ლიტი LTL	4.000	4.000	4.000	0	+16.1
პოლონეთი	ზლოტი PLN	3.9675	4.3464	4.3464	-3	+13.3
რუმინეთი	ლეი ROL	15332.9	21692.7.	29075.6	-47.3	-38
სლოვენია	ტოლარი SIT	181.77	222.68	242.75	-25.2	-12
სლოვაკეთი	კორონა SKK	41.42	46.20	48.35	-13.8	+1.9

1999-2001 წლებში აშშ დოლართან მიმართებაში კანდიდატი ქვეყნების ეროვნული ვალუტებიდან ყველაზე მეტად გაუფასურდა რუმინული ლეი, რომელმაც 47.3%-ით განიცადა დევალვაცია, სლოვენურმა ტოლარმა დევალვაცია განიცადა 25.2%, უნგრულმა ფორინტმა – 17.2%, ესტონურმა კრონამ – 16%-ით, ბულგარულმა ლევმა – 16%-ით და ა. შ. რაც შეეხება ლატვიურ ლატს, მისი კურსი საანალიზო პერიოდში დოლარის მიმართ არ შეცვლილა.

ევროს მიმართ კანდიდატი ქვეყნების ეროვნული ვალუტების მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილმა დაკარგა კურსი, დანარჩენები კი პირიქით, - საანალიზო პერიოდში განმტკიცდა კიდეც.

კერძოდ, 1999-2001 წლებში ევროსთან მიმართებაში განმტკიცდა ისეთი ქვეყნების ეროვნული ვალუტების კურსები, როგორიცაა კვიპროსის, ჩეხეთის, ლატვიის, ლიტვის, პოლონეთის და სლოვაკეთის. ამავე პერიოდში ევროსთან შედარებით გაუფასურდა უნგრეთის, რუმინეთის და სლოვენიის ეროვნული ვალუტები.

მხოლოდ ბულგარეთისა და ესტონეთის, შესახებ შეიძლება ითქვას, რომ ამ ქვეყნების ეროვნულ ვალუტებს საანალიზო პერიოდში ევროს მიმართ კურსი არ შეუცვლიათ (იხ. ცხრ. №16)

ზემოთაც ვთქვით, რომ გარდამავალი ეკონომიკის და მათ შორის, განსაკუთრებით, კანდიდატ ქვეყნებში, ეროვნული მეურნეობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სფეროს საბანკო სფერო წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, მკითხველი ინტერესით გაეცნობა ერთ-ერთი კანდიდატი ქვეყნის, პოლონეთის საბანკო სისტემას.

---

1. მონაცემების ბაზად გამოყენებულია International Finansial Statistics
2. ამ ქვეყნისათვის მონეტარიზაციის კოეფიციენტი გამოთვლილია M 4-ის მიხედვით.

3. წყარო: R. Kokoszczynski – Czynniki strukturalne we wspolczesnych teoriach, ვარშავა, 2002

* იხ. http://www.insse.ro/canstat_Q3/pinance.htm

---

§10. პოლონეთის საბანკო სისტემა: განვითარების გზები და პერსპექტივები

ა) მაკროეკონომიკური მაჩვენებლები

პოლონელი და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების ექსპერტები ერთხმად აღნიშნავენ ბოლო 10 წლის მანძილზე პოლონეთის ეკონომიკური მდგომარეობის აშკარა გაუმჯობესების ფაქტს.

1993-98 წლებში მშპ წელიწადში საშუალოდ 5-ზე მეტი პროცენტით გაიზარდა, ინფლაცია 35-დან 7%-მდე დაეცა, ხოლო უმუშევრობის მაჩვენებელი თითქმის ერთნიშნა ციფრამდე შემცირდა. თუმცა 1998 -1999 წლებში ზოგიერთი მაკროეკონომიკური მაჩვენებელი გაუარესდა, რაც ძირითადად რუსეთის კრიზისისა და ქვეყნისათვის სტიქიური უბედურებებით მიყენებული ზარალით (გვალვა, წყალდიდობა) იყო განპირობებული. ასევე უარყოფითად იმოქმედა ევროკავშირის ქვეყნებში, განსაკუთრებით გერმანიაში, ენერგომატარებლების ბაზარზე ფასების მკვეთრმა აწევამ და სხვა ფაქტორებმა. შედეგად, 1999 წლის პირველ ნახევარში პოლონეთში მშპ-ის ზრდის ტემპი 2%-მდე დაეცა. ამავე წელს უმუშევრობა 13%-მდე გაიზარდა, გაუარესდა სხვა ეკონომიკური მაჩვენებლებიც: იკლო მოსახლეობის რეალურმა შემოსავლებმა, გაიზარდა საგადამხდელო ბალანსის დეფიციტი, რომლის უარყოფითმა ნაშთმა მშპ-ის მიმართ თითქმის 8% შეადგინა (იხ. ცხრილი №18).[1]

მოვლენათა ამგვარმა განვითარებამ უარყოფითი გავლენა მოახდინა საბანკო სექტორზეც. კერძოდ, 1999 წელს საბანკო აქტივები რეალურად მხოლოდ 4,1%-ით გაიზარდა, მაშინ, როდესაც ანალოგიური მაჩვენებელი 1998 წელს 18,5%-ს შეადგენდა.

1999 წელს ინფლაციის საშუალო წლიური მაჩვენებელი, წინა წელთან შედარებით 4,5%-ით ნაკლები იყო და 7,1% დაფიქსირდა.

ცნობილი ეკონომისტი, პოლონეთში სსფ-ის მისიის ხელმძღვანელი ფრანსის როზდოვსკი მიიჩნევს, რომ ამ მოვლენათა ფონზე პოლონეთის ეროვნული ვალუტის – ზლოტის მიმართ ადგილობრივი მოსახლეობისა და უცხოელი ინვესტორების ნდობის დაკარგვის საფრთხე იქმნება. 1999 წელს ზლოტის კურსის ცვლილებამ 12,4% შეადგინა, რაც 2,2%-ით მეტი იყო წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით (1998 წელს – 10,2%). იმ საგარეო ფაქტორებიდან, რამაც ზლოტის დეპრეციაცია გამოიწვია, აღსანიშნავია ბრაზილიური რეალის გაუფასურება, კოსოვოს კონფლიქტი, ევროს კურსის დაცემა და სხვ.

ზოგიერთი პოლონელი ექსპერტი ვალუტის გაცვლის მცურავი რეჟიმისა და სავალუტო რეზერვების დიდი მოცულობის პირობებში სავალუტო კრიზისის

განვითარებას შეუძლებლად მიიჩნევს. 1999 წლის ბოლოს პოლონეთის საერთაშორისო სავალუტო რეზერვები 25,5 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენდა.

1999 წლის 1 იანვრიდან პოლონეთის მინისტრთა საბჭოს და ფულადი პოლიტიკის საბჭოს ერთობლივი გადაწყვეტილებით პებ-ის საერთაშორისო რეზერვების 55%-ს შეადგენს ევრო, ხოლო დანარჩენი (45%) – აშშ დოლარია.

ბ) პოლონეთის საბანკო სისტემა

პოლონეთში ორსაფეხურიანი საბანკო სისტემის მოდელი მოქმედებს – პოლონეთის ეროვნული ბანკი და მისი რეგულირების სფერო – კომერციული და კოოპერაციული ბანკები.

გ) პოლონეთის ეროვნული ბანკი

1997 წლის 29 აგვისტოს ეროვნული ბანკის შესახებ მიღებული კანონის თანახმად, პებ-ის ძირითადი ამოცანაა ქვეყანაში ფასების სტაბილურობის რეგულირება და სამთავრობო გადაწვეტილებათა მხარდაჭერა.

პოლონეთის ეროვნული ბანკის ფუნქციებს განეკუთვნება ასევე: ფულის მიმოქცევის სფეროს რეგულირება, სავალუტო რეზერვების შექმნა, სახელმწიფო ბიუჯეტის საბანკო მომსახურება, საბანკო სისტემის სიმყარისა და რეფინანსირების უზრუნველყოფა და სხვ.

პებ-ს მართავს პოლონეთის ეროვნული ბანკის პრეზიდენტი, ფულადი პოლიტიკის საბჭო და პებ-ის საბჭო.

ა) პებ-ის პრეზიდენტს ქვეყნის პრეზიდენტის წარდგინებით ნიშნავს პოლონეთის სეიმი ექვსი წლის ვადით. პოლონეთის ეროვნული ბანკის შესახებ კანონი პრეზიდენტის მეორე ვადით არჩევასაც ითვალისწინებს. პებ-ის პრეზიდენტი ხელმძღვანელობს ფულადი პოლიტიკის საბჭოს, პებ-ის საბჭოს და საბანკო ზედამხედველობის კომისიას.

ბ) ფულადი პოლიტიკის საბჭო (ფპს) შეიმუშავებს ყოველწლიურ ფულად პოლიტიკას და მთავრობის მიერ შემუშავებულ ბიუჯეტის პროექტთან ერთად წარუდგენს ქვეყნის სეიმს.

გ) პებ-ის ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითად

მიმართულებებს შეიმუშავებს ეროვნული ბანკის საბჭო. საბჭოს თავმჯდომარეობს პებ-ის პრეზიდენტი და 9 წევრი, რომელთაც ამტკიცებს ქვეყნის პრეზიდენტი, სეიმი და სენატი. საბჭოს წევრებს ირჩევენ ასევე ექვსი წლის ვადით.

დ) პოლონეთის ბანკებზე ზედამხედველობის მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის შემუშავება და მისი შემდგომ განხორციელება საბანკო ზედამხედველობის კომისიის ფუნქციებს განეკუთვნება. აღნიშნული სტრუქტურის გადაწყვეტილებათა უშუალო შესრულება და კოორდინაცია საბანკო ზედამხედველობის გენერალური ინსპექტორის ფუნქციებში შედის.

დ) ცენტრალური ბანკის ფულადი პოლიტიკის ინსტრუმენტები

ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ეფექტიანი განხორციელების მიზნით პოლონეთის ეროვნული ბანკი საკმაოდ აქტიურად მიმართავს კომერციული ბანკებისათვის მოზიდული სახსრებიდან სავალდებულო რეზერვების შექმნის მექანიზმს. სადღეისოდ აღნიშნული მაჩვენებელი შეადგენს 5%-ს და მასზე პროცენტის დარიცხვას არ ექვემდებარება.

ეროვნულ ბანკში სავალდებულო რეზერვების აკუმულირებას ექვემდებარება კომერციულ ბანკებში საბანკო დეპოზიტებზე მოზიდული სახსრები როგორც ზლოტებში, ასევე უცხოურ ვალუტაში, ფასიანი ქაღალდების რეალიზაციიდან მიღებული და ყველა სხვა შემოსავლები. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ეკონომიკური ნორმატივი არ ითვალისწინებს ვალუტების მიხედვით დიფერენცირებას.

ასრულებს რა ქვეყნის ფისკალური აგენტის ფუნქციებს, ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსების მიზნით, ეროვნული ბანკის მიერ განთავსებული სახელმწიფო სახაზინო ვალდებულებების მოცულობამ 1999 წელს 45 461,8 მილიონი ზლოტი შეადგინა.

1999 წელს პოლონეთის ეროვნული ბანკის წმინდა მოგება 8,6 მლრდ ზლოტს მიაღწია, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 12,3%-ით აღემატება.

ცხრილი №18

	1995	1996	1997	1998	1999
მშპ-ის ზრდა (%-ში)	7,0	6,0	6,8	4,8	4,1
უმუშევრობა (%-ში)	14,9	13,2	10,3	10,4	13,0
შიდა ეროვნული დანაზოგი (მშპ-ის მიმართ %-ში)	24,0	21,0	21,7	22,0	19,9
საგაჭრო ბალანსი (მშპ-ის მიმართ %-ში)	-1,5	-5,7	-7,9	-8,7	-9,4
მიმდინარე ანგარიშები (მშპ-ის მიმართ %-ში)	4,2	-1,0	-3,0	-4,4	-7,6
ოფიციალური რეზერვები (მლრდ აშშ დოლარი)	15,0	18,0	20,7	27,4	25,5
რეზერვებით იმპორტის გადაფარვა (თვე)	7,2	6,6	6,4	7,5	7,5
საგარეო ვალი (მლრდ აშშ დოლარი)	44,0	47,6	48,9	56,9	60,9
ზლოტის დეპრეციაცია (...) აშშ დოლარის მიმართ	-6,3	-10,1	-17,8	-10,2	-12,4

პოლონეთის ეკონომიკის განვითარება 1995-99 წლებში[2]

ე) კომერციული ბანკების სისტემა

სადღეისოდ პოლონეთში 75 კომერციული და 781 კოოპერაციული ბანკი ფუნქციონირებს. ქვეყნის საფინანსო სფეროს მთლიანი აქტივების თითქმის 90% საბანკო სექტორზე მოდის.

პოლონეთის საბანკო სისტემაში პრივატიზაციისა და კონსოლიდაციის ტემპების ზრდის პერიოდად 1999 წელს მიიჩნევენ. ამ წელს მოხდა 4 მსხვილი ბანკის პრივატიზება და რამდენიმე ბანკის გაერთიანება. 1999 წელს ბანკების პრივატიზაციის შედეგად ქვეყნის ბიუჯეტმა 313,7 მლნ ზლოტი (დაახლოებით 79,8 მლნ აშშ დოლარი) მიიღო. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ კომერციულ ბანკებში სახელმწიფო წილის პრივატიზების ტენდენცია მომავალშიც გაგრძელდება.

სერიოზული რეფორმები განხორციელდა კოოპერაციული ბანკების სფეროშიც. თუ ქვეყანაში ეკონომიკური რეფორმების სასტარტო ეტაპზე, 1993 წელს, პოლონეთში მოქმედებდა 1653 კოოპერაციული ბანკი, 1999 წლის მდგომარეობით აღნიშნული პროფილის ბანკების რაოდენობა 781-მდე შემცირდა. ამავე პერიოდის მაჩვენებლებით, საბანკო სისტემის აქტივების მთლიან მოცულობაში კომერციული ბანკების აქტივების ხვედრითი წილი 95,8%-ს, ხოლო კოოპერაციული ბანკებისა 4,2%-ს შეადგენს. პოლონეთის საბანკო სისტემის აქტივები 1999 წლის 30 ივნისიდან 2000 წლის 30 ივნისამდე 349 მლრდ ზლოტიდან 422 მლრდ ზლოტამდე, ანუ 12%-ით გაიზარდა. აღნიშნულ პერიოდში შეიცვალა ასევე ბანკების საკუთრების ფორმის სტრუქტურაც. სადღეისოდ კერძო მფლობელობაშია ქვეყნის საბანკო აქტივების 76,1%, სახელმწიფოს აქციების საკონტროლო პაკეტი მხოლოდ 7 ბანკში დარჩა, ანუ იგი საბანკო აქტივების მხოლოდ 23,9 პროცენტს განკარგავს (ცხრ. №19).[3]

ცხრილი №19

პოლონეთის საბანკო სისტემის სტრუქტურა საკუთრების ფორმების მიხედვით

	1993	1994	1995	1996	1997	1998	1999
1. კომბანკები:	87	82	81	81	83	83	77
2. სახელმწიფო კაპიტალის უპირატესობით	29	29	27	24	15	13	7
3. კერძო კაპიტალის უპირატესობით	58	53	54	57	68	70	70
3.შ. პოლონური კაპიტალის უპირატესობით	48	42	36	32	39	39	31
უცხოური კაპიტალის უპირატესობით	10	11	18	25	29	31	39
4. კოოპერაციული ბანკები	1653	1612	1510	1394	1295	1189	781
სულ საბანკო სისტემა	1740	1694	1591	1475	1378	1272	858

აქტივების მოცულობა %-ში							
1. კომბანკები:	93,4	94,7	95,2	95,4	95,5	95,7	95,8
2. სახელმწიფო კაპიტალის უპირატესობით	80,4	76,1	68,3	66,5	49,3	45,9	23,9
3. კერძო კაპიტალის უპირატესობით	13,0	18,6	26,9	28,9	46,9	49,8	71,8
4. პოლონური კაპიტალის უპირატესობით	10,4	15,4	22,7	15,1	30,9	33,2	24,6
5. უცხოური კაპიტალის უპირატესობით	2,6	3,2	4,2	13,7	15,3	16,6	47,2
6. კოოპერაციული ბანკები	6,6	5,3	4,8	4,6	4,5	4,3	4,2
სულ საბანკო სისტემა	100,0	100,0	100,0	100,0	100,0	100,0	100,0

პოლონეთის საბანკო სისტემა კაპიტალის კონცენტრაციის ტენდენციით ხასიათდება. კერძოდ, თუ 1998 წლის ბოლოს ქვეყნის 5 ყველაზე მსხვილი ბანკი მთლიანი საბანკო აქტივების 42,9% -ს ფლობდა, 1999 წლის ბოლოს ეს მაჩვეენებელი 47,7%-მდე გაიზარდა. იმავე პერიოდში 75,1%-დან 79%-მდე გაიზარდა 15 უმსხვილესი ბანკის აქტივების ხვედრითი წილი მთლიანი საბანკო აქტივების მოცულობაში. საანალიზო პერიოდში ზრდა დაფიქსირდა ასევე ამ ბანკებში განთავსებული დეპოზიტებისა და მათ მიერ გაცემული კრედიტების მოცულობების მიხედვითაც. კერძოდ, 1999 წლის ბოლოს 15 მსხვილი ბანკის დეპოზიტების მთლიანი მოცულობა 83,5%-ს, ხოლო მათ მიერ გაცემული რესურსები საბანკო სისტემის საკრედიტო პორტფელის 77,4%-ს შეადგენდა.

1999 წლის მაჩვენებლებით, პოლონეთის საბანკო სისტემის საერთო აქტივების 15,9% განთავსებულია ფინანსურ სექტორში, 44% – არაფინანსურ სექტორში, 3,5% – საბიუჯეტო სექტორში, 2,8% – ეროვნულ ბანკში, 24,5% – ფასიან ქაღალდებში, ხოლო 9,3% – სხვადასხვა სფეროში.

საბანკო აქტივების შეფარდებით მშპ-თან, პოლონეთი ჩამორჩება როგორც ევროკავშირის ქვეყნებს, ასევე ჩეხეთსა და უნგრეთსაც და ჯერჯერობით საკმაოდ დაბალ მაჩვენებლად რჩება. კერძოდ, იგი ევროკავშირის ქვეყნებისათვის საშუალოდ მშპ-ის 212%-ს შეადგენს; ევროპის უდიდესი ბანკის – დოიჩე ბანკის აქტივები თითქმის უტოლდება გერმანიის მიერ წარმოებულ მშპ-ის მაჩვენებელს. ჩეხეთში ეს პარამეტრი 134%-ს შეადგენს, უნგრეთში იგი შედარებით დაბალია და მშპ-ის 64%-ს უდრის.

1999 წელს პროგრესი დაფიქსირდა კომერციული ბანკების მიერ ეროვნული ეკონომიკის დაკრედიტების სფეროში. წინა წელთან შედარებით გაცემული კრედიტების მოცულობა 2%-ით გაიზარდა. საკრედიტო რესურსების 76,6% სამეურნეო სუბიექტებზე მოდის, თუმცაღა ამ სახეობის კრედიტების დინამიკა ჩამორჩებოდა კერძო პირების დაკრედიტების დინამიკას. 1999 წელს ზრდა დაფიქსირდა ასევე სამომხმარებლო კრედიტების მოცულობაში. აღნიშნული მაჩვენებელი საკრედიტო პორტფელის 34,7%-ს შეადგენდა. კერძო პირების დაკრედიტების საერთო მოცულობაში სამომხმარებლო კრედიტების წილი კი 82,9%-ს

1998 წელს 86,4%). აღსანიშნავია, რომ კომერციული ბანკების მიერ გაცემული რესურსების საერთო მოცულობაში დომინირებული პოზიცია უკავია ეროვნულ ვალუტაში გაცემულ სესხებს (78,7% – 1999 წელს, 76,6% – 1998 წელს).

პოლონეთის კომერციული ბანკების საქმიანობის დაფინანსების ძირითადი წყაროა დეპოზიტები და ფონდები, რომელთაც საერთო რესურსების 68,5% უკავიათ (ჯერჯერობით ძალზე მცირეა ფასიანი ქაღალდების რეალიზაციით მიღებული სახსრების მოცულობა).

1999 წელს კომერციული ბანკების დეპოზიტები 32,2 მლრდ ზლოტით, ანუ წინა წელთან შედარებით 7,6%-ით გაიზარდა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ამ სფეროში კვლავ დიდი რეზერვებია. ჯერჯერობით ქვეყნის მოსახლეობის მხოლოდ 20%-ს აქვს გახსნილი ანგარიში ბანკში.[4]

პოლონეთის კომერციული ბანკების მიერ გაცემული კრედიტების მოცულობა წარმოებული მთლიანი შიდა პროდუქტის მიმართ კვლავ დაბალი რჩება. ეკონომიკური განვითარებისა და ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის ქვეყნების მიხედვით, ეს მაჩვენებელი მშპ-ის მიმართ 120-დან 130%-მდე მერყეობს. იგივე მაჩვენებელი ჩეხეთში უდრის 95%-ს.[5]

იმის გამო, რომ 1999 წელს დეპოზიტების და კრედიტების მოცულობები სრულიად განსხვავებული ტემპებით იზრდებოდა, მათ შორის თანაფარდობა კიდევ უფრო გაღრმავდა და მან 1999 წლის ბოლოს 75,5%-ს მიაღწია, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 4,5 პროცენტული პუნქტით აღემატება. აღნიშნული ტენდენცია გაგრძელდა მიმდინარე წელსაც. კერძოდ, 2000 წლის განვლილ პერიოდში ბანკების მიერ გაცემული კრედიტების მოცულობები 76%-ით, ხოლო დეპოზიტების – 38%-ით გაიზარდა.

პოლონეთის საბანკო სექტორში აღსანიშნავია აგრეთვე ის გარემოებაც, რომ 1999 წელს კერძო პირთა დეპოზიტები მხოლოდ 15,5%-ით გაიზარდა, მაშინ, როდესაც იგივე მაჩვენებელი 1998 წელს 23%-ს შეადგენდა. 1999 წელს პირველად მოხდა ისიც, რომ უცხოურ ვალუტაში დეპოზიტების ზრდის ტემპები გაცილებით მაღალი იყო, ვიდრე ეროვნულ ვალუტაში. ცხადია, ეს 1999 წელს უცხოური კონვერტირებადი ვალუტების მიმართ ზლოტის გარკვეულმა დეპრეციაციამ (გაუფასურებამ) გამოიწვია (თუმცა, აღსანიშნავია, რომ ზლოტში დეპოზიტები კვლავაც გადამწყვეტი ხვედრითი წილით არის წარმოდგენილი და იგი დეპოზიტების მთლიანი მოცულობის 80,3%-ს შეადგენს. ეს მაჩვენებელი, წინა წელთან შედარებით, მხოლოდ 0,5%-ით შემცირდა).

პოლონეთში კომერციულ ბანკებში ანაბრების დაზღვევის საკმაოდ მოქნილი სისტემა მოქმედებს. გასულ წელს სტაროპოლსკის ბანკის გაკოტრებისას, მეანაბრეებისადმი ბანკის დავალიანება, რომელიც 485 მლნ ზლოტს შეადგენდა, სწორედ ამ სისტემის მექანიზმით დაიფარა. ანაბრების დაზღვევას ორგანიზებას უკეთებს სპეციალურად ამ მიზნით შექმნილი საგარანტიო საბანკო ფონდი, სადაც ანგარიშზე ყველაზე მეტ თანხებს მსხვილი ბანკები იხდიან და ეს თანხები ძირითადად კრიტიკული ბანკების დახმარებისათვის არის გამიზნული. მაგალითად, სტაროპოლსკის ბანკის მეანაბრეთა დასაკმაყოფილებლად ბანკმა PKO BP 106 მლნ ზლოტი, ხოლო Pekao SA-მ – 90 მლნ ზლოტი გაიღო.

ანაბრების საგარანტიო ფონდის შექმნის დღიდან, 1995 წლის შემდეგ, ყველა საკრედიტო დაწესებულების ყველანაირი ანაბარი, რომელიც არ აღემატება 1000 ევროს, დაზღვეულია 100%-ით, 3000 ევრომდე კი 90%-ით. [6]

1999 წელს გარე ფაქტორებით განპირობებული გარკვეული სირთულეების მიუხედავად, პოლონეთის კომერციულმა ბანკებმა შეძლეს საბანკო ოპერაციების რენტაბელურად წარმართვა და სოლიდური მოგებით დაასრულეს წელი. წლიური შედეგები ცხადყოფს, რომ 77 კომერციული ბანკიდან 68 ბანკმა წელი მოგებით დაასრულა და ამ მაჩვენებელმა 5875,8 მლნ ზლოტი შეადგინა. იმავდროულად, 9 ბანკმა 547,8 მლნ ზლოტის ზარალით დაასრულა 1999 წელი. რაც შეეხება

კოოპერაციულ ბანკებს, 781 ბანკიდან 775-მა მოგება მიიღო 324,7 მლნ ზლოტის ოდენობით, ხოლო ექვსი ბანკის ზარალმა 0,9 მლნ ზლოტი შეადგინა.

პოლონურმა ბანკებმა მოგებით მუშაობა განაგრძეს 2000 წლის პირველ ნახევარშიც. სადღეისოდ მათი წმინდა მოგება 2569 მლნ ზლოტს შეადგენს, რაც 16,2%-ით აღემატება წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს. აღსანიშნავია ისიც, რომ საბანკო სისტემის მოგება გაცილებით მაღალი ტემპებით იზრდებოდა, ვიდრე ინფლაციის მაჩვენებელი. ამავე პერიოდში საბანკო სისტემის საერთო აქტივების ზრდა 20%-ზე დაფიქსირდა და 2000 წლის ივნისის ბოლოსათვის 422 მლრდ ზლოტი შეადგინა. [7]

პოლონეთის საბანკო სისტემაში კიდევ ერთი სერიოზული ტენდენცია იკვეთება. ბოლო წლების მანძილზე აქციონერები სულ უფრო ნაკლებ მოგებას წარმართავენ ბანკის კაპიტალის გაზრდისაკენ და მეტს – დივიდენდების გასაცემად. მაგალითად, 2000 წელს ბანკების კაპიტალის ზრდისაკენ მიმართული იყო მოგების 66,2%, მაშინ, როდესაც 1999 წელს ეს მაჩვენებელი შეადგენდა 72%-ს, ხოლო 1998 წელს – 82%-ს. ზოგიერთმა პოლონურმა ბანკმა თითქმის მთელ მოგებას დივიდენდების სახე მისცა. მაგალითად, ევროპასთან თანამშრომლობის ბანკმა მოგების 92% დივიდენდების სახით გასცა.[8] უნდა აღინიშნოს, რომ ეს ეწინააღმდეგება განვითარებულ ქვეყნებში ბოლო წლებში ჩამოყალიბებულ ტენდენციას. კერძოდ, ბოლო ხანებში, მაგალითად, სოლიდური ამერიკული კონცერნების (ასევე ბანკების) აქციონერები საერთოდ უარს ამბობენ დივიდენდებზე. მიიჩნევენ, რომ უმჯობესია სადივიდენდო კაპიტალი კვლავაც კონცერნმა გამოიყენოს.

ვ) უცხოური საბანკო კაპიტალი

პოლონური ბანკების მიმართ დაინტერესებას იჩენენ ისეთი ქვეყნები, როგორებიც არის გერმანია, აშშ, ნიდერლანდები, საფრანგეთი, ირლანდია, ავსტრია და ა. შ. პოლონეთის საბანკო სისტემაში ამ ქვეყნების კაპიტალს, შესაბამისად, შემდეგი სახე აქვს: გერმანია – 1075,8 მლნ ზლოტი; აშშ – 945 მლნ ზლოტი; ნიდერლანდები – 538,7 მლნ ზლოტი; საფრანგეთი – 383,1 მლნ ზლოტი; ირლანდია – 290,4 მლნ ზლოტი და ავსტრია – 273,5 მლნ ზლოტი.

პოლონური ბანკების უმრავლესობა უცხოელ ინვესტორებს ეკუთვნით. კერძოდ, ბოლო მონაცემებით, ქვეყნის საბანკო სისტემაში უცხოური კაპიტალის ხვედრითი წილი 60%-ს აღემატება. შედარებისათვის: ევროკავშირის მასშტაბით ეს მაჩვენებელი უდრის დაახლოებით 30%-ს. იგივე მაჩვენებელი გერმანიისათვის, საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთისათვის კიდევ უფრო დაბალია და 20%-ს არ აღემატება.[9]

ამის თაობაზე თანდათან უფრო მეტი საყვედური ისმის როგორც პოლონეთის საზოგადოებაში, ისე ამ ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოსა და მასმედიაში. უკმაყოფილება განსაკუთრებით გაამძაფრა გდანსკის ბანკის შესყიდვის ფაქტმა დოიჩე ბანკის მიერ. მრავალმა პოლიტიკოსმა თუ ეკონომისტმა, რომლებიც ადრე პრივატიზაციის დაჩქარების, უცხოური კაპიტალის მოზიდვისა და ქვეყნის

ეკონომიკის საზღვრების გახსნის მოთხოვნით გამოდიოდა, ხმა აიმაღლა პოლონური ბანკების უცხოელებისათვის მიყიდვის წინააღმდეგ.

პროტესტებით დაშინებულმა სახელმწიფო ქონების მინისტრმა ემილ ვასაჩმა განაცხადა, რომ BGd-ბანკი და PKO მხოლოდ პოლონელებს მიეყიდებათ. პოლონური ბანკების უცხოელებისათვის მიყიდვის მოწინააღმდეგეთა უმთავრესი არგუმენტია ქვეყნის ეროვნული მეურნეობის დამოუკიდებლობის დაკარგვისა და უცხოელი ინვესტორების მიერ პოლონურ ბანკებში საკუთარი კლიენტების ინტერესთა ლობირების შიში. მიიჩნევენ, რომ ბანკებში საკრედიტო დოკუმენტაციის გაცნობის შემდეგ უცხოელი ინვესტორები პოლონური ფირმების საიდუმლოებებს საკუთარ ინტერესთა სფეროში აქცევენ. ასევე მუსირებს აზრი, რომ არ მოხდება პოლონეთის ეროვნული მეურნეობის ზოგიერთი დარგისა თუ სოლიდური საწარმოს დაკრედიტება, რითაც მათ განვითარების საშუალებას მოუსპობს (პრობლემამ მსოფლიო ბანკის ყოფილი მთავარი ეკონომისტის იოსებ სტიგლიცის ყურადღებაც მიიპყრო, რაც მის თეორიულ ნაშრომებშიც აისახა).

პოლონური ბანკების უცხოელთათვის მიყიდვის ინიციატორ ექსპერტთა წრის დაკვირვება კი სრულიად საწინააღმდეგოს ამტკიცებს. მათი განცხადებით, ინვესტორთა უმრავლესობას ადგილობრივი აფერების შედეგად გაკოტრებამდე მიყვანილი არაერთი პოლონური ბანკის რეაბილიტაციის ძალა შესწევს. მათი მტკიცებით, უცხოელი ინვესტორის მიერ პოლონური ბანკის გაკოტრების მიზნით შეძენის შემთხვევა არ დაფიქსირებულა. ამ აზრს ექსპერტები ალოგიკურად მიიჩნევენ და აცხადებენ, რომ პოლონეთის საბანკო სისტემის პრობლემა კაპიტალის ნაკლებობა უფროა, ვიდრე უცხოური კაპიტალის სიჭარბე.

თუ უცხოური კაპიტალის ნაკადის შედინება ზოგადად სასიკეთო დომინანტია ქვეყნის საბანკო სისტემისათვის, რატომ არ ფიქსირდება ასეთივე წარმატებით მათივე პრევალირება გერმანიისა თუ ამერიკის შეერთებული შტატების საბანკო სისტემებში? – სვამენ კითხვას უცხოური კაპიტალის მოწინააღმდეგე პოლონელები. ლოგიკურია ოპონენტების პასუხი – გერმანელებსა თუ ამერიკელებს საკუთარი კაპიტალიც საკმარისი აქვთ და არ საჭიროებენ უცხოურ კაპიტალს, პირიქით, ისინი ჭარბი კაპიტალის უცხოეთში გატანას ცდილობენ.

ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ, თუ მთავრობა და პოლონეთის ეროვნული ბანკი შეწყვეტენ პრივატიზების პროცესს და ადგილობრივ ბანკებში უცხოური წილის ნაციონალიზაციას დაიწყებენ, შედეგი ეროვნული მეურნეობისათვის ტრაგიკული აღმოჩნდება. ასეთ შემთხვევაში საკრედიტო რესურსებს მოკლებული საწარმოები დაკარგავენ განვითარების ტემპებს, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ამ რესურსებს საზღვარგარეთიდან მოიზიდავენ (ეს კი, პოლონეთში არსებული ლიბერალური სავალუტო კანონმდებლობის თანახმად, არცთუ ისე ძნელი საქმეა). ასეთ ვითარებაში უცხოური ბანკების მიერ პოლონეთში შექმნილი სამუშაო ადგილები და გადასახადები, რომლებსაც ისინი ქვეყანას უხდიან, კვლავ საზღვარგარეთ გავა, პოლონეთში კი უმუშევრობასთან ერთად გაიზრდება უცხოური დავალიანება და ა. შ.

ყოველივე ამის საფუძველზე კეთდება ერთი მარტივი დასკვნა, აცხადებენ პოლონელი ექსპერტები: ქვეყანაში უცხოური კაპიტალის შემოდინების მოწინააღმდეგენი ეწინააღმდეგებიან საბაზრო ეკონომიკას და ევროპულ ინტეგრაციას.

პოლონეთის საზოგადოება დიდ უკმაყოფილებას გამოთქვამს, ასევე ფულის გათეთრების საკითხთან მიმართებაში. 2000 წლის ოქტომბერში ქვეყნის უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ – სეიმმა მიიღო კანონი ფინანსური ინფორმაციის გენერალური ინსპექტორის თანამდებობის შემოღების შესახებ. ამ სტრუქტურის უმთავრესი მოვალეობა იქნება ფულის გარეცხვის წინააღმდეგ ბრძოლა.

გენერალური ინსპექტორის კანდიდატურას, ფინანსთა მინისტრის წარდგინებით, ქვეყნის პრემიერი ამტკიცებს. ახლად შექმნილი ორგანო შეამოწმებს პოლონეთის ტერიტორიაზე განხორციელებულ ფულად გზავნილებთან დაკავშირებულ ყველა ოპერაციას, რომელთა საერთო თანხაც აღემატება 39 ათას ზლოტს. ყველა საფინანსო დაწესებულება – ბანკები, სამაკლერო სახლები, სალიზინგო ფირმები და ა. შ. ვალდებულია ასეთი ოპერაციის დაფიქსირების შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს გენერალურ ინსპექტორს. კანონმა საკმაოდ სერიოზული დებატები გამოიწვია, განსაკუთრებით საბანკო წრეებში. პოლონეთის საბანკო ასოციაცია მიიჩნევს, რომ იგი ეწინააღმდეგება საბანკო საიდუმლოების შესახებ ადრე მიღებულ კანონს და ამდენად, არღვევს საკონსტიტუციო მოთხოვნებს მოქალაქის უფლებათა და თავისუფლებათა შესახებ. ასოციაციის ექსპერტთა აზრით, კანონი ზიანს მიაყენებს როგორც კლიენტებს, ასევე საფინანსო დაწესებულებებს. მათი განცხადებით, ცივილიზებულ ქვეყნებში კლიენტის საბანკო ანგარიშის ნახვა შეიძლება მხოლოდ მოსამართლის ან პროკურორის ნებართვით. საბანკო ასოციაციის თვალსაზრისს იზიარებს პოლონეთის ეროვნული ბანკიც. მოსალოდნელია, რომ, თუ მიღებულ კანონში ბანკების სასარგებლოდ შესწორებები არ შევა, საბანკო ასოციაცია საკონსტიტუციო ტრიბუნალს მიმართავს.

ზ) დასკვნები

1. ქვეყნის ეროვნულმა მეურნეობამ და მათ შორის საბანკო სექტორმა წარმატებით გაართვა თავი ეკონომიკური რეფორმების სიძნელეებს და ამჟამად იგი დინამიკურად ვითარდება.

2. ქვეყანაში მყარ პოზიციებს ინარჩუნებს ასევე ეროვნული ვალუტა ზლოტი. ამაზე განსაკუთრებით ის ფაქტი მეტყველებს, რომ გასულ წელს ვალუტის გაცვლის მცურავ რეჟიმზე გადასვლის მიუხედავად, ზლოტის კურსი კვლავ თითქმის ადრინდელ დონეზე დარჩა უცხოურ კონვერტირებად ვალუტებთან მიმართებაში და ზოგიერთ მათგანთან შედარებით (მაგალითად, ევროს მიმართ) მისი კურსი გამყარდა კიდეც.

3. როგორც საბანკო სექტორს, ასევე ქვეყნის ეროვნული ვალუტის კურსსაც სერიოზულ საფრთხეს უქმნის საგადამხდელო ბალანსის მზარდი დეფიციტი. ამ მაჩვენებელმა მშპ-ის მიმართ თითქმის 8%-ს მიაღწია.

4. პოლონეთის საბანკო სექტორში საკმაოდ მაღალი ტემპებით მიმდინარეობს ბანკების პრივატიზაციის პროცესი, რაც ქვეყნისათვის მრავალმხრივ არის სასარგებლო. კერძოდ, სახელმწიფო ბიუჯეტი იღებს დამატებით ფინანსურ რესურსებს, ქვეყანაში შემოდის უცხოური კაპიტალი, იქმნება დამატებითი შრომითი რესურსების დასაქმების საშუალება, საბანკო სექტორი ითვისებს თანამედროვე საბანკო ტექნოლოგიას და სხვ.

5. ისევე, როგორც პოსტსოციალისტურ ქვეყნებში, პოლონეთში მიმდინარე ბანკების პრივატიზაციის პროცესს ჰყავს როგორც მომხრეები, ასევე მოწინააღმდეგეები. ბანკების პრივატიზაციის ოპონენტებს მიაჩნიათ, რომ პოლონური ბანკების უცხოელთა ხელში ჩაგდება პოლონეთის ეროვნული მეურნეობისათვის მრავალმხრივ საზიანოა. კერძოდ, ქვეყნის ეროვნული მეურნეობა დაკარგავს დამოუკიდებლობას. გარდა ამისა, მოსალოდნელია უცხოელი ინვესტორების მხრიდან პოლონურ ბანკებში საკუთარი კლიენტებისა და ინტერესების ლობირება, რითაც განვითარების საშუალება მოესპობა პოლონეთის ეროვნულ მეურნეობას.

6. ბანკების პრივატიზაციის საფუძველზე და ამ პროცესების პარალელურად ქვეყანაში შეინიშნება საბანკო კაპიტალის კონცენტრაციის ტენდენცია.

7. პოლონეთში საკმაოდ მაღალ დონეზეა განვითარებული ანაბრების დაზღვევის სისტემა, რაც კრიტიკულ მდგომარეობაში ჩავარდნილი საბანკო დაწესებულებების კლიენტების ინტერესებს მაქსიმალურად იცავს.

8. პოლონეთში კანონით ამოქმედდა ფულის „გათეთრების" წინააღმდეგ ბრძოლის მექანიზმი. ამ მიზნით, მიმდინარე წლის ოქტომბრის დასაწყისში სეიმმა მიიღო კანონი, რომლის მიხედვითაც ქვეყანაში შემოღებულია ფინასური ინფორმაციის გენერალური ინსპექტორის თანამდებობა.

---

1. Public Information Notice: IFM Concludes Article 1V Consultacion with Poland ელექტრონული ვერსია.
2. პებ-ის 1999 წლის წლიური მოხსენება. გვ. 58.
3. Банки Польши: верен ли путь?„Бизнес и банк"; №33, 2000 წლის აგვისტო.
4. Банки Польши: верен ли путь?„Бизнес и банк"; №33, 2000 წლის აგვისტო.
5. Банки Польши: верен ли путь?„Бизнес и банк"; №33, 2000 წლის აგვისტო.
6. გაზეთი „რჟეჩპოსპოლიტა", ვარშავა, 2000 წლის 11 აგვისტო.
7. გაზეთი „რჟეჩპოსპოლიტა", ვარშავა, 2000 წლის 29 აგვისტო.
8. Банки Польши: верен ли путь? „Бизнес и банк"; №33, 2000 წლის აგვისტო.
9. „გაზეტა ვიბორჩა", ოქტომბერი, 2000 წელი.

§11. კანდიდატი ქვეყნების დარგობრივი პრიორიტეტები

ცხადია, საანალიზო ქვეყნებში ეკონომიკური აქტიურობა გავლენას ახდენს აქ ეროვნული მეურნეობის ძირითადი დარგების განვითარებაზე. როგორც ქვემოთ მოტანილი ცხრილი [1]20-დან ჩანს, ბოლო სამი წლის მანძილზე თითქმის ყველა კანდიდატ ქვეყანაში იზრდებოდა სამრეწველო პროდუქციის მოცულობის მატების ტემპები. კერძოდ, 2001 წელს ზრდის ტემპები ყველაზე მაღალი იყო ესტონეთში, - 110.2 პროცენტი, სლოვაკეთში, - 108.6 პროცენტი და ა.შ.

ცხრილი №20

სამრეწველო პროდუქციის ზრდა
პროცენტებში

სამრეწველო პროდუქციის ზრდის ინდექსები			
	წლები		
ქვეყნები	1999	2000	2001
ბულგარეთი	_	_	_
კიპროსი	104.7	104.2	101.2
ჩეხეთი	104.7	11.8	105
ესტონეთი	104.2	117.6	110.2
უნგრეთი	109.8	116.6	105.3
ლიტვა	103	105	107.5
ლატვია	94.9	110.5	_
პოლონეთი	109.2	114.3	105.4
რუმინეთი	111.6	114.5	_
სლოვენია	103.1	108.4	103.5
სლოვაკეთი	106.7	111.6	108.6

რაც შეეხება საანალიზო ქვეყნების ეროვნული ეკონომიკის მეორე მნიშვნელოვან დარგს, სოფლის მეურნეობას, აქ წარმოების ზრდას შემდეგი სახე ჰქონდა:

ცხრილი № 21

სოფლის მეურნეობის პროდუქციის ზრდა
პროცენტებში

სოფლის მეურნეობის პროდუქციის ზრდის ინდექსები (წინა წელი მიჩნეულია 100-ად)				
ქვეყნები	1998	1999	2000	2001
ბულგარეთი	98.7	102.7	90.8	99.4
კვიპროსი	109.7	107.2	91.2	105.6
ჩეხეთი	100.7	100.6	95.5	102.5
ესტონეთი	96.4	89.6	108.2	90.3
უნგრეთი	100.8	99.5	94.3	110.8
ლიტვა	92.1	89.4	104.7	105
ლატვია	94.9	85.5	105.4	94.6
პოლონეთი	105.2	94.8	94.4	105.6
რუმინეთი	-	104	85.2	122.7
სლოვენია	102.2	98.7	102.5	-

ეროვნული მეურნეობის დარგების განვითარება კანდიდატ ქვეყნებს საშუალებას აძლევს დიდი მოცულობის საკუთარი ფინანსური სახსრები გამოყონ ქვეყანაში სამშენებლო პროექტების განსახორციელებლად. როგორც ქვემოთ მოტანილი ცხრილიდან ჩანს, მშენებლობის მასშტაბები ბოლო სამი წლის მანძილზე, პოლონეთის გარდა, თითქმის ყველა ქვეყანაში მკვეთრად არის გაზრდილი.

ცხრილი № 22

მშენებლობა

ქვეყნები	1999	2000	2001
ბულგარეთი	108.8	108	112.8
კვიპროსი	99.3	97.8	101.5
ჩეხეთი	93.5	105.3	109.6
ესტონეთი	80.4	118.7	103.3
უნგრეთი	109	107.9	108.3
ლატვია	107.8	108	106
ლიტვა	87.8	80.8	108.2
პოლონეთი	103.2	98	90.1
რუმინეთი	99.8	102.6	104.1
სლოვენია	115.8	102.8	96.5
სლოვაკეთი	74.2	99.6	100.8

ცხადია, ეროვნული მეურნეობის დარგების (მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, მშენებლობა და სხვ.) განვითარება კანდიდატ ქვეყნებს საშუალებას აძლევს გაზარდონ ქვეყანაში საცალო ვაჭრობის მოცულობები, რაზეც წარმოდგენას შეგვიქმნის ცხრილი № 23.

ცხრილი № 23

საცალო ვაჭრობა კანდიდატ ქვეყნებში
(პროცენტულად წინა წელთან შედარებით)

ქვეყნები	1999წ.	2000წ.	2001წ.
ბულგარეთი	126.0	120.8	106.4
კიპროსი	99.3	105.8	105.5
ჩეხეთი	103.5	104.3	104.6
ესტონეთი	104.4	116.7	112.3
უნგრეთი	107.7	101.9	105.3
ლიტვა	112.8	109	109.5
ლატვია	87.8	113.8	108.2
პოლონეთი	116.2	101.5	100.1
რუმინეთი	95.8	96.6	100.4
სლოვენია	102.8	107.8	107.5
სლოვაკეთი	-	-	104.8

§12. სატრანსპორტო და საგზაო მეურნეობა კანდიდატ ქვეყნებში

კანდიდატი ქვეყნებისათვის ძალზე მნიშვნელოვანია გზებისა და ტრანსპორტის თანამედროვე დონეზე ანუ დაახლოებით ისეთ დონეზე განვითარება, რა დონეზეც ისინი ევროკავშირია წარმოდგენილი. ჯერჯერობით ამგვარი გზები, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, არც ერთ კანდიდატ ქვეყანას არ გააჩნია. მაგალითად, პოლონეთში ამ ბოლო დროს დაიწყეს ამგვარი გზის მშენებლობა კრაკოვის სიახლოვეს.

ცხრილი № 24

მგზავრთბრუნვის მოცულობები
(მილიონი მგზავრ-კილომეტრი)

	1999წ.	2000წ.	2001წ.	ერთ მცხოვრებზე გაანგარიშებით, 2001 წ. მგზ. კმ.
ყველა სახის ტრანსპორტი				
ბულგარეთი	14390	14348	12113	1533
კვიპროსი	-	-	-	-
ჩეხეთი	19941	22707	23379	2292
ესტონეთი	3191	3651	3330	2379
უნგრეთი	24332	25393	25546	2505
ლატვია	3590	3352	3287	1370
ლიტვა	2388	2119	2102	606
პოლონეთი	26198	24092	22469	582
რუმინეთი	12304	11632	10966	490
სლოვენია	3395	3152	2976	1488
სლოვაკეთი	14918	12728	12747	2360
რკინიგზა				
ბულგარეთი	3819	3472	2990	378
კვიპროსი	-	-	-	-
ჩეხეთი	6957	7300	7299	716
ესტონეთი	238	263	183	131
უნგრეთი	5914	9693	10005	981
ლატვია	984	715	706	294
ლიტვა	745	611	533	152
პოლონეთი	26198	24092	22469	582
რუმინეთი	12304	11632	10968	490
სლოვენია	623	705	716	358
სლოვაკეთი	2968	2870	2805	519

სახმელეთო გზები				
ბულგარეთი	7891	8619	9123	1155
კვიპროსი	-	-	-	-
ჩეხეთი	8649	9552	10370	1017
ესტონეთი	2222	2630	2461	1758
უნგრეთი	11265	12115	12021	1202
ლატვია	2368	2348	2305	960
ლიტვა	1224	1003	1042	298
პოლონეთი	33250	31735	30996	803
რუმინეთი	8324	7700	7073	316
სლოვენია	1940	1581	1470	735
სლოვაკეთი	11703	9608	9603	1778
საზღვაო ტრანსპორტი				
ბულგარეთი	-	-	-	-
კვიპროსი	-	-	-	-
ჩეხეთი	-	-	-	-
ესტონეთი	433	455	376	269
უნგრეთი	-	-	-	-
ლატვია	-	-	-	-
ლიტვა	32	44	43	12
პოლონეთი	165	168	154	4
რუმინეთი	10	15	19	0.8
სლოვენია	-	-	-	-
სლოვაკეთი	4	4	4	0.8
საჰაერო ტრანსპორტი				
ბულგარეთი	2680	2257	-	-
კვიპროსი	-	-	-	-
ჩეხეთი	4335	5855	6399	631
ესტონეთი	298	303	310	221
უნგრეთი	3513	3539	3477	348
ლატვია	238	289	276	115
ლიტვა	387	461	484	138
პოლონეთი	5629	6034	6412	166
რუმინეთი	1887	2212	2020	90
სლოვენია	832	866	790	395
სლოვაკეთი	243	246	335	62

როგორც ცხრილიდან ჩანს, კანდიდატ ქვეყნებს საკმაოდ დიდი რაოდენობის მგზავრები გადაჰყავთ თითქმის ყველა სახის ტრანსპორტით. ეს განსაკუთრებით ეხება პოლონეთს, უნგრეთს, ჩეხეთს და ა. შ. თუმცა უნდა ითქვას, რომ ბოლო წლებში

ყველა ქვეყანაში როდი იზრდებოდა აღნიშნული მაჩვენებელი, ზოგან მან იკლო კიდეც (იხ. ცხრილი № 24-ის მაჩვენებლები).

2002 წელს საქართველოში მგზავრთბრუნვამ შეადგინა 5676.9 მგზავრკილომეტრი. უნდა ითქვას, რომ ამ მაჩვენებლით ჩვენი ქვეყანა კანდიდატი ქვეყნებიდან ჩამოუვარდებოდა ბულგარეთს, ჩეხეთს, უნგრეთს, პოლონეთს, რუმინეთს და სლოვაკეთს.

კერძოდ, აღნიშნული მაჩვენებელი საქართველოში შეადგენდა 1262 მგზავრკილომეტრს. ამ მაჩვენებლით ჩვენთან უკეთესი მდგომარეობაა, ვიდრე ლიტვაში, პოლონეთსა და რუმინეთში. ყველა დანარჩენი კანდიდატი ქვეყანა გვისწრებს აღნიშნული მაჩვენებლის მიხედვით.

საქართველოში დიდი რეზერვები არსებობს სარკინიგზო ტრანსპორტის გამოყენების სფეროში, განსაკუთრებით მათი მგზავრთა მომსახურების მიზნით. 2002 წელს სარკინიგზო ტრანსპორტით განხორციელებულმა მგზავრთბრუნვამ 392.3 მლნ მგზავრკილომეტრი შეადგინა. ამ მაჩვენებლით საქართველო ესტონეთის გარდა ყველა კანდიდატ ქვეყანას ჩამორჩება. კიდევ უფრო მძიმე აღმოჩნდება მდგომარეობა, თუ ამ მაჩვენებელს ერთ მცხოვრებზე გამოვითვლით. აღნიშნულის მიხედვით საქართველო ჩამორჩება ყველა კანდიდატ ქვეყანას.

შედარებით უკეთესი მდგომარეობაა საავტომობილო ტრანსპორტის სფეროში. 2002 წელს საქართველოში შესრულებული მგზავრთბრუნვის მოცულობა 4987.3 მლნ მგზავრკილომეტრს შეადგენდა. ამ მაჩვენებლით ჩვენი ქვეყანა ჩამორჩება ბულგარეთს,

ჩეხეთს, უნგრეთს, პოლონეთს, რუმინეთს და სლოვაკეთს.

რაც შეეხება ერთ მოსახლეზე გაანგარიშებით განხორციელებულ საავტომობილო ტრანსპორტით მომსახურებას, იგი 1105 მგზავრკილომეტრს შეადგენს და ამ მაჩვენებლით საქართველოში უფრო უკეთესი მდგომარეობაა, ვიდრე სლოვენიაში, რუმინეთში, პოლონეთში, ლიტვაში, ლატვიაში და ჩეხეთში.

საჰაერო ტრანსპორტით მომსახურების მხრივ საქართველოში მხოლოდ ლატვიაზე უკეთესი მდგომარეობაა. რაც შეეხება ერთ მცხოვრებზე გაანგარიშებით, საქართველო სლოვაკეთს გარდა ყველა კანდიდატ ქვეყანას ჩამორჩება.

კანდიდატ ქვეყნებში ტვირთბრუნვას შემდეგი სახე ჰქონდა:

ცხრილი № 25

ტვირთბრუნვა კანდიდატ ქვეყნებში (მლნ ტონა-კილომეტრებში)

	1999	2000	2001
ყველა სახის ტრანსპორტი			
ბულგარეთი	85568	87155	81206
კვიპროსი	-	-	-
ჩეხეთი	56415	58955	59438
ესტონეთი	30497	16344	16180
უნგრეთი	26340	26398	26241
ლატვია	22436	24573	27069
ლიტვა	18222	20149	20798
პოლონეთი	310698	282559	253269
რუმინეთი	45989	42131	40647
სლოვენია	40022	36985	38059
სლოვაკეთი	19998	19829	18501
რკინიგზა			
ბულგარეთი	5297	5538	4904
კვიპროსი	–	–	–
ჩეხეთი	16713	17496	16882
ესტონეთი	7295	8102	8557
უნგრეთი	7734	8095	7731
ლატვია	12210	13310	14179
ლიტვა	7849	8918	7741
პოლონეთი	55471	54448	47913
რუმინეთი	14679	16354	16102
სლოვენია	2784	2857	2837
სლოვაკეთი	9859	11234	10929
სახმელეთო გზები			
ბულგარეთი	6389	6404	8047
კვიპროსი	–	–	–
ჩეხეთი	36964	39036	40250
ესტონეთი	3975	3932	4677
უნგრეთი	13135	13329	12500
ლატვია	4661	4789	5359
ლიტვა	7740	7769	8274
პოლონეთი	70452	72842	74403
რუმინეთი	13457	14288	18544
სლოვენია	1874	2090	2267
სლოვაკეთი	8474	7212	6557

ხაზღვაო ტრანსპორტი			
ბულგარეთი	73169	74169	67551
კვიპროსი	–	–	–
ჩეხეთი	–	–	–
ესტონეთი	19221	4304	2943
უნგრეთი	56	60	50
ლატვია	10	7	7
ლიტვა	3	4.4	3.4
პოლონეთი	94	88	79
რუმინეთი	20	19	12
სლოვენია	4	4	4
სლოვაკეთი	0.1	0.1	0.1
ხაჰაერო ტრანსპორი			
ბულგარეთი	63	46	-
კვიპროსი	-	-	-
ჩეხეთი	30	38	29
ესტონეთი	4	5	3
უნგრეთი	56	60	50
ლატვია	10	7	7
ლიტვა	3	4.1	3.4
პოლონეთი	94	88	79
რუმინეთი	20	19	12
სლოვენია	4	4	4
სლოვაკეთი	0.1	0.1	0.1

არ შეიძლება ტვირთბრუნვის მაჩვენებლის მიმართ იგივე მიდგომა გამოვიყენოთ, რაც მგზავრთბრუნვის მიმართ. საქმე იმაშია, რომ ეკონომიკურმა რეფორმებმა წარმოების ტრანსპორტშემცველობა მრავალ ქვეყანაში მკვეთრად შეამცირა. აქ ტვირთბრუნვებმა გაცილებით რაციონალური სახე მიიღო, ვიდრე მას სოციალისტური სისტემის დროს ჰქონდა. სახელდობრ, ამგვარ პროცესებს ჰქონდა ადგილი ესტონეთში, უნგრეთში, პოლონეთში, რუმინეთში, სლოვენიაში და სლოვაკეთში. ეს პროცესები განსაკუთრებით თვალშისაცემი იყო პოლონეთში. კერძოდ, ცნობილი პოლონელი ეკონომისტი, პროფესორი ლ. ბალცეროვიჩი თავის წიგნში ,,თავისუფლება და განვითარება. თავისუფალი ბაზრის ფილოსოფია" წერს, რომ პოლონეთში გადაზიდვების მოცულობები 1981 წლის 990 მლნ ტონიდან რეფორმების შედეგად 561 მლნ ტონამდე შემცირდა, ანუ ამ მაჩვენებლის შემცირება ხდებოდა გაცილებით უფრო სწრაფი ტემპებით, ვიდრე იზრდებოდა ეროვნული შემოსავალი.

საქართველოში 2002 წელს ყველა სახის საერთო სარგებლობის ტრანსპორტით გადატანილია 37.4 მლნ ტონა ტვირთი და შესრულებულია 5710.6 მლნ ტონა-კილომეტრი ტვირთბრუნვა. 2001 წელთან შედარებით გადატანილი ტვირთის მოცულობა 12.6%-ით, ხოლო ტვირთბრუნვა 12%-ით გაიზარდა.

ვფიქრობთ, აქვე საინტერესოა ვნახოთ, თუ კანდიდატ ქვეყნებში სამეურნეო საქმიანობის რომელს სახეში რა მოცულობის დამატებული ღირებულება იქმნება. აღნიშნულის შესახებ წარმოდგენას შეგვიქმნის ქვემოთ მოტანილი ცხრილი:

ცხრილი № 26

დამატებული ღირებულების სტრუქტურა საქმიანობის სახეების მიხედვით*

პროცენტულად

	ბულგარეთი	კვიპროსი	ჩეხეთი	ესტონეთი	უნგრეთი	ლატვია	ლიტვა	პოლონეთი	რუმინეთი	სლოვენია	სლოვაკეთი
სასოფლო-სამეურნეო წარმოება, მეტყეველობა და მეთევზეობა											
1999	16.3	4.2	4.2	6.6	4.8	4.4	8.4	3.9	15.1	3.6	4.2
2000	13.8	3.8	4.3	6.1	4.2	4.6	7.7	3.6	12.5	3.7	4.3
2001	13.9	4	4.4	5.6	3.9	4.7	7.5	3.9	15.2	2.8	5.0
სამთო-მომპოვებელი მრეწველობა											
1999	1.9	0.3	1.5	1.1	0.2	0.2	0.5	2.3	2.3	-	-
2000	1.6	0.3	1.3	1	0.32	0.3	0.4	2.3	1.7	-	-
2001	1.5	0.3	1.2	1	1	0.2	0.4	2.3	1.7	-	-

	ბულგარეთი	კვიპროსი	ჩეხეთი	ესტონეთი	უნგრეთი	ლატვია	ლიტვა	პოლონეთი	რუმინეთი	სლოვენია	სლოვაკეთი
სასოფლო-სამეურნეო წარმოება, მეტყეველობა და მეთევზეობა											
1999	16.3	4.2	4.2	6.6	4.8	4.4	8.4	3.9	15.1	3.6	4.2
2000	13.8	3.8	4.3	6.1	4.2	4.6	7.7	3.6	12.5	3.7	4.3
2001	13.9	4	4.4	5.6	3.9	4.7	7.5	3.9	15.2	2.8	5.0
სამთო-მომპოვებელი მრეწველობა											
1999	1.9	0.3	1.5	1.1	0.2	0.2	0.5	2.3	2.3	-	-
2000	1.6	0.3	1.3	1	0.32	0.3	0.4	2.3	1.7	-	-
2001	1.5	0.3	1.2	1	1	0.2	0.4	2.3	1.7	-	-

მრეწველობა											
1999	16.6	11	26.7	15.4	23.1	15.7	17.7	21.2	21.9	27.4	21.9
2000	16.8	10.7	26.7	18.8	24.4	14.3	20.7	20.1	21.1	27.1	20.5
2001	17.1	10.4	27.1	18.2	23.2	14.6	22.3	18	22.7	26.1	21.2
ელექტრონა, გაზი და წყლის მეურნეობა											
1999	4.3	2	4.3	4	3.9	4.7	4.5	3.4	4.2	3.4	4.2
2000	5.3	2.2	3.2	3.3	3.6	3.9	4.6	3.5	5.3	3.2	3.3
2001	5.4	2.2	4	3.4	3.8	4.7	3.6	5.3	3.2	2.3	2.3

მშენებლობა											
1999	5	8	7.3	5.9	4.6	7.4	7.8	8.8	5.7	6.2	5.3
2000	5.4	7	7	6.1	4.9	6.5	6.3	8.4	5.6	6	5
2001	4.4	7	7.1	5.9	4.9	6.2	6.1	7.3	5.6	5.8	4.6
ვაჭრობა და ხელოსნობა											
1999	7.8	13	14	14.7	11.8	17.6	15.9	21	12.8	12.2	14.8
2000	8.7	13	12.4	14	10.6	18	15.7	20.9	12.7	12.2	15
2001	8.9	12.9	15	14.2	11	19	16	21	12.8	12.3	15

	მშენებლობა										
1999	5	8	7.3	5.9	4.6	7.4	7.8	8.8	5.7	6.2	5.3
2000	5.4	7	7	6.1	4.9	6.5	6.3	8.4	5.6	6	5
2001	4.4	7	7.1	5.9	4.9	6.2	6.1	7.3	5.6	5.8	4.6
	ვაჭრობა და ხელოსნობა										
1999	7.8	13	14	14.7	11.8	17.6	15.9	21	12.8	12.2	14.8
2000	8.7	13	12.4	14	10.6	18	15.7	20.9	12.7	12.2	15
2001	8.9	12.9	15	14.2	11	19	16	21	12.8	12.3	15

	სასტუმროები და რესტორნები										
1999	2.3	9	2	1.7	1.3	1.6	1.9	1.3	2.8	2	-
2000	1.8	9.6	2.3	1.7	1.6	1.9	1.7	2.0	2.7	2.2	-
2001	1.9	10	2.0	1.8	1.6	1.9	1.7	2.1	2.8	2.3	-

	ტრანსპორტი და კომუნიკაციები										
1999	10.2	9	8	15.7	10.8	15.6	11.9	6.2	12.8	8.2	10.0
2000	15.7	9.4	8.1	17	9.6	15.9	12.7	6.2	12.7	7.2	9.8
2001	12.9	10	8.2	16	9	15	12.7	7	12.8	8	11

§13. კანდიდატი ქვეყნების საერთაშორისო და ადგილობრივი ვაჭრობა

ეკონომიკური აქტიურობის ზრდის პარალელურად კანდიდატი ქვეყნები ყოველწლიურად აფართოებენ სხვა ქვეყნებთან ეკონომიკურ კავშირურთიერთობას, რაც განსაკუთრებით ვაჭრობაში გამოიხატება. ეს უპირველეს ყოვლისა, ეხება ლიტვას, რუმინეთს და ა.შ. იხ. ცხრილი № 27:

ცხრილი №27

საგარეო ვაჭრობა (იმპორტი და ექსპორტი)[1]
(პროცენტულად წინა წელთან შედარებით)
იმპორტი

ქვეყნები	1999	2000	2001
ბულგარეთი	-	118	117.5
კიპროსი	-	106.5	101.8
ჩეხეთი	103.5	119.7	114
ესტონეთი	92.8	126	105.2
უნგრეთი	114.3	120.8	104
ლატვია	101.4	111.9	111.9
ლიტვა	87	107.4	120.4
პოლონეთი	104.4	110.8	103.2
რუმინეთი	99.7	129.9	123.9
სლოვენია	108.8	104.0	100.7
სლოვაკეთი	-	-	-

ექსპორტი

ქვეყნები	1999	2000	2001
ბულგარეთი	-	-	111.5
კიპროსი	-	-	-
ჩეხეთი	107.5	118.7	114
ესტონეთი	101.8	136.5	99.2
უნგრეთი	115.3	121.8	107.7
ლატვია	101.9	114.9	110.9
ლიტვა	83.7	119.4	123.4
პოლონეთი	102.4	125.8	111.8
რუმინეთი	110.7	124.9	112.0
სლოვენია	103.8	111.0	105.7
სლოვაკეთი	-	-	-

ამასთან, განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნები ჯერ კიდევ არ არიან სათანადოდ მომზადებული თავისუფალი საბაზრო ურთიერთობებისათვის, ბაზარზე ნამდვილი, ჯანსაღი კონკურენციული

ბრძოლისათვის, რის გამოც თითქმის ყველა ამ ქვეყანაში ის თანხები, რომლებსაც მათი მოქალაქეები ხარჯავენ იმპორტული პროდუქციის შესაძენად, ჯერ კიდევ მკვეთრად ჩამოუვარდება ამ ქვეყნებში საექსპორტო პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებულ სავალუტო ამონაგებს, რაც ძაბავს მათ საგადამხდელო ბალანსს და საფრთხეს უქმნის ეროვნული ვალუტის სიმტკიცეს. ამ მხრივ განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ბულგარეთი, პოლონეთი, რუმინეთი და ზოგიერთი სხვა ქვეყანა (იხ. ცხრილი [1] 27).

ამ ასპექტით შედარებით კარგად გამოიყურებიან ჩეხეთი, უნგრეთი, ესტონეთი, სლოვენია და ა.შ., რომლებიც გაცილებით მაღალი ტემპებით ზრდიან საექსპორტო შემოსავლებს, ვიდრე იმპორტს.

იმ დასკვნის საილუსტრაციოდ, რომ კანდიდატმა ქვეყნებმა ჯერ კიდევ სათანადო დონეზე ვერ მოახერხეს ევროკავშირის ქვეყნებთან ექსპორტისა და იმპორტის სფეროში სათანადოდ ინტეგრირება, მოვიტანოთ შემდეგი ცხრილი:

ცხრილი № 28

2001 წელს კანდიდატი ქვეყნების იმპორტისა და ექსპორტის მიმართება მშპ-თან, %-ად

ქვეყნები	იმპორტი	ექსპორტი
ბულგარეთი	54	37.7
კვიპროსი	42.7	10.6
ჩეხეთი	64.2	58.8
ესტონეთი	75.8	58.3
უნგრეთი	63.7	57.6
ლატვია	46.2	38.2
ლიტვა	52.9	38.2
პოლონეთი	27.9	19.7
რუმინეთი	39.2	29.2
სლოვენია	54	49.2
სლოვაკეთი	73	61.6

შეიძლება ითქვას, რომ კანდიდატ ქვეყნებში ყველაზე ექსპორტიორ ქვეყანებს სლოვაკეთი, ესტონეთი, ჩეხეთი და უნგრეთი წარმოადგენენ, რომლებსაც წარმოებული მშპ-ს 60%-მდე საზღვარგარეთ გააქვთ. ამ მხრივ შედარებით მოკრძალებულ ადგილს იკავებს კვიპროსი და პოლონეთი.

ამავე ქვეყნებიდან ყველაზე დიდი იმპორტიორია სლოვაკეთი, ესტონეთი და ჩეხეთი.

ახლა საინტერესოა ვნახოთ, თუ რა მდგომარეობაა შექმნილი ამ მხრივ საქართველოში მიმდინარე წლის პირველ კვარტალში.

2003 წლის იანვრის თვეში საქართველოს საგარეო სავაჭრო ბალანსი 53857.3 ათას აშშ დოლარს შეადგენდა. სავაჭრო ბრუნვაში პირველ ადგილზე მოდის რუსეთი. ამ ქვეყანასთან საქართველოს საერთო საქონელბრუნვა შეადგენდა 12082.6 ათას აშშ დოლარს. შესაბამისად ეს მაჩვენებელი უდრიდა ამ დროის მანძილზე ჩვენი ქვეყნის საერთო საგარეო სავაჭრო ბრუნვის 22.4 პროცენტს;

მეორე ადგილზეა თურქეთი, 6882.3 ათასი აშშ დოლარის მოცულობით. ეს მაჩვენებელი შეადგენდა საერთო სავაჭრო ბრუნვის 12.8 პროცენტს;

აღნიშნული მაჩვენებლის მიხედვით მესამე ადგილზეა გაერთიანებული სამეფო, რომელთანაც ჩვენი ქვეყნის საერთო სავაჭრო ბრუნვა შეადგენს 6357.8 ათას აშშ დოლარს, ანუ საერთო სავაჭრო ბრუნვის 12.8 პროცენტს და ა. შ.

იანვრის თვეში საქართველოდან 12970.4 ათასი აშშ დოლარის ექვივალენტური ღირებულების ექსპორტი განხორციელდა. მათ შორის, 2879.3

ათასი დოლარის ღირებულებით პირველ ადგილზე იყო შავი ლითონების ჯართი, 1528.3 ათასი დოლარის ღირებულებით ყურძნის ღვინო, 1355.4 ათასი დოლარის ღირებულებით სპილენძის მადნები და კონცენტრატები და ა. შ.

ხვედრითი წილის მიხედვით ექსპორტის საერთო მაჩვენებელში ამ პროდუქტების ღირებულების მაჩვენებელი პროცენტულად ასე გამოიყურებოდა:

შავი ლითონების ჯართი – 22.2 პროცენტი, ყურძნის ღვინო – 11.8 პროცენტი, სპილენძის მადნები და კონცენტრატები – 10.5 პროცენტი და ა. შ. აღსანიშნავია, რომ გასული წლის იანვრის თვეშიც ექსპორტში ეს პროდუქტები დაახლოებით ანალოგიური პროპორციებით იყო წარმოდგენილი.

რაც შეეხება იმპორტულ პროდუქციას, აქ, შეიძლება ითქვას, წინა პერიოდებთან შედარებით სერიოზული ცვლილებებია მომხდარი.

კერძოდ, თუ მაგალითად, გასული წლის იანვრის თვეში იმპორტირებულ სხვადასხვა სახის მილებსა და მილაკებს 6.6 ათასი აშშ დოლარის საერთო ღირებულებით იმპორტის საერთო მოცულობაში ძალზე უმნიშვნელო ხვედრითი წილი ეკავა, მიმდინარე წლის ანალოგიურ პერიოდში მათი ღირებულება მკვეთრად გაიზარდა და 6339 ათას აშშ დოლარს მიაღწია. შესაბამისად იმპორტის ამ სახემ იმპორტული პროდუქციის ყველა სახეობაში პირველი ადგილი დაიკავა, ხოლო მისმა ხვედრითმა

წილმა 15.5 პროცენტი შეადგინა.

იმპორტულ პროდუქტებს შორის მეორე ადგილზე წარმოდგენილია ნავთობის აირები და აირისებრი ნახშირწყალბადები 6042.3 ათასი აშშ დოლარის ღირებულებითა და შესაბამისად 12.9 პროცენტით.

მესამე ადგილზე მოდის ნავთობი და ნავთობპროდუქტები 5897.8 ათასი აშშ დოლარის ღირებულებითა და შესაბამისად 8.8 პროცენტით და ა. შ.

იანვრის თვეში საქართველოში იმპორტიორ ქვეყნებს შორის პირველ ადგილზე იყო რუსეთი, რომელმაც ჩვენ ქვეყანაში 8890.6 ათასი აშშ დოლარის ღირებულების საქონელი შემოიტანა. ანუ მთელი იმპორტის 21.7 პროცენტი.

მეორე ადგილზე გამოვიდა გაერთიანებული სამეფო – 6357.8 ათასი აშშ დოლარის იმპორტითა და შესაბამისად 15.5 პროცენტით;

მესამე ადგილზე იმყოფება აზერბაიჯანი – 4277.2 ათასი დოლარით და შესაბამისად 10.5 პროცენტით.

რაც შეეხება თურქეთს, რომელიც ჩვენ ქვეყანაში განხორციელებული იმპორტის მაჩვენებლით გასული წლის იანვარში (და ასევე წინა წლებშიც) ერთ-ერთ ლიდერ იმპორტიორს წარმოადგენდა, მან ახლა უკვე საგრძნობლად დაკარგა თავისი პოზიციები და 3221.7 ათასი დოლარის ღირებულების იმპორტით იმპორტიორი ქვეყნების ხუთეულშიც კი ვერ მოხვდა.

სამაგიეროდ, საანალიზო პერიოდში საქართველომ ამ ქვეყანაში გაიტანა

სარეალიზაციოდ ყველაზე დიდი ღირებულების საქონელი– 3660.6 ათასი დოლარის ღირებულების, რომლის ხვედრითმა წილმა ჩვენი ქვეყნის საერთო ექსპორტში 28.2 % შეადგინა.

ამავე პერიოდში რუსეთში გატანილია 3192.1 ათასი დოლარის ღირებულების საქონელი, რომლის ხვედირთმა წილმაც საერთო ექსპორტში 24.6 % შეადგინა.

იანვრის თვეში სომხეთში განხორციელდა 1812.7 ათასი დოლარის ღირებულების (14.0 %) ექსპორტი, შვეიცარიაში, 1426.4 ათასი დოლარის ღირებულების (11.0 %) და ა. შ.

რაც შეეხება საერთოდ პირველ კვარტალს, 2003 წლის იანვარ-მარტში საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ (არაორგანიზებული ვაჭრობის გარეშე) 252.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებლის 113.0 პროცენტია; აქედან ექსპორტი 59.0 მლნ დოლარია (შესაბამისად 100 პროცენტი), ხოლო იმპორტი – 193.5 მლნ დოლარი (შესაბამისად 117.6 პროცენტი). 2003 წლის იანვარ-მარტის საქართველოს საგარეო სავაჭრო ბალანსი უარყოფითია და 134.5 მლნ აშშ დოლარს შეადგენს.

ქვეყნის სავაჭრო ბალანსში ჩამოყალიბებული ტენდენციების შესახებ განზოგადოებულ წარმოდგენას იძლევა შემდეგი ცხრილი:

ცხრილი № 29

	ქვეყნების რაოდენობა	საგარეო სავაჭრო ბალანსი
		მლნ აშშ დოლარი
უარყოფითი სავაჭრო ბალანსი		
2002 წ. იანვარ-მარტი	77	116.5
2003 წ. იანვარ-მარტი	71	141.4
დადებითი სავაჭრო ბალანსი		
2002 წ. იანვარ-მარტი	13	11
2003 წ. იანვარ-მარტი	22	6.9
სულ		
2002 წ. იანვარ-მარტი	90	-105.5
2003 წ. იანვარ-მარტი	93	-134.5

როგორც ვხედავთ, 2003 წლის იანვარ-მარტში საქართველოს უარყოფითი საგარეო სავაჭრო ბალანსი ჰქონდა 71 ქვეყანასთან, რომლებთანაც სავაჭრო დეფიციტმა 141.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ნაცვლად 77 ქვეყნისა და 116.5 მლნ აშშ დოლარისა გასული წლის შესაბამის პერიოდში.

2003 წლის იანვარ-მარტში საქართველოს დადებითი საგარეო სავაჭრო ბალანსი (6.9 მლნ აშშ დოლარი) ჰქონდა 22 ქვეყანასთან, 2002 წლის იანვარ-მარტში 13 ქვეყანასთან (11 მლნ აშშ დოლარი).

სავაჭრო დეფიციტის 42.3 პროცენტი მოდის დსთ-ს ქვეყნებზე (გასული წლის შესაბამის პერიოდში – 50.3 პროცენტი). ამ ქვეყნებთან საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 2003 წლის იანვარ-მარტში 100.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (2002 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 7.4 პროცენტით მეტი), ხოლო დანარჩენ ქვეყნებთან – 152.2 მლნ აშშ დოლარი (შესაბამისად 17 პროცენტით მეტი). დსთ-ს ქვეყნების წილად მოდის საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვის 39.7 პროცენტი, მათ შორის ექსპორტის 36.8 პროცენტი და იმპორტის – 40.6 პროცენტი (2002 წლის იანვარ-მარტში – შესაბამისად 41.8 და 44.5 პროცენტი).

რუსეთთან სავაჭრო ბრუნვამ 47.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 10.4 პროცენტით ნაკლებია, ხოლო ამ ქვეყანასთან სავაჭრო ბრუნვის წილი 4.9 პროცენტული პუნქტით – 18.7

პროცენტიდან 23.6 პროცენტამდე – გაიზარდა.

2003 წლის იანვარ-მარტში საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ ევროკავშირის ქვეყნებთან 77 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც გასული წლის შესაბამის მაჩვენებლებზე 1.7 ჯერ მეტია; აქედან ექსპორტმა – 10.3 მლნ დოლარი (გასული წლის შესაბამის პერიოდის 79.5 პროცენტი), ხოლო იმპორტმა – 66.7 მლნ დოლარი (ორჯერ მეტი წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით) შეადგინა. საანგარიშო პერიოდში ამ ქვეყნების წილად მოდის საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვის 30.5 პროცენტი, მათ შორის ექსპორტის – 17.5 პროცენტი და იმპორტის – 34.5 პროცენტი.

2003 წლის იანვარ-მარტში საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორების პირველი ათეული სავაჭრო ბრუნვის მიხედვით შემდეგნაირად გამოიყურებოდა:

ცხრილი №30

საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორების პირველი ათეული სავაჭრო ბრუნვის მიხედვით

	ექსპორტი		იმპორტი		ხრეფწა	
	ათასი ლარი	პროცენ.ჯამთან	ათასი ლარი	პროცენ.ჯამთან	ათასი ლარი	პროცენ.ჯამთან
ხელ	59019.1	100	193516.2	100	252535.3	100
მათ შორის						
რუსეთი	10850.4	18.4	36405.7	100	47256.2	18.7
უკრაინან. ხამეფი	5938	10.1	30754.4	15.9	36692.4	14.5
თურქეთი	14113.2	23.9	17092.3	8.8	31205.5	12.4
აზერბაიჯანი	2345.7	4	16901.7	8.7	19247.4	7.6
უკრაინა	1317.8	2.2	13611.8	7	14929.5	5.9
ბულგარია	1760.4	3	11068.9	5.7	12829.3	5.1
ხალიბანეთი	261.7	0.4	11371.9	5.9	11633.7	4.6
ირანი	5334.9	9	5997.1	3.1	11332.1	4.5
შეერთებული	8143.1	13.8	2204.4	1.1	10347.4	4.1
აშშ	1466.4	2.5	5560	2.9	7026.5	2.8
ძირ. პარტ. ქვეყ. ხელ	51531.6	87.3	150963.3	78	202499.9	80.2

საგადასახდელო ბალანსის პრობლემა საქართველოსათვის და საერთოდ, გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისათვის იმდენად მნიშვნელოვნად გვეჩვენება, რომ სურვილი გვაქვს ჩვენი შეხედულება გამოვთქვათ ამ სფეროში შექმნილი მდგომარეობის შემდგომი დარეგულირების მიზნით.

უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია, რომ ქვეყანას, რომელიც საქართველოსნაირ მდგომარეობაშია ჩავარდნილი, გამომუშავებული ჰქონდეს შესაბამისი სამრეწველო, საბაჟო და საერთოდ, ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც საშუალებას მისცემდა მას დაეძლია არსებული მძიმე მდგომარეობა. ჯერჯერობით კი ძნელი სათქმელია, რომ საქართველოს გააჩნდეს ამგვარი პოლიტიკა. ჩვენთან ამ სფეროსადმი ამჟამად არსებული მიდგომები სრულია განსხვავებულია ერთმანეთისაგან, ხშირ შემთხვევაში კი ისინი ურთიერთსაც გამორიცხავენ.

არსებობს აზრი, რომელთა მიხედვითაც სახელმწიფომ ამ სფეროში, განვითარების მოცემულ ეტაპზე მაინც, გამოკვეთილი პროტექციონისტური პოლიტიკა

უნდა გაატაროს, ანუ მაღალი საბაჟო ტარიფები დააწესოს იმპორტულ პროდუქციაზე.

მეორე სრულიად საპირისპირო შეხედულების თანახმად, სახელმწიფომ ამ

სფეროში აბსოლუტურად ლიბერალურ პოლიტიკას უნდა მიმართოს. ამ შეხედულების გამომხატველთა აზრით, ქვეყნისათვის მით უფრო უკეთესია, რაც უფრო დაბალი იქნება საბაჟო გადასახადი. ზოგიერთ ცნობილ ქართველ მეცნიერ

ეკონომისტს იმპორტზე ნულოვანი საბაჟო გადასახადიც კი მისაღებად მიაჩნია. ამ პრობლემაზე კამათისას ისინი დიდ ილიასაც იშველიებენ.

მართლაც, საინტერესოა, ილია ჭავჭავაძის შეხედულებები ამ პრობლემაზე. თავის წერილში ,,სატამოჟნო პოლიტიკა ევროპაში, ფრიტრედერობა და პროტექციონიზმი'', რომელიც ილიამ 1887 წლის 5, 6, 9 და 10 ივნისს ოთხ ნაწილად გამოაქვეყნა, იგი წერს: ,,ჩვენს დროში ქვეყნის საქმეებმა ისეთი ძირი გაიკეთა, ისეთი მიმართულება და ხასიათი დაიჭირა, რომ დღეს ყოველ ცალკე სახელმწიფოს შეუძლია თავისი მოპირისპირე, სამტროდ მოცილე სახელმწიფო უომრად ომზედ არა ნაკლებ დააზიანოს. თუ გნებავთ, ეს ახალი სამტრო სახსარი იგივ ომია და ზოგჯერ ომზედაც უარესი, მაგრამ სისხლდაუღვრელი ომი კია, იმისთანა ომი, საცა არც ზარბაზნის გრიალია, არც ხმალის ტრიალი ... არც ერთი დიდი სახელმწიფო არ არის ევროპაში, რომ ჯარი ინგლისზედ ერთი-სამად მეტი არა ჰყვანდეს და ერთი-ორად, ერთი-სამად უკეთესად მოწყობილი, მაგრამ კი ინგლისს ქვეყნის საქმეთა დალაგებასა და განკითხვაში სხვაზედ თუ არ მეტი, ნაკლები ხმა არა აქვს მარტო იმით, რომ ძლიერია ჯიბითა... დღევანდელი ტოკვა თვითეულის სახელმწიფოსი ... სხვა არა არის რა, რომ სხვისი იეფად და ცოტა იყიდოს და თავისი ძვირად და ბლომად გაასაღოს... ''რაც შეეხება უშუალოდ სატამოჟნო პოლიტიკას, ფრიტრედერობასა თუ პროტექციონიზმს, ილია ამ საკითხს ასე განიხილავს: ''ძალმომრეობა ტამოჟნებისა და საბაჟოებისა დიდია ქვეყნის საეკონომიო ცხოვრებისათვის. საბაჟო გადასახადის მეტნაკლებობაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. როგორც სხვა სახელმწიფოებისათვის, ისეც თვით ბაჟის დამდებისათვისაც. ამ ბაჟს შინაც და გარეთაც ბევრი წყენა შეუძლია თუ კაცი გაუფრთხილებლად და წინდაუხედავად მოიქცა... რა თქმა უნდა, რომ იგი სახელმწიფო არის მოგებაში ხოლმე, რომელიც თავის მეტსა ბლომად ასაღებს და სხვისას ნაკლებ ჰსაჭიროებს, რომელიც თავისს მეტს ბლომად ჰყიდის და სხვისას კი ცოტას ჰყიდულობს. ამ ბევრის გაყიდულისაგან ცოტას ნასყიდის ფასი რომ გამოითვალოს, დანარჩენი იმ ნატამალს შეადგენს, რომელიც წმინდა მოგებაა სახელმწიფოსი. ეგრეთ წოდებული სავაჭრო ბალანსი იგი სასწორია, რომელიც ამ ნატამალის მეტნაკლებობას აჩვენებს და როცა ამ სასწორზედ გაყიდულის ფასი მეტია ნასყიდისაზე, მაშინ იტყვიან ხოლმე: სავაჭრო ბალანსი ჩვენი სასარგებლოა, და როცა არა, საზიანოაო''.

აქ შეიძლებოდა ანალოგი გაგვევლო ილიას ნააზრევსა და დიდი ფრანგი განმანათლებლის შ. მონტესკიეს ნააზრევს შორის. კერძოდ, მონტესკიე წერს: ,,სახელმწიფო, რომელსაც ყოველთვის უფრო ნაკლები საქონელი გააქვს, ვიდრე შემოაქვს, თვით ამყარებს წონასწორობას თავისი გაღარიბების ხარჯზე. მას სულ უფრო და უფრო ნაკლები შემოუვა მანამდე, სანამ, უკიდურესად გაღარიბებულს,

აღარაფერი შემოუვა'' (შ. მონტესკიე, კანონთა გონი, თბ. 1994, გვ. 363).

ილიას აზრით, პროტექციონისტებისათვის ყველაზე წონიან საბუთს ,,კარის დასაკეტად'' ის წარმოადგენს, რომ ,,იმ საქონლის შექმნა, რაც სხვიდამ შემოგვაქვს, ჩვენც შეგვიძლიაო; ამ შეძლებას აბრკოლებს ის გარემოება, რომ სხვისი საქონელი

ჩვენს შინაურ ბაზარში სჩაგრავს და გზას არ აძლევს ჩვენს საქონელსა, როცა სხვის საქონელს ჩვენის ბაზრიდან დავითხოვთ, მაშინ ბურთი და მოედანი ჩვენს ერსავე დარჩება, და რადგანაც საქონელი ერისათვის საჭიროა და რადგანაც გიჭირს, ისედაც გიღირს, ამიტომაც ჩვენი ერი მოჰკიდებს ხელს მაგ საქონლის მრეწველობასა. მრეწველობა გაძლიერდება, ერი გამდიდრდება და თავისას თვითონ გაჰყიდის და იყიდისო...''

ილიას მიხედვით, დღეს ამ საგანზე გადაწყვეტილი პასუხი არ არის მოცემული მეცნიერებისაგან. ,,ამ საგანზე ორგვარი წყობაა აზრისა, ერთმანეთის მოპირისპირე: ერთს ფრიტრედერობას ეძახიან, და მეორეს პროტექციონობას. დღეს არც ერთს ჟურნალს და არც ერთს გაზეთს ისე ვერა ჰნახავთ, რომ ამ ორში ან ერთს სახელს არ ახსენებდეს და ან მეორესა...''

ლიბერალების არგუმენტებით, ,,როცა თავისუფლად მიდენ-მოდენაა საქონლისა, მაშინ რომელსამე სახელმწიფოს შინაურს ბაზარში დიდი ცილობაა, და ბურთი და მოედანი ბაზრისა იმ სახელმწიფოსა ჰრჩება, რომლის საქონელიც უფრო უკეთესია და უფრო იეფიც. ერს ამისაგან სიკეთისა და რგების მეტი არა მოსდის რა. იმიტომ რომ კარგს საქონელს იეფად ჰყიდულობს და მაშასადამე, თავს ადვილად ირჩენს და იკვებავს''.

,,პროტექციონელნი იძახიან – ეგ ყველაფერი მართალია, მაგრამ ამ სხვის საქონელს ვთქვათ, კარგსა და იეფსა, რომ ჩვენი ერი სხვისაგან ჰყიდულობს, ხომ საფასურად აძლევს რასმეო; რაკი აძლევს, სჩანს ჩვენის ერის სიმდიდრე გარეთ გადის, სხვას გააქვს და ის არ სჯობია, ლუკმა გავარდეს და ჯამშივე ჩავარდესო, სხვის საქონლის სასყიდლად გაღებული ქონება ისევ ჩვენს ერს შინ დარჩეს და თვითონ მოიხმაროსო; თუ ჩვენს ბაზარს სხვებისათვის როგორმე დავკეტავთ, ჩვენი ქონება ვაჭრობის გამო გარეთ აღარ გაიზიდება და ჩვენშივე დატრიალდებაო. გარდა ამისა, იგი საქონელი, რომელიც სხვისგან შემოგვაქვს და მის სამაგიეროს ჩვენი სიმდიდრე გარეთ გაგვაქვს, განა ჩვენში კი არ გაკეთდება, ჩვენში-კი არ შეიქმნებაო. რომ ჰკითხოთ: თუ ეგრეა, რატომ ახლა-კი არ კეთდებაო? ამაზედ აი, რა პასუხს იძლევიან: არა კეთდება იმიტომ, რომ სხვანი გვეცილებიან, სხვებს უფრო კარგი საქონელი მოაქვთ და უფრო იეფად ჰყიდიან, და რაკი ესეა, ცილობას ვერ გავუწევთო, რადგან კაცი იმას ეტანება, ვისაც კარგი და იეფი საქონელი აქვსო; ოღონდ საქონელი კარგი და იეფი იყოს და ვაჭრობაში იმას არ დაგიდევენ ჩვენი კაცი ჰყიდის თუ სხვა კაციო. თუ ამისთანა მოცილეს თავიდამ მოვიშორებთ, მაშინ კი საქმე სხვა იქნება:

თვითონ ჩვენი ერი, კარგად თუ ავად, ხელს მოჰკიდებს საცილობელის საქონლის კეთებასა და ამ გზით თვითონ შინ გაგვემართება იგი მრეწველობა, რომლის უქონლობის გამო დღეს სხვანი ისე გვწოვენ. რა ვუყოთ, რომ პირველ ხანებში ჩვენი ახლად ფეხადგმული მრეწველობა იმისთანა კარგს და იეფს საქონელს ვერ მოგვაწვდის, როგორსაც ეხლა სხვა ქვეყანა გვაწვდისო. თავი შევიმაგროთ, მოვითმინოთ; ამ პირველი ხანების უკეთურობასა თუ სიძვირეს ჩვენისავე სიკეთისათვის როგორმე გავუძლოთ და დრო მოვა და შინაური ცილობა საქონელსაც გაგვიკარგებს და იეფობასაც ჩამოგვიგდებსო. განკარგებულის და გაძლიერებულის

მრეწველობისაგან ჩვენი ერი სიმდიდრის წყაროს გაიჩენს, და თვითონ ქონება ჩვენი, რომელიც ეხლა სხვისი საქონლის სყიდვის გამო გარეთ გადის და სხვას მიაქვს, ჩვენვე და ჩვენშივე დაგრჩებაო.

რა აზრით ნდომულობენ ამ ბედნიერების ჩამოგდებას პროტექციონელნი? ამისათვის ერთადერთი ღონეა ..ტამოჟნა". ესე იგი, საბაჟო, რომელი სახელმწიფოც ამ პროტექციონობას მისდევს. იგი იმოდენა ბაჟს ადებს შემოსატან თუ გასატან საქონელს და იმისთანა წესებით ჰხლართავს საქონლის გატან-შემოტანის საქმეს და ამაებით იმოდენად ჰზრდის საქონლის ფასს. რამდენადაც ბაჟი ზედ ეკეცება, რომ ბაზარი ვეღარ იფერებს, თუ ძალიან არ უჭირს საქონელი. ამ გზით საქონლის მიდენ-მოდენას წინ ისეთი უშველებელი ზღუდე აემართება ხოლმე, რომ ვერას გზით ვერ გაირღვევა..."

საბოლოო ჯამში დიდი ილია მაინც ლიბერალობისაკენ იხრება და შემდეგსა წერს: ,,ამისანაა ბუნება პროტექციონობისა. სათავიდანვე დაწყობილი ბოლომდე. ეს ხომ ასეა და იქნება ამ მხრივ ამ სისტემას ცოტა რამ საბუთი ჰქონდეს, თუმცა-კი ქვეყნისათვის, ყველასათვის, ერთნაირად ღია ბაზარი უმჯობესია, იმიტომ, რომ ყოველის კაცისათვის ისა სჯობის, საშუალება ჰქონდეს საჭირო საქონელი იქ და იმისგან იყიდოს, საცა და ვისაც უფრო კარგი საქონელი აქვს და უფრო იეფი ჩემ-შენაობის გაურჩევლად.

სახელმწიფოს ლიბერალური თუ პროტექციონისტული პოლიტიკის თაობაზე თავისი ორიგინალური აზრი აქვს გამოთქმული პოლონური რეფორმების ავტორსა და პრაქტიკულად განმახორციელებელს, ამჟამად პოლონეთის ეროვნული ბანკის პრეზიდენტს ლეშეკ ბალცეროვიჩს.

კერძოდ, იგი არ ეთანხმება ცალკეული საიმპორტო პროდუქციის დაბეგვრას

საბაჟო ტარიფების მესვეობით. სახელდობრ, წიგნში: ,,ბალცეროვიჩი - 800 დღე, კონტროლირებული შოკი", იგი შემდეგს ამბობს:

,,რაც უფრო მაღალია საბაჟო გადასახადი ამა თუ იმ პროდუქციაზე, მით უფრო მეტად მომგებიანია მისი ადგილზე წარმოება, იმისდა მიუხედავად, მოცემული ქვეყანა უნდა დასპეციალდეს თუ არა ამ პროდუქციის წარმოებაზე. ამიტომ საბაჟო სატარიფო სისტემისათვის დამახასიათებელი უნდა იყოს ერთნაირი, ნებისმიერი სახის პროდუქციისათვის იდენტური საბაჟო გადასახადები. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში მოხდება მოცემული ქვეყნის დასპეციალება მისი ბუნებრივი პირობების შესაბამისად. განხვავებული ტარიფები განვითარების ხელოვნურ პირობებს ჰქმნის იმ დარგებისათვის, რომლებიც ტარიფების გაზრდის გზით განსაკუთრებით დაცულნი არიან. არ შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს ბუნებრივ სპეციალიზაციას წარმოადგენდეს მაგალითად, ფუფუნების საგნების წარმოება, მაგრამ ეს ასე მოხდებოდა, თუ ამ სახის საქონლის იმპორტზე დავადებდით მაღალ საიმპორტო გადასახადს. თუ გვსურს შევზღუდოთ მოხმარება ინვესტრიციებისა და ეკონომიკური ზრდის სასარგებლოდ, მაშინ ისე უნდა წარვმართოთ მაკროეკონომიკური პოლიტიკა, რომ სახსრების დაზოგვა სასარგებლო იყოს. ამისათვის კი საჭიროა შესაბამისი მაღალი საპროცენტო

განაკვეთი და ასევე საწარმოთა მოგების დაცვა შრომის ანაზღაურების მაჩვენებლის მეტისმეტი გაზრდისაგან. ამასთან, აქტიურად უნდა ამოქმედდეს არა საბაჟო ტარიფები, არამედ პირდაპირი გადასახადების სისტემა, რომელიც თანაბარ მდგომარეობაში ჩააყენებდა როგორც იმპორტს, ისე ადგილობრივი წარმოების საქონელს" (LESZEK BALCEROWICZ, 800 DNI, SZOK KONTROLOWANY, Warszawa, 1992 წ.გვ. 158).

აღსანიშნავია, რომ ლ. ბალცეროვიჩი აღნიშნულ მოსაზრებას გამოთქვამს იმ კამათის შედეგად, რომელიც პოლონეთში დიდი ხანია, რაც მიმდინარეობს და რომელიც ამ ქვეყნის საგადამხდელო ბალანსის მკვეთრად უარყოფითი სალდოთია გამოწვეული. აღნიშნული სალდო განსაკუთრებით ბოლო წლებში გაიზარდა (ამის შესახებ უფრო მეტი მონაცემები იხ. ზემოთ).

ამ ასპექტით მეტად საინტერესოდ მოგვეჩვენა ჟურნალ ,,Власть"-ში (იხ. 2002 წლის[1] 4) დაბეჭდილი ოლღა ბაკაევას წერილი ,,საბაჟო პოლიტიკა და სახელმწიფოს ფინანსური საქმიანობა". კერძოდ, ამ წერილის ავტორს მიაჩნია, რომ კონკურენციაც, რომელიც არის სახელმწიფოს ლიბერალური პოლიტიკის შედეგი და ხშირ შემთხვევაში მართლაც მეტად სასარგებლოდ მოქმედებს ქვეყანაში ეკონომიკური განვითარების პროცესებზე. განსხვავებით პროტექციონიზმისაგან, შეუძლია გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას. ეს იმის გამოა, რომ რუსეთს კიდევ არ მიუღწევია განვითარების ისეთი დონისათვის, რომელიც მას საშუალებას მისცემდა თანაბარ პირობებში გაეწია კონკურენცია სხვა ქვეყნების მწარმოებელთათვის. ამიტომ ავტორის აზრით, ქვეყანაში შემოტანილი საქონელი უნდა დაიყოს ჯგუფებად და ამის შესაბამისად

დაიბეგროს იგი განსხვავებული საბაჟო გადასახადებით.

კერძოდ, პირველ ჯგუფს უნდა შეადგენდეს ის საქონელი, რომელსაც გააჩნია მაღალი ხარისხობრივი მაჩვენებლები და ქვეყანაში იწარმოება იმ ოდენობით, რომ დააკმაყოფილოს ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნილებები. ო. ბაკაევას აზრით, ასეთი ტიპის იმპორტულ საქონელზე უნდა დადგინდეს მაქსიმალური დონის საბაჟო ტარიფები, რათა დაცული იყოს ადგილობრივი საქონლის წარმოება. მას მიაჩნია, რომ რუსეთში ამ სახის საქონელს მიეკუთვნება სპირტის შემცველი საქონელი, კვების პროდუქტები, ნედლეული და ა. შ.

ო. ბაკაევას აზრით, მეორე ჯგუფს შეადგენს ის საქონელი, რომლებიც, მართალია, ქვეყნის შიგნით იწარმოება საკმარისი ოდენობით, რათა დააკმყოფილოს ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნილებები, მაგრამ მისი ხარისხობრივი მაჩვენებლები მკვეთრად ჩამორჩება ანალოგიური სახის იმპორტულ საქონელს. ეს არის მსუბუქი ავტომობილები, საყოფაცხოვრებო ტექნიკა, მოსაპირკეთებელი საქონელი და ა. შ. ასეთი სახის საქონელზე საბაჟო განაკვეთები უნდა დაწესდეს მოზომილად, რათა უცხოური საქონელი დაშვებული იყოს ადგილობრივ ბაზარზე და მან კონკურენცია გაუწიოს ადგილობრივ პროდუქციას მათი ხარისხის გაზრდისა და ფასის დაწევის მიზნით.

ო. ბაკაევას თეორიის მიხედვით, მესამე ჯგუფში უნდა შედიოდეს ის საქონელი, რომლებიც ქვეყანაში არ იწარმოება გარკვეული ობიექტური ფაქტორების გამო (მაგალითად, უნიკალური ტექნოლოგია, ტროპიკული ხილი და ა. შ.).ასეთი საქონლისათვის აუცილებელია ფართოდ გაიხსნას საზღვრები, მათთვის მოიხსნას საბაჟო ბარიერები, საბაჟო გადასახადები მათზე უნდა დაწესდეს მინიმალურ დონეზე ან საერთოდ გაუქმდეს ისინი.

დასასრულს, რა შეიძლება ითქვას ჩვენი მხრიდან აღნიშნულ პრობლემაზე? ჩვენ ვერ დავეთანხმებით შეხედულებას, რომლის მიხედვითაც ქვეყანა მით უფრო მოიგებდა, რაც უფრო დაბალ საბაჟო გადასახადს დააწესებდა, მით უფრო, თუკი ყველა სახის საბაჟო გადასახადს ნულოვან დონემდე დაიყვანდა. ცხადია, ჩვენი ახლად ფეხადგმული მრეწველობა თუ სოფლის მეურნეობა ასეთ სიტუაციაში ვერავითარ კონკურენციას ვერ გაუწევდა უცხოურ საქონელს. ასეთი გზით ჩვენ ვერ მოვახერხებდით ეროვნული წარმოების ვერც ერთი დარგის აღორძინებას. ამასთან, არც ის იქნებოდა მისაღები, თუკი ადგილობრივი წარმოების დაცვის მიზნით მათ (საბაჟო გადასახადებს) მაქსიმალურად გავზრდიდით. ასეთ შემთხვევაში, ადგილობრივ მრეწველებს მიეცემოდათ მონოპოლიური მდგომარეობის დაკავების საშუალება. ასეთ მდგომარეობაში კი ისინი არც იმაზე იზრუნებდნენ, რომ შეემცირებინათ საქონლის ფასები და არც იმაზე, რომ გაეუმჯობესებინათ საქონლის ხარისხი. ამიტომ საბაჟო გადასახადების მაჩვენებლის სიდიდე ამ ორ დონეს შორის უნდა მოიძებნოს, ანუ მათ არც იმის საშუალება უნდა მიეცეთ, რომ მონოპოლიური მდგომარეობა შეუქმნან ადგილობრივ მრეწველობას და არც იმის, რომ მათი დაუწესებლობით საფრთხის ქვეშ დადგეს ეროვნული მრეწველობის განვითარების პერსპექტივები.

ჩვენი აზრით, არც ის არის სწორი, რომ ზოგიერთი ჩვენი ეკონომისტი განვითარებული ქვეყნის მაგალითს მოუხმობს ხოლმე ამ სფეროში მაქსიმალურად ლიბერალური საგადასახადო პოლიტიკის გასამართლებლად. ამგვარი შედარება, როგორც გერმანული ანდაზა ამბობს, ცოტა მოიკოჭლებს, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ განვითარებული ქვეყნები თავის დროზე ანუ მაშინ, როდესაც განვითარების დაახლოებით იმ დონეზე იდგნენ, როგორზეც ახლა ჩვენ ვდგავართ, აქტიურად იყენებდნენ პროტექციონისტულ პოლიტიკას და მეორეც, ზოგიერთი განვითარებული ქვეყანა არც ახლა ამბობს უარს საკუთარი მწარმოებლების ამ სახით დაცვაზე. გავიხსენოთ, თუნდაც ბოლო დროინდელი ამბები, ანუ ის, თუ როგორ იცავს აშშ თავის მეტალურგებს, ან როგორ იცავს ევროკავშირი თავის ფერმერებს და ა. შ. ამგვარი მაგალითების მოტანა მრავლად შეიძლება.

მოკლედ, როგორც ძველი რომაელები იტყოდნენ, საჭიროა ოქროს შუალედის მოძებნა და დიდი ეკონომისტი თუ პოლიტიკოსი ის არის, ვისაც ეს ხელეწიფება.

საერთაშორისო ეკონომიკური კავშირურთიერთობის სფეროში ერთ-ერთ მნიშვნელოვან მაჩვენებელს წარმოადგენს ისიც, თუ რა სახის სტრუქტურა აქვს იმპორტსა და ექსპორტს, ანუ ემსახურებიან თუ არა ისინი წარმოების აღმავლობას, ეროვნული მეურნეობის განვითარებას. ამ მხრივ ცალკეულ კანდიდატ ქვეყანაში

სრულიად განსხვავებული მდგომარეობაა, რის ნათელ დადასტურებასაც ქვემოთ მოტანილი ცხრილებიც წარმოადგენენ:

ცხრილი № 31

იმპორტის სტრუქტურა საქონელთა ჯგუფების მიხედვით
(პროცენტულად მთელი იმპორტის მიმართ)

იმპორტის სტრუქტურა საქონელთა ჯგუფების მიხედვით(პროცენტულად მთელი იმპორტის მიმართ)											
	ბულგარეთი	კვიპროსი	ჩეხეთი	ესტონეთი	უნგრეთი	ლატვია	ლიტვა	პოლონეთი	რუმინეთი	სლოვენია	სლოვაკეთი
კვების პროდუქტები, ცოცხალი ცხოველები, ალკოჰოლი და თამბაქო											
1999	5.5	-	5.5	10.1	3	11.5	10.2	6.3	7	6	6.2
2000	4.8	-	4.6	8	2.7	11.6	9	5.6	6.5	5.7	5.3
2001	4.9	-	4.4	8.6	2.9	11.7	8.5	5.9	7.2	5.8	5.4
ნავთობპროდუქტები, ბენზინი											
1999	5.3	-	3.2	4.6	2.1	3.2	5	3.1	3.7	4.7	3.8
2000	5.5	-	3.2	4.1	2	3.5	4.8	3.4	4.3	5.4	3.9
2001	5.5	-	3.2	4.1	1.8	2.9	4	3.1	3.3	5	3.7
მინერალური სასუქები, ხანდაზმული ქიმიური ნაერთები											
1999	21.6	-	6.7	5.4	6.1	10.7	14.7	7.2	9.9	6.4	12.9
2000	26.8	-	9.7	5.8	8.4	12.3	21.7	11	12.1	9.1	17.5
2001	22.1	-	9.1	8.2	8.2	10.6	20.3	10	12.7	8.1	15.2
ცხოველური და მცენარეული ზეთები											
1999	0.3	-	0.3	0.4	0.2	0.7	0.5	0.4	0.2	0.4	0.2
2000	0.3	-	0.2	0.3	0.3	0.2	0.6	0.5	0.3	0.2	0.3
2001	0.4	-	0.2	0.4	0.2	0.7	0.6	0.3	0.2	0.3	0.3
კერამიკული ნაკეთობა											
1999	10	-	12.3	9.9	9.6	13.4	12.8	14	11	12	11.3
2000	9.4	-	11	8.7	8.9	12.5	12.3	14	10	12	11
2001	10	-	11	9	12	12	15	10	13	10	11
სამრეწველო ნაწარმი											
1999	18.2	-	21	18.7	17.8	17.6	18.9	21	28.6	22	18
2000	18.7	-	21	17	16.6	19	17	20	27	22	18
2001	19.9	-	20	18	16	19	17	21	28	23	19

ცხრილი № 32

ექსპორტის სტრუქტურა საქონელთა ჯგუფების მიხედვით[1]
(პროცენტულად მთელი იმპორტის მიმართ)

იმპორტის სტრუქტურა საქონლითა ჯგუფების მიხედვით(პროცენტულად მთელი იმპორტის მიმართ)											
	ბულგარეთი	კვიპროსი	ჩეხეთი	ესტონეთი	უნგრეთი	ლატვია	ლიტვა	პოლონეთი	რუმინეთი	სლოვენია	სლოვაკეთი
კვების პროდუქტები, ცოცხალი ცხოველები, ალკოჰოლი და თამბაქო											
1999	13	_	3.8	7.4	8	6.2	11.5	8.9	3.7	3.8	3.5
2000	9.1	_	3.7	5.6	6.9	5.8	11.1	7.9	2.9	3.6	3
2001	8.7	_	3.5	7.6	7.5	8.8	11.7	7.8	3	3.6	3
წვლილპროდუქტები, ხეშეები											
1999	7	_	3.8	16.7	2	32.6	8	3	8.6	1.8	3.8
2000	5.9	_	3.5	14	2	34	7	3	9	2	3
2001	5	_	3	12	2	28	6	2.5	6	2	3
მინერალური სანაქანები, ორგანული ქიმიური წაერთები											
1999	8.9	_	3	2	1.6	3	14	5	5	0.6	5
2000	14.7	_	3	2	1.8	2.5	21	5	7	0.7	7
2001	13.5	_	3	1.7	1.9	1.4	23	5.6	6	1	6.6
ცხოველური და მცენარეული ზეთები											
1999	0.6	_	0.1	0	0.4	0.2	0.1	0.2	0.6	0.1	0.1
2000	0.2	_	0.1	0.2	0.3	0.1	0.1	0.2	0.2	0.1	0.1
2001	0.2	-	0.1	0.2	0.2	0	0.1	0	0.2	0.1	0.1
ტრანსპორტი საშუალება											
1999	10.6	_	7.4	4.5	6	6	11	6	5	11	8
2000	11.5	_	7	4	6.7	6.4	9.5	6.8	5.8	11	8
2001	11	_	6	4.5	6.6	6.4	7.5	6	5	12	7
სამრეწველო წარმო											
1999	24	_	26	20	12	26	16	26	21	26	27
2000	26	_	25	17	11	26	14	25	20	27	27
2001	24	_	24	19	11	28	12	24	19	27	27

ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს განმაპირობებელ ფაქტორს, რომლის გათვალისწინების საფუძველზეც ევროკავშირი თავის რიგებში იღებს ზემოთ აღნიშნულ ქვეყნებს, წარმოადგენს მათი და ევროკავშირს შორის ვაჭრობის ინტენსიურობა (აქ მხედველობაში გვაქვს როგორც იმპორტი, ისე ექსპორტი). ამ მაჩვენებლის მიხედვით ლიდერობს უნგრეთი, რომლის საგარეო ვაჭრობაშიც ევროკავშირის ქვეყნებთან ვაჭრობას 65.6 პროცენტი უკავია, შემდეგ მოდის სლოვენია, სადაც ანალოგიური მაჩვენებელი 65.1 პროცენტს შეადგენს. აღნიშნული

შედარებით დაბალია ლატვიაში – 45.6 პროცენტი, კვიპროსში – 48.3% და ა. შ.

ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ წლების მანძილზე ეს მაჩვენებელი იზრდება. კერძოდ, 2001 წელს 1999 წელთან შედარებით ევროკავშირთან

ვაჭრობის ინტენსიურობა ყველაზე მაღალი ტემპებით გაზარდა რუმინეთმა (39.2%), ბულგარეთმა (34.5%), სლოვაკეთმა (25.5%) და ა. შ. საანალიზო პერიოდში მხოლოდ სლოვენიამ შეამცირა (1.2%-ით) ევროკავშირთან ვაჭრობის ინტენსიურობა.

ცხრილი № 33

კანდიდატი ქვეყნების საგარეო ვაჭრობის მოცულობები, ევროკავშირთან ვაჭრობის ინტენსიურობა და საექსპორტო შემოსულობებით იმპორტის გადაფარვის დონე 2001 წლისათვის

ქვეყანები	იმპორტ-ექსპორტის ჯამში, მლნ აშშ დოლარი	ევროკავშირის ქვეყნებთან კანდიდატების ვაჭრობის ინტენსიურობა,%-ში	იმპორტის ზრდა 2001 წელს 1999 წელთან შედარებით,%	ექსპორტის ზრდა 2001 წელს 1999 წელთან შედარებით,%	საექსპორტო შემოსავლებით იმპორტის გადაფარვა, %-ში
ბულგარეთი	12374	56.6	34.5	33.9	70.5
კვიპროსი	4898	48.3	4.6	-6.6	24.8
ჩეხეთი	69869	65.2	25	26.7	91.4
ესტონეთი	7612	62.1	8.5	33.4	77.0
უნგრეთი	64180	65.6	7.8	18.8	90.4
ლატვია	5505	55.7	14.6	13.6	57.9
ლიტვა	10936	45.6	24.3	45.4	72.0
პოლონეთი	86371	64.7	3.5	29.3	71.8
რუმინეთი	26937	61.9	39.2	38.8	73.3
სლოვენია	19400	65.1	-1.2	1.9	91.07
სლოვაკეთი	27404	54.4	25.5	24.6	85.6

ეკონომიკური აქტიურობის ზრდასთან ერთად კანდიდატი ქვეყნები ყოველწლიურად ზრდიან სხვა ქვეყნებთან კავშირურთიერთობის მასშტაბებსა და არეალს. ეს განსაკუთრებით ითქმის რუმინეთზე, ბალტიის ქვეყნებზე და ა.შ.

მიუხედავად ყოველივე ამისა, როგორც ჩანს, ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნები ჯერ კიდევ სათანადოდ არ არიან მომზადებული თავისუფალ ბაზარზე ნამდვილი კონკურენციული ბრძოლისათვის, რის გამოც, თითქმის ყველა ამ ქვეყანაში ის თანხები, რომლებსაც ამ ქვეყნებში მოქალაქეები ხარჯავენ იმპორტული პროდუქციის შესაძენად, მკვეთრად ჩამოუვარდება იმპორტული პროდუქციის შესასყიდად საჭირო თანხებს (იხ. ცხრ.№ 33). ეს კი ძაბავს მათ საგადამხდელო

ბალანსებს და საფრთხეს უქმნის ეროვნული ვალუტის სიმტკიცეს. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნენ ჩეხეთი, რუმინეთი, ლატვია, პოლონეთი და სხვა ქვეყნები. ამ მხრივ შედარებით უკეთეს მდგომარეობაში სლოვენია აღმოჩნდა.

ცხრილი №34

კანდიდატი ქვეყნების საგადამხდელო ბალანსი[2]

ქვეყნები	1999წ.	2000წ.	2001წ.
მიმდინარე ანგარიშები			
ბულგარეთი	-652	-702	-842
კვიპროსი	-217	-456	-115
ჩეხეთი	-1462	-2718	-2625
ესტონეთი	-247	-294	-340
უნგრეთი	-2082	-1327	-1105
ლატვია	-654	-493	-732
ლიტვა	-1194	-675	-574
პოლონეთი	-11553	-9952	-7166
რუმინეთი	-1296	-1363	-2317
სლოვენია	-698	-548	31
სლოვაკეთი	-980	-702	-1756
მიმდინარე ანგარიშებიდან – საგაჭრო ბალანსი			
ბულგარეთი	-1081	-1176	-1581
კვიპროსი	-2308	-2609	-621
ჩეხეთი	-1903	-3131	-3068
ესტონეთი	-822	-767	-790
უნგრეთი	-2176	-1756	-2023
ლატვია	-1027	-1058	-1351
ლიტვა	-1405	-1104	-1108
პოლონეთი	-14379	-13168	-11675
რუმინეთი	-1092	-1684	-2969
სლოვენია	-1235	-1139	-619
სლოვაკეთი	-1092	-904	-2135
მიმდინარე ანგარიშებიდან – მომსახურება, ნეტო			
ბულგარეთი	314	506	544
კვიპროსი	2042	2049	492
ჩეხეთი	1200	1414	1524
ესტონეთი	564	562	580
უნგრეთი	1387	1771	2159
ლატვია	336	443	487
ლიტვა	305	380	457
პოლონეთი	-1631	-1686	-976
რუმინეთი	-419	-254	-209
სლოვენია	354	450	502
სლოვაკეთი	218	438	480

როგორც შესაბამისი გაანგარიშებები გვიჩვენებს, მშპ-თან შედარებით ყველაზე დიდი უარყოფით საგადამხდელო სალდო აქვს ლატვიას, - 9.7%, ბულგარეთს – 6.2%, ესტონეთს – 6% და ა. შ.

შედარებით უკეთესი მდგომარეობაში არიან კვიპროსი – 1.3%, უნგრეთი – 2.1% და ლიტვა – 4.8%. რაც შეეხება სლოვენიას, მას დადებითი სალდო აქვს საგადამხდელო ბალანსში.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ როგორც საერთაშორისო საფინანსო წრეებში თვლიან, ქვეყანა მაშინ არის საგანგაშო მდგომარეობაში, როდესაც მიმდინარე ანგარიშების უარყოფითი სალდო 8%-ს აღემატება, ვნახავთ, რომ კანდიდატი ქვეყნებიდან ასეთ სიტუაციაში მხოლოდ ლატვიაა აღმოჩენილი.

საქართველოში ბოლო წლებში, თუმცა ნელი ტემპებით, მაგრამ მაინც, ამ მხრივ შედარებით სწორდება მდგომარეობა. კერძოდ, თუ 1997 წელს, ანუ მაშინ, როდესაც მიმდინარე ანგარიშების უარყოფითმა სალდომ თავის პიკს მიაღწია, იგი შეადგენდა მშპ-ს 13.9 პროცენტს, შემდეგ იგი თანდათან დაეცა და 2001 წლისათვის იგი მინუს 6.6 პროცენტის ტოლი იყო.

§14. კანდიდატი ქვეყნების საგარეო და საშინაო ვალები

კანდიდატი ქვეყნები კიდევ ერთმა მდგომარეობამ ჩააგდო ძალზე მძიმე მდგომარეობაში. ეს არის საგარეო ვალები. ამ ქვეყნებში აღნიშნული მაჩვენებლის შესახებ წარმოდგენას შეგვიქმნის ცხრილი № 35:

ცხრილი № 35

კანდიდატი ქვეყნების საგარეო ვალები*, მლნ აშშ დოლარში

ქვეყანა	1999წ.	2000წ.	2001წ.	ზრდა/შემცირება 2001 წელს 1999 წელთან შედარებით, %	2001 წელს %-ად მშპ-თან შედარებით
ხელგარეთი	10914	11202	10619	-2.8	78.9
კვიპროსი	3223	3064	3619	+12.3	39.4
ჩეხეთი	22861	21608	21696	-5.1	47.5
ესტონეთი	2879	3011	3279	+13.9	57.9
უნგრეთი	24662	25067	24924	+1	47.4
ლატვია	3821	4701	5569	+45.7	73.5
ლიტვა	4528	4857	5268	+16.3	43.9
პოლონეთი	65365	69466	71754	+9.8	39.3
რუმინეთი	8279	9832	11461	+38.4	29.0
სლოვენია	5400	6217	8717	+61.4	46.3
სლოვაკეთი	10728	10804	11042	+2.9	44.7

როგორც ცხრილიდან ჩანს, კანდიდატ ქვეყნებს საკმაოდ სოლიდური ვალები დაუგროვდათ უცხო ქვეყნებისა თუ საერთასორისო საფინანსო ორგანიზაციების მიმართ. აბსოლუტურ მაჩვენებლებში საგარეო ვალები განსაკუთრებით ბევრი აქვს პოლონეთს, უნგრეთს და ა. შ. რაც შეეხება საგარეო ვალებს მშპ-თან შედარებით, ამ მხრივ ყველაზე მძიმე მდგომარეობა აქვს ბულგარეთს, რომლის საგარეო ვალიც მშპ-ს თითქმის 80 პროცენტს აღწევს და ასევე ლატვიას, - 73.5% (ცნობისათვის:

ქვეყანა კრიზისულ მდგომარეობაში იმყოფება მაშინ, თუ მისი საგარეო ვალის თანხა მშპ-ს 30 პროცენტს აღემატება).

რაც შეეხება საგარეო ვალს ერთ მცხოვრებზე გაანგარიშებით, მასზე წარმოდგენას შეგვიქმნის შემდეგი ცხრილი:

ცხრილი № 36 კანდიდატი ქვეყნების საგარეო ვალები ერთ მცხოვრებზე გაანგარიშებით, აშშ დოლარი

ქვეყნები	1999წ.	2000წ.	2001 წ.	2000 წელს მშპ წარმოება, $-ში, 1 კაცზე	1კაცზე საგარეო ვალის შეფარდება 1 კაცზე წარმოებულ მშპ-თან 2000 წელს, %	1 კაცზე საგარეო ვალის ზრდა/შემცირება 2001 წელს 1999 წელთან შედარებით, %
ბულგარეთი	1246	1272	1379	1704.9	76.6	-2.8
კვიპროსი	4847	4580	5365	11630	39.4	+12.3
ჩეხეთი	2221	2103	2112	5548.2	37.9	-5.1
ესტონეთი	2098	2202	2408	4164.7	52.9	+13.9
უნგრეთი	2455	2458	2450	5194.1	41.3	+1
ლატვია	1604	1988	2374	3217.8	61.8	+45.7
ლიტვა	1289	1393	1516	3447.3	40.4	+16.3
პოლონეთი	1691	1798	1857	3442.0	52.2	+9.8
რუმინეთი	369	438	513	1771.4	24.7	+38.4
სლოვენია	2718	3124	3370	9442.9	33.1	+61.4
სლოვაკეთი	1952	2021	2053	3803.2	53.1	+2.9

იმ საგარეო ვალების სტრუქტურაში, რომელიც აქვთ კანდიდატ ქვეყნებს, საკმაოდ დიდი ხვედრი წილით არის წარმოდგენილი ამ ქვეყნების მთავრობების მიერ ან მისი გარანტიით აღებულ საგარეო ვალები. მათ შესახებ წარმოდგენას შეგვიქმნის შემდეგი ცხრილი

ცხრილი № 37

კანდიდატი ქვეყნების მთავრობების საგარეო ვალები, მლნ აშშ დოლარებში

ქვეყნები	1999წ.	2000წ.	2001წ	2001 წელს 1999 წელთან, %
ხელგარეთი	9070	8970	8525	94
კვიპროსი	1563	1318	1180	75.5
ჩეხეთი	1144	1077	863	75.4
ესტონეთი	204	161	148	72.5
უნგრეთი	5607	6500	8447	150.7
ლატვია	616	568	716	116.2
ლიტვა	1840	1932	1949	105.9
პოლონეთი	31264	29165	24812	79.4
რუმინეთი	3468	4387	5298	152.8
სლოვენია	2026	2255	2363	116.6
სლოვაკეთი	2388	2867	2567	107.5

როგორც ცხრილიდან ჩანს, კანდიდატი ქვეყნების მთავრობების უმრავლესობას 1999-2001 წლებში გაეზარდათ საგარეო ვალები, თუმცა ზოგიერთმა მათგანმა მისი შემცირებაც შეძლო. საგარეო ვალები განსაკუთრებით გაეზარდა რუმინეთისა და უნგრეთის მთავრობებს, ხოლო მისი ყველაზე მაღალი ტემპებით შემცირება მოახერხეს ესტონეთის, კვიპროსისა და ჩეხეთის მთავრობამ.

კანდიდატი ქვეყნების მთავრობებს საგარეო ვალების გარდა არანაკლებ მძიმე მდგომარეობაში აყენებს საკუთარი მოსახლეობის მიმართ დაგროვილი შიდა ვალები (იხ. ცხრ. [1]38).

მაასტრიხტის ხელშეკრულების თანახმად, ქვეყნის შიდა სახელმწიფო ვალი არ უნდა აღემატებოდეს მშპ-ს 55%-ს, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს ქვეყანა კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფ ქვეყანად ითვლება. როგორც ცხრილიდან ჩანს, ამ მაჩვენებლის მიხედვით მხოლოდ კვიპროსია აღმოჩენილი ასეთ კრიტიკულ ვითარებაში. შედარებით მძიმე მდგომარეობაა ამ მხრივ უნგრეთშიც.

2003 წლის 1 აპრილისათვის საქართველოსათვის სახელმწიფო საგარეო ვალი და სახელმწიფოს მიერ გარანტირებული ვალდებულებები შეადგენს 1 მილიარდ 768 მილიონ აშშ დოლარს ანუ სამი მილიარდ 758 მილიონ ლარს.

აქედან, საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალია მილიარდ 679 მილიონი აშშ დოლარი ანუ სამი მილიარდ 568 მილიონი ლარი, ხოლო სახელმწიფოს მიერ გარანტირებული ვალდებულებები კი 89.2 მილიონი აშშ დოლარი ანუ 189.6 მილიონი ლარი.

ბოლო წლებში საქართველოში, განსხვავებით საგადამხდელო ბალანსისა,

თანდათან უარესდება მდგომარეობა საგარეო ვალთან დაკავშირებით. კერძოდ, თუ 1996 წელს საგარეო ვალი მშპ-თან დაკავშირებით 44.2 პროცენტს უდრიდა,

ცხრილი № 38

კანდიდატი ქვეყნების მთავრობების შიდა ვალები,
მლნ აშშ დოლარებში

ქვეყნები	1999წ.	2000წ.	2001წ.	შიდა ვალების ხვედრითი წილი 2001 წელს მშპ-თან მიმართებაში
ბულგარეთი	1071	848	842	6.2
კვიპროსი	5250	4830	4970	54.2
ჩეხეთი	6506	7715	10293	18.1
ესტონეთი	105	89	115	2
უნგრეთი	21960	20619	19669	37.2
ლატვია	260	364	401	5.3
ლიტვა	611	778	829	6.9
პოლონეთი	32465	35234	46416	25.4
რუმინეთი	3569	2855	2941	7.9
სლოვენია	2726	2357	2645	14.1
სლოვაკეთი	3435	3270	6062	29.6

შემდეგ, 1999 წელს მან თავის პიკს მიაღწია და 58.2 პროცენტი შეადგინა, 2001 წელს კი 47.6 პროცენტის დონეზე იყო.

საგარეო ვალი ბიუჯეტის შემოსავლებთან მიმართებაში 1996 წელს უდრიდა 325.8%-ს, 1999 წელს – 381.8 პროცენტს, ხოლო 2001 წელს 324.5 პროცენტს.

რაც შეეხება საგარეო ვალის მიმართებას მთლიან ექსპორტთან, ანუ მისი დაფარვის მთავარ წყაროსთან, მას შემდეგი სახე ჰქონდა: 1996 წელს იგი უდრიდა 286.5%, 1999 წელს – 299.4%-ს, ხოლო 2001 წელს – 187.8 პროცენტს.

§15. კანდიდატ ქვეყნების სოციალური პრიორიტეტები და სირთულეები

შრომითი რესურსების ეფექტურ გამოყენებასთან ერთად, ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა ენოჭება კანდიდატ ქვეყნებში ეკონომიკური პრიორიტეტების განსაზღვრის დროს, დასაქმებულთა შრომის ანაზღაურება წარმოადგენს. ბოლო წლების მანძილზე აღნიშნული მაჩვენებელი ყველა კანდიდატ ქვეყანაში დინამიურად იზრდებოდა. აღნიშნულის შესახებ წარმოდგენას შეგვიქმნის ცხრილი № 39:

ცხრილი № 39

შრომის ანაზღაურების მაჩვენებლები (თვიური ხელფასები) და მისი დინამიკა კანდიდატ ქვეყნებში 1999-2001 წლებში,
(ეროვნულ ვალუტაში)

ქვეყნები	1999წ.	2000წ.	2001წ.	ზრდა 2001 წელს წინა წელთან შედარებით
ბულგარეთი	201	225	240	6.7
კვიპროსი	797	852	895	5
ჩეხეთი	12666	13499	14640	8.5
ესტონეთი	4440	4907	5510	12.3
უნგრეთი	77187	87645	103558	18.2
ლატვია	141	150	159	6
ლიტვა	987	971	982	1.1
პოლონეთი	1697	1894	2062	8.9
რუმინეთი	1921754	2840449	4220357	48.5
სლოვენია	173245	191669	214561	11.9
სლოვაკეთი	10728	11430	12365	8.2

ვფიქრობთ, დღეს, როდესაც საქართველოში ასე ინტენსიური კამათი მიმდინარეობს მინიმალური ხელფასის 115 ლარამდე, ანუ თითქმის 500 პროცენტით გაზრდის თაობაზე, საინტერესოა ვნახოთ თუ როგორ იზრდებოდა ხელფასები კანდიდატ ქვეყნებში.

როგორც ცხრილიდან ჩანს, კანდიდატ ქვეყნებში, თუმცა ხელფასები დინამიურად იზრდება, მაგრამ იზრდება არა მკვეთრად და მოკლე პერიოდში, როგორც ამის მიღწევა ზოგიერთ ჩვენს პარლამენტარს სურს, არამედ ნელი და მოზომილი ტემპებით. კერძოდ, ხელფასის დონე 2001 წელს წინა წელთან შედარებით გაიზარდა: ბულგარეთში – 6.7 პროცენტით, კვიპროსში – 5 პროცენტით, ჩეხეთში – 8.5 პროცენტით და ა. შ. ამ წელს მხოლოდ რუმინეთში ჰქონდა ადგილი ხელფასების შედარებით მკვეთრ, 48.5 პროცენტიან ზრდას.

როგორც ცხრილიდან ჩანს, საშუალო ხელფასი 2001 წელს 2000 წელთან შედარებით ყველაზე მაქსიმალური ტემპით გაიზარდა რუმინეთში, - 48.5 პროცენტით და ყველაზე მინიმალური ტემპით 1.1%-ით,- ლიტვაში.

საქართველოში მინიმალური ხელფასი შეადგენს 25 ლარს, ხოლო საშუალო ხელფასი ორჯერ მეტს, ანუ 50 ლარს. ამ მაჩვენებლით ჩვენი ქვეყანა არა მხოლოდ ევროკავშირის კანდიდატ ქვეყნებს, არამედ დსთ-ს სხვა ქვეყნებსაც ჩამორჩება. კერძოდ, საშუალო-თვიური ხელფასი რუსეთში შეადგენს 146 დოლარს, ყაზახეთში – 136 დოლარს, ბელორუსში – 112-ს, უკრაინაში – 74-ს, აზერბაიჯანში 66-ს, მოლდოვაში – 56-ს, სომხეთში – 47-ს, ხოლო ტაჯიკეთში – 11.7 დოლარს.

მოსახლეობის შემოსავლების შემადგენლობასა და ცვლილებებზე მშპ-თან მიმართებაში კარგ წარმოდგენას შეგვიქმნის ქვემოთ მოტანილი ცხრილი:

ცხრილი № 40

მოსახლეობის შემოსავლების შემადგენლობასა და ცვლილებები მშპ-თან, %-ში

ქვეყნები	ხელფასი		თვითდასაქმება		მშპ-ს დაცემა, 90-იანი წლები	შემოსავლების დინამიკა, 90-იანი წლები
	80-იანი	90-იანი	80-იანი	90-იანი		
ესტონეთი	32	35	20	25	-15	1
უნგრეთი	27	32	22	28	-12	8
პოლონეთი	46	33	8	20	-25	-11
რუსეთი	41	22	5	35	-38	-32
საქართველო	**45**	**16**	**7**	**54**	**-56**	**-48**

§16. პენსიონერთა პრობლემები კანდიდატ ქვეყნებში

ერთ-ერთ სერიოზულ პრობლემას კანდიდატ ქვეყნებში საზოგადოების უდიდესი სოციალური ჯგუფების – პენსიონერების მოთხოვნილებების დაკმაყოფილება წარმოადგენს. ეს ადამიანები ხომ ამ ქვეყნების მოსახლეობის 12.3 პროცენტიდან, ესტონეთში - 48.5 პროცენტამდე, რუმინეთში, მერყეობს. ამასთან, რაც უფრო განვითარებული და მდიდარი ხდება საზოგადოება, აღნიშნული მაჩვენებელი, ანუ პენსიონერთა ხვედრითი წილი მთელს მოსახლეობაში, კიდევ უფრო იზრდება. პენსიონერთა რიცხოვნობის და ამ ქვეყნებში მათთვის გაღებული ფინანსური სახსრების შესახებ წარმოდგენას შეგვიქმნის ქვემოთ მოტანილი მაჩვენებლები.

ცხრილი № 41

პენსიონერების რიცხოვნობის მაჩვენებლები კანდიდატ ქვეყნებში 1999-2001 წლებში, (ათასი კაცი)

ქვეყნები	1999	2000	2001	სვეტრითი წილი მთელ მოსახლეობაში, 2001 წელს
ხელვარეთი	2381	2375	2298	29.9
კვიპროსი	98	102	104	15.4
ჩეხეთი	1273	2594	2611	25.4
ესტონეთი	371	367	371	12.3
უნგრეთი	3141	3103	3084	27.2
ლატვია	651	641	630	26
ლიტვა	941	955	948	19.3
პოლონეთი	7553	7505	7457	19.3
რუმინეთი	4228	4402	4584	48.5
სლოვენია	463	471	479	24
სლოვაკეთი	1199	1203	1197	22.2

როგორც ცხრილიდან ჩანს, ყველაზე დიდი რიცხოვნობის პენსიონერები არიან პოლონეთში, - 7457 ათასი ადამიანი, რუმინეთში – 4584 ათასი ადამიანი, შემდეგ მოდის უნგრეთი – 3084 ათასი ადამიანი და ა. შ. რაც შეეხება პენსიონერთა ხვედრით წილს მთელს მოსახლეობაში, ამ მაჩვენებლის მიხედვით ლიდერობს რუმინეთი – 48.5%, ბულგარეთი – 29.9%, ლატვია – 27.3% და ა. შ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ევროკავშირის კანდიდატ ქვეყნებს შორის ყველაზე ,,დაბერებულ'' ერს წარმოადგენენ რუმინელები, ბულგარელები, ლატვიელები, ხოლო ყველაზე ახალგაზრდა ერს – ესტონელები, კვიპროსელები (ანუ ძირითადად, კვიპროსელი ბერძნები), ლიტველები და პოლონელები.

ახლა საინტერესოა ვნახოთ, თუ რა თანხებს იღებენ პენსიონერები და საერთო ჯამში, რა ხვედრითი წილით არის ეს თანხები წარმოდგენილი მშპ-ში. აღნიშნულის შესახებ წარმოდგენას შეგვიქმნის ქვემოთ მოტანილი ცხრილი № 42:

ცხრილი №42

პენსიების მოცულობის მაჩვენებლები კანდიდატ ქვეყნებში 1999-2001 წლებში, (ეროვნულ ვალუტაში, მილიარდები)

ქვეყნები	1999	2000	2001	საპენსიო ფონდის ხვედრითი წილი 2001 წელს მთლიან შიდა პროდუქტში
ბულგარეთი	66.93	86.41	92.37	9.0
კვიპროსი	173	184	196	4.5
ჩეხეთი	5779	6169	6687	9.1
ესტონეთი	1394	1390	1477	6.9
უნგრეთი	29639	32986	38374	9.5
ლატვია	57.31	56.78	56.98	9.2
ლიტვა	308	311	312	7.4
პოლონეთი	814	875	972	12.1
რუმინეთი	689095	938063	1337202	7.4
სლოვენია	75486	82868	89969	12.5
სლოვაკეთი	4521	5010	5384	7.8

რაც შეეხება ყოველთვიურ ფულად თანხას აშშ დოლარში, რომელსაც კანდიდატ ქვეყნებში თითოეული პენსიონერი ყოველთვიურად იღებს, მას შემდეგი სახე აქვს: ბულგარეთში იგი შეადგენს 50.4 დოლარს, ჩეხეთში 223 დოლარს,

ესტონეთში 100.5 დოლარს, უნგრეთში – 165 დოლარს, ლიტვაში - 17.53 დოლარს, ლატვიაში – 529 დოლარს, პოლონეთში – 221 დოლარს, რუმინეთში – 40 დოლარს, სლოვენიაში – 415 დოლარს და სლოვაკეთში – 138 დოლარს.

როგორც ჩანს, მაქსიმალურ პენსიას პენსიონერი იღებს ლატვიაში, სადაც პენსიის მოცულობა ცამეტჯერ აღემატება ყველაზე უმცირესი პენსიის მოცულობას, რომელიც აქვს რუმინელ პენსიონერს.

ამასთან აღსანიშნავია, რომ საპენსიო სახსრების ხვედრითი წილი მთლიან შიდა პროდუქტში, ამ უკანასკნელის გაცილებით მაღალი ტემპებით ზრდის პირობებში, ამ ქვეყნების უმრავლესობაში კლებულობს. ეს პროცესი განსაკუთრებით დამახასიათებელია ლიტვისათვის, სადაც, თუ 1998 წელს საპენსიო ფონდი მშპ-ს 11.2% იყო, 2001 წელს იგი 9.2 პროცენტამდე დაეცა ანუ შემცირდა 17.9 პროცენტული პუნქტით. ანალოგიურ პროცესებს ჰქონდა ადგილი უნგრეთში, ესტონეთში და ა. შ.

თუმცა უნდა ითქვას, რომ ამის საწინააღმდეგო პროცესებს ჰქონდა ადგილი ბულგარეთში, კვიპროსში, ჩეხეთში, პოლონეთსა და რუმინეთში, სადაც საპენსიო ფონდისა და პენსიონერების რიცხვის მოსახლეობის საერთო რიცხოვნობაში გაზრდის გამო, ამასთან, მშპ-ს არც თუ ისე მაღალი ტემპებით ზრდის პირობებში, ეს მაჩვენებელი გაიზარდა. პენსიონერთა ხვედრითი წილი მთელ მოსახლეობაში არ გაზრდილა მხოლოდ პოლონეთში. აქ იგი საანალიზო პერიოდში პირიქით, შემცირდა კიდეც, მაგრამ პენსიების გაზრდის გამო საპენსიო ფონდის ხვედირთი წილი მშპ-ში გაიზარდა.

რაც შეეხება საქართველოს, 2003 წლის ბიუჯეტის მიხედვით, ჩვენს ქვეყანაში ირიცხება 870000 პენსიონერი, რომელთათვისაც აღნიშნულ წელს ბიუჯეტიდან გამოყოფილია 22.1 მილიონი ლარი, ანუ პენსიონერზე საშუალოდ 25.4 ლარი თვეში. როგორც გაანგარიშებიდან ჩანს, საქართველოში მთელი საპენსიო თანხა შეადგენს მშპ-ს 3 პროცენტს. საქართველოში პენსიონერები შეადგენენ მთელი მოსახლეობის თითქმის 20 პროცენტს. ამ მაჩვენებლით ჩვენი ქვეყანა მხოლოდ კვიპროსს, ესტონეთს, ლიტვასა და პოლონეთს ჩამოუვარდება (იხ. ცხრილი [1] 41).

ამ თემაზე საუბრისას დასკვნის სახით შეიძლება ითქვას შემდეგი: თუმცა საქართველოში პენსიონერთა ხვედრითი წილი მთელ მოსახლეობაში გაცილებით მეტია, ვიდრე კვიპროსში, ესტონეთში, ლიტვასა თუ პოლონეთში, მაგრამ იმის გამო, რომ ჩვენთან საშუალო პენსია მიზერული ოდენობისაა, საშუალოდ 25.4 ლარი თვეში, მთლიანი საპენსიო ფონდის ხვედრითი წილი მკვეთრად ჩამოუვარდება თუმდაც იგივე ამ ქვეყნებში საპენსიო სახსრების ხვედრით წილს მშპ-ს მიმართ (ამ ქვეყნებში იგი შეადგენს შესაბამისად 4.5%, 6.9%, 7.4% და 12.1%).

ამ სფეროში შექმნილი არცთუ ისე მისაღები მდგომარეობის გამოსწორების მიზნით უნდა ითქვას შემდეგიც: პენსიონერები თითქმის ყველა კანდიდატ ქვეყანაში და ასევე საქართველოშიც, საზოგადოების ერთ-ერთ ყველაზე დიდ, ამასთან, ისეთ ჯგუფს წარმოადგენს, რომლის ინტერესებიც საზოგადოების სხვა ჯგუფებთან შედარებით, ნაკლებადაა დაკმაყოფილებული. მათ სათანადოდ დაკმაყოფილებას კი მინიმუმ ორი რამ სჭირდება: მშპ-ს ზრდის ტემპების გაზრდა (საზოგადოებაში დოვლათის დაგროვება, რომლის გადანაწილებაც, მათ შორის, პენსიონერებისათვისაც, შესაძლებელი იქნებოდა) და კერძო კაპიტალის უფრო აქტიური ჩაბმა და მონაწილეობა საპენსიო ფონდების შექმნაში. ამ მხრივ საკმაოდ ნათელ მაგალითად, როგორც ჩვენთვის, ისე ალბათ, კანდიდატი ქვეყნებისათვისაც, მისაბაძი მაგალითი უნდა გახდეს ჩილეში განხორციელებული საპენსიო რეფორმა. ამ ქვეყანაში ასეთი მნიშვნელოვანი ღონისძიების გატარებას ხელი შეუწყო იმან, რომ ბოლო ოცი წლის მანძილზე აქ თითქმის გაორმაგდა მშპ-ს წარმოების მაჩვენებლები, რამაც შექმნა იმის შესაძლებლობა, რომ მშპ-დან საპენსიო ფონდს 40 მლრდ აშშ-ზე მეტი გამოეყო. ეს კი მშპ-ის ნახევარზე მეტი იყო. მილიონობით ჩილელისათვის საპენსიო წიგნაკი ეროვნულ მეურნეობაში მათი მონაწილეობის ნიშნად იქცა., ხოლო საპენსიო ანგარიში – მათ უმთავრეს იმედად. ახლა მათთვის უკვე სულ ერთი აღარ არის, თუ რა მდგომარეობაა საფონდო ბაზრებზე, სადაც ამ ბაზრებზე ერთ-ერთ მთავარ მონაწილეებს ხომ სწორედ საპენსიო ფონდები წარმოადგენენ. რეფორმის შემდეგ პენსიონერები დაინტერესებული არიან ასევე ხელისუფლების ეკონომიკური პოლიტიკით და ეროვნული მეურნეობის, როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორების მაქსიმალური განვითარებით.

აქვე საინტერესო იქნება ვნახოთ, თუ კანდიდატ ქვეყნებსა და საქართველოს მშპ-ში რა დონით არის წარმოდგენილი საერთოდ, სოციალური დახმარების ხარჯები. ქვემოთ მოტანილი ცხრილი სწორედ ამ მაჩვენებლების შესახებ იძლევა წარმოდგენას.

ცხრილი №43

სოციალური დახმარების ხარჯები პროცენტულად მშპ-ს მიმართ

როგორც ცხრილიდან ჩანს, მშპ-თან შედარებით სოციალური ხარჯების ყველაზე მაღალი დონე მშპ-ს მიმართ, არსებობს ბულგარეთში, რუმუნეთში და ა. შ.

ამ მხრივ ყველაზე დაბალი დონით წარმოდგენილია საქართველო, სადაც აღნიშნული მაჩვენებელი 4 პროცენტსაც ვერ აღწევს.

§17 მოხმარების სფერო კანდიდატ ქვეყნებში

ყოველი სისტემის დადებით და უარყოფითი მხარეები საბოლოო ჯამში იმის მიხედვით ფასდება, თუ რა სიკეთე მოაქვს მას მოსახლეობისათვის. ამ სიკეთეთაგან კი პირველ რიგში ადამიანების სწორი და ეფექტური კვებაა აღსანიშნავი. ქვემოთ მოტანილი ცხრილი სწორედ იმის შესახებ გვაძლევს წარმოდგენას, თუ კანდიდატ ქვეყნებში რა სახე აქვს მოხმარებას და რამდენად სწორია იგი ფიზიოლოგიური თუ ჯანმრთელობის თვალსაზრისით.

ცხრილი № 44

კვების პროდუქტების ყოველთვიური მოხმარება კანდიდატ ქვეყნებში

ბელგაჩეთი

წლები	ხორცი და ხორცის პროდუქტები, %	თევზი და თევზის პროდუქტები,%	ცხიმები და ზეთი, %	ახალი რძე,ლ.	პური, %	მაქარი, %	კარტოფილი,%	ახალი ბოსტნეული,%
1999	2.94	0.28	0.94	2.62	11.72	0.73	2.24	4.88
2000	2.79	0.28	0.90	2.41	11.23	0.70	2.19	4.78
2001	2.61	0.28	0.93	2.31	11.09	0.70	2.24	4.96

ჩეხეთი

წლები	ხორცი და ხორცის პროდუქტები, %	თევზი და თევზის პროდუქტები,%	ცხიმები და ზეთი, %	ახალი რძე,ლ.	პური, %	მაქარი, %	კარტოფილი,%	ახალი ბოსტნეული,%
1999	5.01	0.40	1.36	4.74	5.68	0.99	3.46	3.08
2000	4.81	0.41	1.36	4.68	5.79	0.94	3.49	3.02
2001	4.70	0.40	1.35	4.60	5.79	0.92	3.40	3.12

ესტონეთი

წლები	ხორცი და ხორცის პროდუქტები, %	თევზი და თევზის პროდუქტები,%	ცხიმები და ზეთი, %	ახალი რძე,ლ.	პური, %	მაქარი, %	კარტოფილი,%	ახალი ბოსტნეული,%
1999	4.65	1.15	1.19	6.75	2.72	1.89	9.57	4.93
2000	5.15	1.29	1.30	6.96	2.77	2.14	10.27	5.16
2001	4.79	1.22	1.30	6.47	2.66	2.01	9.93	5.02

უნგრეთი

წლები	ხორცი და ხორცის პროდუქტები, %	თევზი და თევზის პროდუქტები,%	ცხიმები და ზეთი, %	ახალი რძე,ლ.	პური, %	მაქარი, %	კარტოფილი,%	ახალი ბოსტნეული,%
1999	5.01	-	1.74	5.86	6.86	1.60	3.62	4.99
2000	5.05	-	1.57	5.67	8.57	1.48	3.62	4.66
2001	5.12	-	1.60	5.55	8.73	1.48	3.67	4.81

ლატვია

წლები	ხორცი და ხორცის პროდუქტები, %	თევზი და თევზის პროდუქტები,%	ცხიმები და ზეთი, %	ახალი რძე,ლ.	პური, %	მაქარი, %	კარტოფილი,%	ახალი ბოსტნეული,%
1999	5.18	1.20	1.27	23.98	6.71	2.20	11.07	7.89
2000	5.32	1.26	1.30	24.45	6.38	2.22	11.57	7.37
2001	-	-	-	-	-	-	-	-

ლიტვა

წლები	ხორცი და ხორცის პროდუქტები, %	თევზი და თევზის პროდუქტები,%	ცხიმები და ზეთი, %	ახალი რძე,ლ.	პური, %	მაქარი, %	კარტოფილი,%	ახალი ბოსტნეული,%
1999	6.10	1.20	1.30	6.70	5.20	1.60	10.80	5.50
2000	6.00	1.10	1.30	6.80	4.80	1.50	10.40	5.10
2001	5.90	1.20	1.40	6.60	4.70	1.50	10.10	5

პოლონეთი

წლები	ხორცი და ხორცის პროდუქტები, კგ	თევზი და თევზის პროდუქტები,კგ	ცხიმები და ზეთი, კგ	ახალი რძე,ლ.	პური, კგ	შაქარი, კგ	კარტოფილი,კგ	ახალი ბოსტნეული,კგ
1999	5.56	0.37	1.58	5.77	6.80	1.94	7.77	5.54
2000	5.47	0.43	1.56	5.39	6.61	1.80	7.82	5.41
2001	5.39	0.42	1.59	5.11	6.55	1.76	7.45	5.35

რუმინეთი

წლები	ხორცი და ხორცის პროდუქტები, კგ	თევზი და თევზის პროდუქტები,კგ	ცხიმები და ზეთი, კგ	ახალი რძე,ლ.	პური, კგ	შაქარი, კგ	კარტოფილი, კგ	ახალი ბოსტნეული,კგ
1999	3.63	0.33	1.41	5.67	9.91	0.93	4.48	4.80
2000	3.56	0.34	1.42	5.58	9.58	0.91	4.68	4.74
2001	3.24	0.35	1.32	5.96	9.83	0.84	4.58	4.54

ხლოვენია

წლები	ხორცი და ხორცის პროდუქტები, კგ	თევზი და თევზის პროდუქტები,კგ	ცხიმები და ზეთი, კგ	ახალი რძე,ლ.	პური, კგ	შაქარი, კგ	კარტოფილი, კგ	ახალი ბოსტნეული, კგ
1999	5.27	0.27	1.67	6.64	5.42	1.31	3.99	4.28
2000	5.18	0.23	1.51	6.62	5.34	1.33	4.03	4.30
2001	-	-	-	-	-	-	-	-

ცხრილში მოტანილი მონაცემები კანდიდატ ქვეყნებში მოსახლეობის კვების სფეროში შექმნილ გარკვეული ტენდენციის დაფიქსირების საშუალებას იძლევა.

კერძოდ, ქვეყნებში, რომლებიც ეკონომიკურად ძლიერნი არიან, მოსახლეობას საშუალება აქვს დიდი რაოდენობით მოიხმაროს ხორცი და ხორცის პროდუქტები და ამავე დროს, წლიდან წლამდე გაზარდოს მისი მოხმარება (რა თქმა უნდა, ფიზიოლოგიურ ნორმებში. წინააღმდეგ შემთხვევაში, ნორმას ზევით ხორცისა და მისი პროდუქტების მოხმარებას ისეთივე უარყოფითი შედეგები მოაქვს, როგორც მის მცირე რაოდენობით მოხმარებას). ასეთ მდგომარეობას აქვს ადგილი ჩეხეთში, უნგრეთში, ესტონეთში და ბალტიის სხვა ქვეყნებში. რაც შეეხება ბულგარეთსა და რუმინეთს, ანუ კანდიდატ ქვეყნებს შორის ეკონომიკურად შედარებით ჩამორჩენილებს, აქ ამ პროდუქტების მოხმარების ისედაც დაბალი მაჩვენებელი ბოლო ხანებში კლების ტენდენციით ხასიათდება.

ცხრილიდან გამომდინარე, ანალოგიური დასკვნის გაკეთების საშუალება გვაქვს თევზისა და მისი პროდუქტების თაობაზეც.

შედარებით მდიდარ კანდიდატ ქვეყნებში მოსახლეობა თავის კვების რაციონში შედარებით ნაკლებს მოიხმარს ასევე პურსა და შაქარს. ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ამ ქვეყნების მოქალაქენი ცილების საჭირო ოდენობას სახელდობრ ამ პროდუქტებიდან იღებენ და არ სჭირდებათ ნახშირწყლებით ისეთი მდიდარი პროდუქტების ჭარბად მიღება, რომელიც ხელს უწყობს მათ წონაში მომატებასა და

ჯანმრთელობის გაუარესებას. აქ ამავდროულად დიდი რაოდენობით მოიხმარენ ასევე ხილსა და ბოსტნეულს და თანაც ზრდიან მის მოხმარებას.

აქვე გვსურს მოვიტანოთ ის ფიზიოლოგიური ნორმები, რომლებიც მეცნიერების მიერ დადგენილია ადამიანის სწორი და ჯანმრთელი კვებისათვის. კერძოდ, საქართველოში მოქმედებს შემდეგი წლიური ნორმები:

პური და პურპროდუქტები	130 კგ
ხორცი და ხორცის პროდუქტები	55 კგ
რძე და რძის პროდუქტები	315 კგ
კვერცხი, ცალი	150
თევზი და თევზის პროდუქტები	10 კგ
მცენარეული ზეთი	6 კგ
კარტოფილი	50 კგ
ბოსტნეულ-ბაღჩეული	100 კგ
ხილი, კენკრა, ყურძენი	65 კგ
შაქარი	15 კგ

აღსანიშნავია, რომ ასეთი ნორმების პირობებში ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა შემდეგნაირად იკმაყოფილებს ამ პროდუქტებზე თავის მოთხოვნილებას:

პური და პურპროდუქტები	100.15%
ხორცი და ხორცის პროდუქტები	35.8%
რძე და რძის პროდუქტები	61.3%
კვერცხი, ცალი	83.7%
თევზი და თევზის პროდუქტები	21%
მცენარეული ზეთი	178.3%
კარტოფილი	95.4%
ბოსტნეულ-ბაღჩეული	58.4%
ხილი, კენკრა, ყურძენი	61.7%
შაქარი	112%

როგორც წარმოდგენილი მასალებიდან ჩანს, კანდიდატ ქვეყნებში ყველაზე სანიმუშოდ უნდა ჩაითვალოს ესტონეთი, როგორც მოხმარებული კვების პროდუქტების მოცულობების, ისე იმ ტენდენციის მიხედვით, რომელიც აქ საკვები პროდუქტების მოხმარების სფეროშია დასახული.

სრულიად განსხვავებულ, შეიძლება ითქვას, საპირისპირო მდგომარეობასა აქვს ადგილი შედარებით ღარიბ კანდიდატ ქვეყნებში. აქ კვების რაციონში ჭარბადაა წარმოდგენილი პური, შაქარი, კარტოფილი და ა. შ. ასეთი კანდიდატი ქვეყნების ტიპიური მაგალითია, როგორც ეს ზევითაც იყო აღნიშნული, ბულგარეთი და რუმინეთი.

რაც შეეხება საქართველოს, აქ მოთხოვნილება ნორმალურად კმაყოფილდება მხოლოდ პურსა და პურპროდუქტებზე და ასევე კარტოფილზე და შაქარზე. სხვა დანარჩენ პროდუქტებზე ფიზიოლოგიური ნორმები დარღვეულია. უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ ჩვენი მოსახლეობა ცილებით მდიდარი პროდუქტების მოხმარების ნაკლებობას ნახშირწყლებით უხვი პროდუქტებით, - პურით, შაქრით და ა.შ. ინაზღაურებს.

აქვე საინტერესოა ვნახოთ, თუ რა სახე აქვს ოჯახური მეურნეობების მთლიან დანახარჯებში ძირითადი პროდუქტების (მომსახურების) შესაძენად გაწეულ დანახარჯებს.

ცხრილი №45

ოჯახური მეურნეობების მთლიან დანახარჯებში ცალკეული პროდუქტების (მომსახურების) შესაძენად გაწეული საშუალო დანახარჯების ხვედრითი წილი, %-ში,
(მთლიანი თვიური დანახარჯები, პროცენტებში (ეროვნულ ვალუტაში) პროცენტულად მთლიანი დანახარჯების მიმართ)

ბულგარეთი

წლები	მთლიანი თეორი დანახარჯებ, პრაცენტებში (ერიენული ალიუტაში)	საკვები პროდუქტები და არაალკოჰოლური სასმელები	ალკოჰოლური სასმელებ, თამბაქო და ნარკოტიკები	ფეხსაცმელი და ტანსაცმელი.	სასმელი წყალი, ელექტრონა და სხვა საწვავი	აეროვი	ჯანმრთელობის დაცვაზე	ტრანსპორტზე	კომუნიკაციებზე
1999	80.75	41.4	4.8	7.1	15.9	4.4	3.9	7.6	-
2000	86	42.2	4.5	5.4	16.3	3.8	4.9	6.9	-
2001	91.08	43.3	4.2	4.6	15.7	3.7	5.1	6.9	-

ჩეხეთი

წლები	მთლიანი თეორი დანახარჯებ, პრაცენტებში (ერიენული ალიუტაში)	საკვები პროდუქტები და არაალკოჰოლური სასმელები	ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო და ნარკოტიკები	ფეხსაცმელი და ტანსაცმელი.	სასმელი წყალი, ელექტრონა და სხვა საწვავი	აეროვი	ჯანმრთელობის დაცვაზე	ტრანსპორტზე	კომუნიკაციებზე
1999	5975	23.2	3.4	7	17.5	7.7	1.6	11.3	-
2000	6085	23.2	3.3	6.7	18.4	7.2	1.6	10.6	-
2001	6508	22.8	3.1	6.7	18.6	6.9	1.7	11	-

ესტონეთი

წლები	მთლიანი თეორი დანახარჯებ, პრაცენტებში (ერიენული ალიუტაში)	საკვები პროდუქტები და არაალკოჰოლური სასმელები	ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო და ნარკოტიკები	ფეხსაცმელი და ტანსაცმელი.	სასმელი წყალი, ელექტრონა და სხვა საწვავი	აეროვი	ჯანმრთელობის დაცვაზე	ტრანსპორტზე	კომუნიკაციებზე
1999	1756	30	3.7	7.8	19.3	5.8	2.2	6.7	-
2000	2070	29	4	7.3	16.5	5.8	2.8	8.9	-
2001	2145	28.9	3.7	6.9	16.1	6	2.7	9.2	-

უნგრეთი

წლები	მთლიანი თეორი დანახარჯებ, პრაცენტებში (ერიენული ალიუტაში)	საკვები პროდუქტები და არაალკოჰოლური სასმელები	ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო და ნარკოტიკები	ფეხსაცმელი და ტანსაცმელი.	სასმელი წყალი, ელექტრონა და სხვა საწვავი	აეროვი	ჯანმრთელობის დაცვაზე	ტრანსპორტზე	კომუნიკაციებზე
1999	26772	35.2	4.1	6.4	21.6	3.9	5.5	8.2	-
2000	29694	34.9	4.2	6.3	20.2	4.5	6.2	8.8	-
2001	36155	34	4	6	20	4	6.3	9	-

ლატვია

წლები	მთლიანი თეთრი დანახარჯებ, პროცენტებში (ერთეული ევროტაში)	საკვები პროდუქტები და არაალკოჰოლური სასმელები	ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო და ნარკოტიკები	ფეხსაცმელი და ტანსაცმელი.	სასმელი წყალი, ელექტრონა და სხვა საწვავი	აეროკი	ჯანმრთელობის დაცვაზე	ტრანსპორტზე	კავშირგაბმულობაზე
1999	54.34	34.6	2.6	6.9	19.5	5.4	4.2	8	-
2000	57.49	33.3	2.9	7	18.5	5	4.5	8	-
2001	-	-	-	-	-	-	-	-	-

ლიტვა

წლები	მთლიანი თეთრი დანახარჯებ, პროცენტებში (ერთეული ევროტაში)	საკვები პროდუქტები და არაალკოჰოლური სასმელები	ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო და ნარკოტიკები	ფეხსაცმელი და ტანსაცმელი.	სასმელი წყალი, ელექტრონა და სხვა საწვავი	აეროკი	ჯანმრთელობის დაცვაზე	ტრანსპორტზე	კავშირგაბმულობაზე
1999	358	39.3	4.7	8.5	15	5	3.9	8.8	-
2000	339	37.7	4.5	7.5	15.6	4.5	4.8	8.7	-
2001	348	35.8	4.2	7.1	15.8	5.5	5	8.2	

პოლონეთი

წლები	მთლიანი თეთრი დანახარჯებ, პროცენტებში (ერთეული ევროტაში)	საკვები პროდუქტები და არაალკოჰოლური სასმელები	ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო და ნარკოტიკები	ფეხსაცმელი და ტანსაცმელი.	სასმელი წყალი, ელექტრონა და სხვა საწვავი	აეროკი	ჯანმრთელობის დაცვაზე	ტრანსპორტზე	კავშირგაბმულობაზე
1999	549.76	31.2	3.2	6.1	18.4	6.3	4.3	9.3	-
2000	599.49	30.8	3	5.5	17.9	5.9	4.4	9.9	-
2001	60972	31	3	5.3	18.8	4.9	4.5	8.8	-

როგორც მოტანილი ცხრილებიდან ჩანს, ოჯახური მეურნეობების დანახარჯების სტრუქტურა სხვადასხვა კანდიდატ ქვეყნებში სრულიად განსხვავებულია. კერძოდ, იმისდა მიხედვით, თუ რამდენად მდიდარია ქვეყანა, მის დანახარჯებში უფრო მაღალი ხვედრითი წილით არის წარმოდგენილი დანახარჯები ელექტროენერგიაზე (ცნობისათვის: ზოგი მეცნიერი ამა თუ იმ ქვეყნის მოსახლეობის კეთილდღეობის დონეს სწორედ ოჯახურ მეურნეობაში ელექტრომოწყობილობების რაოდენობით აფასებს) და ტრანსპორტზე, ჯანმრთელობის დაცვაზე და ა. შ.

საინტერესოა, რომ ოჯახური მეურნეობის ხარჯების განაწილებას საქართველოში შემდეგი სახე ჰქონდა:

ცხრილი №46

ოჯახური მეურნეობის ხარჯების განაწილება საქართველოში

	მთლიანი თვიური დანახარჯებ, პროცენტებში (ერიგნულ ვალუტაში)	საკვები პროდუქტები და არაალკოჰოლური სასმელები	ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო და ნარკოტიკები	ფეხსაცმელი და ტანსაცმელი.	სასმელი წყალი, ელექტრობა და სხვა საწვავი	ავეჯი	ჯანმრთელობის დაცვაზე	ტრანსპორტზე	კავშირგაბმულობაზე
2001	201.8	99.5	7.2	12.2	17.1	-	11.5	12.4	-

როგორც ვხედავთ, საქართველოში ოჯახური მეურნეობების დანახარჯების შემადგენლობა სრულიად განსხვავებულია კანდიდატი ქვეყნების ანალოგიური სტრუქტურისაგან. კერძოდ, ჩვენთან ხარჯების თითქმის ნახევარი მიდის საკვებ პროდუქტებზე, რაც არ შეიძლება ნორმალურ ვითარებად ჩაითვალოს.

ვინაიდან ოჯახური მეურნეობების საერთო დანახარჯებზე ვსაუბრობთ, რომელიც, ცხადია, თავის მხრივ ცალკეული საქონლის ფასებს ეყრდნობა, საინტერესოა იმის აღნიშვნაც, თუ როგორ შეიცვლება ისინი მომავალში, ანუ მას შემდეგ, რაც კანდიდატი ქვეყნები ევროკავშირში გაწევრიანდებიან.

ექსპერტები თანხმდებიან იმაში, რომ კანდიდატ ქვეყნებში ამჟამად არსებული ფასები გრძელვადიან პერსპექტივაში ევროკავშირის საშუალო ფასებს გაუთანასწორდება. საბოლოოდ ამ სფეროში ადგილი ექნება ისეთ ვითარებას, როგორსაც ამჟამად აქვს ადგილი თავად ევროკავშირში, სადაც ქვეყნებს შორის თითქმის სრულიად მოსპობილია განსხვავება ფასებში (ეს გარკვეული თვალსაზრისით დაკავშირებულია მთელ მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესების გავლენასთან). კანდიდატი ქვეყნების მოსახლეობა, რაც უფრო ადრე მოინდომებს დასავლეთ ევროპული ცხოვრების სტანდარტებით ცხოვრებას, მით უფრო მალე მოუწევს მას საქონელსა თუ მომსახურებაზე ისეთი ფასის გადახდა, როგორ ფასებშიც დასავლეთ ევროპელი იძენს საქონელსა თუ მომსახურებას. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ფასების ცვლილება ყველა საქონელს (მომსახურებას) თანაბრად როდი ეხება. მოსალოდნელია, რომ ფასების ცვლილება იმ საქონელზე, რომელზეც ფასები უკვე ლიბერალიზებულია, იქნება მინიმალური, მაშინ, როდესაც, მაგალითად, სასოფლო-სამეურნეო საქონელზე ფასები, ანუ ფასები იმ პროდუქციაზე, რომელთა წარმოებაც სუბსიდირებულია სახელმწიფოს მიერ, შეიცვლება მკვეთრად და ამასთან, მყისიერად.

კერძოდ, პოზნანის სოფლის მეურნეობის აკადემიის ექსპერტთა გამოთვლებით, პოლონეთის ევროკავშირში შესვლის შემდეგ ხორბალზე ფასები შემცირდება 18 პროცენტით; ეს იმ გარემოებით იქნება გამოწვეული, რომ ევროკავშირში ხორბლის შესყიდვის ფასები გაცილებით დაბალია, ვიდრე პოლონეთში. ცხადია, ხორბალზე ფასების შემცირება, თავის მხრივ, გააიაფებს ასევე ისეთ პროდუქციას, რომელიც მისგან იწარმოება.

სამაგიეროდ, პოლონეთში გაძვირდება შაქარი და ერთი კილოგრამი ამ პროდუქციის ფასი გახდება 2.40 ზლოტი, მაშინ, როდესაც იგი ამჟამად ღირს ერთი

ზლოტი და 80 გროში (გახსენებისათვის: 1$ უდრის დაახლოებით 4.40 ზლოტს). ცხადია, შესაბამისად გაძვირდება ის საკვები პროდუქტები და სასმელი, რომლის დასამზადებლადაც შაქარი გამოიყენება. სპეციალისტთა აზრით კი, ამგვარ პროდუქტთა ჩამონათვალი არც თუ ისე მცირეა.

პოლონეთში გაძვირდება ასევე რძე და რძის პროდუქტები. ცხადია, ესეც დიდ გავლენას მოახდენს გარკვეული ჯგუფის საქონელთა ფასებზე. თუმცა, როგორც იტყვიან, მედალს ორი მხარე აქვს: სამაგიეროდ შაქარზე ფასების ზრდა სტიმულს მისცემს პოლონელ ფერმერებს გაზარდონ იმ ნედლეულის წარმოების მასშტაბები, რომლის საფუძველზეც მზადდება შაქარი (იგულისხმება შაქრის ჭარხალი, რომლის უდიდეს მწარმოებელსაც პოლონეთი წარმოადგენს).

თუმცა ევროკავშირში მომსახურების უმრავლესი სახეების ღირებულება უფრო ძვირია, ვიდრე პოლონეთში და სხვა კანდიდატ ქვეყნებშიც, და შესაბამისად, ამ სახის

მომსახურების ფასები კანდიდატი ქვეყნების კავშირში გაერთიანების შემდეგ გაძვირდება, მაგრამ ამასთან, ამ ქვეყნებში არსებობს მომსახურების ისეთი სახეები, რომლებიც ამჟამად მონოპოლიზირებილია სახელმწიფოს მიერ ან მის გარკვეული სახის პროტექციით სარგებლობს და ან ზოგიერთ ოლიგარქიულ ჯგუფებს აქვთ ისინი ხელში ჩაგდებული; შესაბამისად, მოსალოდნელია, რომ მომავალში მათზე ფასები გაზრდის ნაცვლად – შემცირდება.

ასეთ საქონელს მიეკუთვნება მოსახლეობის გაზით, სხვა ენერგოშემცველებით მომარაგება, სარკინიგზო, სატელეფონო, საჰაერო ტრანსპორტით მომსახურება, ასევე საბანკო მომსახურება და ა. შ. გაიაფებასთან ერთად, კანდიდატი ქვეყნების ეროვნული მეურნეობების ამ სფეროებში ამაღლდება მომსახურების ხარისხი.

ექსპერტების ვარაუდით, პოლონეთის ევროკავშირში შესვლის შემდეგ, მოსალოდნელია, რომ იკლოს ფასებმა ალკოჰოლურ სასმელებზე და პირიქით – გაძვირდეს თამბაქოს ნაწარმი.

ექსპერტების ვარაუდით, მიუხედავად ფასების ზრდისა, გრძელვადიან პერსპექტივაში კანდიდატ ქვეყნებში ამაღლდება აგრეთვე ცხოვრების საერთო დონეც და იგი საშუალო ევროპულ ცხოვრების დონეს გაუთანასწორდება.

§18. საერთაშორისო ტურიზმი კანდიდატ ქვეყნებში

საერთაშორისო ტურიზმი კანდიდატ ქვეყნებში მნიშვნელოვან როლს თამაშობს როგორც საბიუჯეტო შემოსავლების სოლიდური წყარო და ასევე როგორც ცივილიზებულ მსოფლიოსთან და კერძოდ, ევროკავშირის ქვეყნებთან ინტეგრაციის ერთ-ერთი გზა. როგორც ვიცით, ევროკავშირის ქვეყნებში ყოველგვარი ვიზის გარეშე ხდება მოქალაქეთა ტურისტული ხასიათის გადაადგილება. თუ რა სახე აქვს საერთაშორისო ტურიზმს კანდიდატი ქვეყნებისათვის, ამის შესახებ წარმოდგენას შეგვიქმნის ქვემოთ მოტანილი ცხრილი:

ცხრილი №47

საერთაშორისო ტურიზმი
(ათასი ტურისტი)

ქვეყანა	1999	2000	2001
ხელოვარეთი	590	751	2075
კვიპროსი	_	2238	5656
ჩეხეთი	5610	4666	2129
ესტონეთი	704	825	30
უნგრეთი	2789	2992	7276
ლატვია	241	268	770
ლიტვა	293	299	851
პოლონეთი	3178	3122	7643
რუმინეთი	795	867	2202
სლოვენია	884	1090	2997
სლოვაკეთი	975	1046	2958

როგორც ვხედავთ, აბსოლუტური მაჩვენებლების მიხედვით, ტურისტული ბიზნესი ყველაზე კარგად განვითარებულია პოლონეთში, უნგრეთში, კვიპროსში. იგი შედარებით ნაკლებად არის განვითარებული ბალტიისპირეთის (ყოფილი საბჭოთა კავშირის) რესპუბლიკებში. სხვა მიზეზებთან ერთად, ცხადია, ამის ერთ-ერთი მიზეზად ამ ქვეყნებში ტურისტული ინფრასტრუქტურის არასაკმარისი განვითარება უნდა მივიჩნიოთ.

რაც შეეხება ტურისტების რაოდენობას ერთ მცხოვრებზე გაანგარიშებით, ამ მაჩვენებლით ყველას წინ უსწრებს კვიპროსი, 7.1 ტურისტი, შემდეგ მოდის სლოვენია – 1.5, ბულგარეთი – 0.63 ტურისტი, ჩეხეთი – 0.2 და ა. შ.

თანამედროვე საქართველოში ტურისტული ბიზნესი არა თუ განვითარებულია, არამედ მან ის პოზიციებიც დაკარგა, რომელიც მას ამ ათიოდე წლის წინ ეკავა. ამჟამად ჩვენი ქვეყანა 298.5 ათასი ვიზიტორით 2002 წელს მხოლოდ ესტონეთს უსწრებს წინ და ყველა დანარჩენ კანდიდატ ქვეყანას ჩამორჩება (როგორც ცხრილიდან ჩანს, ესტონეთში 2001 წელს გაურკვეველი მიზეზების გამო წინა წლებთან შედარებით, მკვეთრად არის შემცირებული ტურისტთა რიცხოვნობა).

§19. გადასახადები კანდიდატ ქვეყნებში

თითქმის ნების მიერ ქვეყანაში, განვითარებული იქნება იგი, თუ განვითარებადი, გარდამავალი თუ ევროკავშირის წევრობის კანდიდატი, ადამიანებს დაახლოებით ამგვარი სტერეოტიპები გაუჩნდათ გადასახადების მიმართ:

- გადასახადები მეტისმეტად მძიმე ტვირთს წარმოადგენს მეწარმისათვის;
- გადასახადები განსაკუთრებით მაღალია შრომით მიღებულ შემოსავალზე;
- მეტისმეტად მაღალი გადასახადები აიძულებს მეწარმეს თავი აარიდოს მის გადახდას;
- რეფორმები კიდევ უფრო ამძიმებს საგადასახადო ტვირთს;

- საგადასახადო ტვირთის შემცირება სტიმულს მისცემდა წარმოების აღმავლობას;

- რეაქცია გადასახადების შემცირებაზე (წარმოების ტემპების შემცირება, წარმოების „ჩრდილიდან გამოსვლა" და ა. შ.) მოკლე ხანში დაფარავდა გადასახადების შემცირებით გამოწვეულ ბიუჯეტის დანაკარგებს.

არსებობს ამის საწინააღმდეგო შეხედულებაც. მისი მიხედვით ძალიან ძნელია პირდაპირი, კორელაციური კავშირების დაჭერა გადასახადების სიდიდესა და წარმოების ტემპებს შორის და რომ ეს უკანასკნელი არა ნაკლებ არის დამოკიდებული ინფრასტრუქტურის განვითარებაზე, ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ სტაბილურობაზე და ა. შ. მრავალ ფაქტორზე.

როგორც ქვემოთ მოტანილი ცხრილიდან ჩანს, ამ უკანასკნელ მოსაზრებას მართლაც აქვს არსებობის უფლება. როგორც ცხრილი № 48-დან ჩანს, ბულგარეთში გაცილებით დაბალია თითქმის ნებისმიერი სახის საგადასახადო ნიხრი, მაგრამ ამის შედეგად ეკონომიკის განვითარების ტემპები ბულგარეთში სულაც არაა უფრო სწრაფი, ვიდრე ჩეხეთში.

ანალოგიურის თქმა შეიძლება ჩვენი ქვეყნის შესახებაც, სადაც როგორც ამავე ცხრილად ჩანს, საგადასახადო განაკვეთები სულაც არაა უფრო მაღალი, ვიდრე ევროკავშირის კანდიდატ ქვეყნებში.

ცხრილი № 48

საგადასახადო შემოსავლები ზოგიერთ
გარდამავალი ეკონომიკის ქვეყანაში 2001 წელს (%-ად მშპ-ს მიმართ)

ბულგარეთი	28.8
უნგრეთი	38.6
პოლონეთი	34.1
რუმინეთი	28.0
სლოვაკეთი	33.1
სლოვენია	37.9
ჩეხეთი	39.0
ესტონეთი	31.2
საშუალო (არაშეწონილი)	*33.8*
საქართველო	7.1*

უნდა აღინიშნოს შემდეგი: იმის გამო, რომ საქართველოში ასე დაბალია საგადასახადო შემოსავლები მთლიან შიდა პროდუქტთან შედარებით, იქმნება პრობლემები მთელი რიგი სოციალური პროგრამების განხორციელებაში. ბოლო წლებში აღნიშნული მაჩვენებელი თითქმის არ იცვლება; კერძოდ, 2000 წელს იგი შეადგენდა 7.3 პროცენტს, ხოლო გასულ, 2002 წელს – 7.2 პროცენტს.

ცხრილი № 49

ძირითადი გადასახადების ნომინალური განაკვეთები (%)

	დღგ (ძირითადი განაკვეთი)	მოგების გადასახადი	სოციალური გადასახადი 2001წ.	საშემოსავლო გადასახადი(მინიმალური/მაქსიმალური განაკვეთი)
ბულგარეთი	20	28	43	18/29
უნგრეთი	25	18	49	20/42
პოლონეთი	22	27	35	19/40
რუმინეთი	19	25	60	18/40
სლოვაკეთი	20	25	50	10/38
სლოვენია	20	25	38	17/50
ჩეხეთი	22	31	48	15/32
საქართველო	20*	20	28	12**

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ჩვენს მეზობელ რუსეთში დღგ ტოლია 20%-ის, მოგების გადასახადი 24 %-ის, სოციალური გადასახადი 33%-ის, ხოლო საშემოსავლო გადასახადი – 13 პროცენტის.

---

* საქართველოში დამატებული ღირებულების გადასახადი თავდაპირველად შეადგენდა 28 პროცენტს, შემდეგ 14%-მდე შემცირდა, ხოლო ახლა 20 პროცენტს შეადგენს.

** საქართველოში საშემოსავლო გადასახადთან დაკავშირებით ადგილი აქვს შემდეგს: 200 ლარამდე – დასაბეგრი შემოსავლის 12%; 201 ლარიდან – 350 ლარამდე – 24 ლარს + 200 ლარს ზევით შემოსავლის 15%; 351 ლარიდან – 600 ლარამდე – 46.5 ლარს + 350 ლარს ზევით შემოსავლის 17%; 601 ლარი და ზევით – 89 ლარს + 600 ლარს ზევით შემოსავლის 20%.

---

§20. საქართველოს ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები

დასასრულს, ერთგვარი შეჯამების სახით, ცხრილის ფორმით კიდევ ერთხელ გვინდა წარმოვადგინოთ ის ძირითადი ეკონომიკური მახასიათებლები, რომლებიც ბოლო წლებში საქართველოს ეკონომიკის განვითარებას დაახასიათებდა:

ცხრილი №50

მაჩვენებლები	1996წ.	1997წ.	1998წ.	1999წ.	2000წ.	2001წ.
მშპ ერთ სულ მოსახლეზე, აშშ დოლარი	662.3	777.2	787	611.1	662	694.4
რეალური მშპ-ს ზრდა, %	11.2	10.6	2.9	3	1.9	4.5
ინფლაცია,%	13.5	7.6	10.7	10.9	4.6	3.4
ბიუჯეტის დეფიციტი მშპ-თან მიმართებაში	-6.6	-6	-3.7	-4.5	-3.2	-2.7
საგარეო ვალი მშპ-თან მიმართებაში, %	44.2	41.6	45	58.2	51.1	47.6
საგარეო ვალი ბიუჯეტის შემოსავლებთა მიმართებაში, %	325.8	294.8	370.9	381.8	348.7	324.5
საგარეო ვალი მთლიან ექსპორტთან მიმართებაში, %	286.5	272.8	276	299.4	233.8	187.8
საგარეო ვალის მომსახურება მთლიან ექსპორტთან მიმართებაში, %	8.5	7.9	35.7	19.6	16.9	8.5
საგარეო ვალის მომსახურება მთლიან საგარეო ვალთან, %	3	2.9	12.9	6.5	7.2	4.5
მიმდინარე ანგარიში მშპ-თან მიმართებაში, %	-9.7	-13.9	-11.5	-6.9	-8.6	-6.6
სავალუტო რეზერვები იმპორტთან მიმართებაში, %	2.9	1.8	1.1	1.5	1.1	1.5
სავალუტო რეზერვების მიმართება საგარეო ვალის მომსახურებასთან, %	474.4	468.1	58.7	124.1	97.2	231.4
ეკონომიკური რეიტინგი, წონა ——————————— 70%	53.9	52.9	25	33.8	34.9	49.6
რისკის კატეგორია	D	D	F	E	E	D
პოლიტიკური რეიტინგი, წონა ——————————— 30%	50.0	50.0	50.0	50.0	50.0	50.0
ქვეყნის რეიტინგი	52.7	52	32.5	38.6	39.4	49.7
რისკის კატეგორია	D	D	E	E	E	D

წარმოდგენილი ცხრილი რამდენიმე სერიოზული დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა. ერთ-ერთი ეხება საგარეო ვალის შეფარდებას მშპ-თან. საფინანსო წრეებში მიღებულია, რომ საგარეო ვალის შეფარდება მშპ-თან 35%-ს გადასცილდა, ასეთ მდგომარეობა მოცემული ქვეყნისათვის კრიტიკულად ითვლება. ცხრილში წარმოდგენილი მაჩვენებლებიდან კი ჩანს, რომ საქართველოში აღნიშნული მაჩვენებელი კრიტიკულ ზღვარს დიდი ხანია, რაც გადაცილდა და ბოლო 4 წელია, რაც მშპ-ს 45%-ის ქვევით არ ჩამოდის.

ბოლო წლებში გარკვეულად გამოსწორდა მდგომარეობა საგარეო ვალის საექსპორტო შემოსავლებთან დაკავშირებით. კერძოდ, მიღებულია, რომ თუ საგარეო ვალი საექსპორტო შემოსავლებს 2-ჯერ და მეტჯერ აღემატება, ასეთ დროს ქვეყანა უკვე საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში იმყოფება. ცხრილიდან კი ჩანს, რომ თუმცა ბოლო წლებში საგარეო ვალი საექსპორტო შემოსავლებს 2-ჯერ და მეტჯერ აღემატებოდა, მაგრამ 2001 წელს მდგომარეობა ამ მხრივ შედარებით გამოსწორდა.

როდესაც ეროვნულ მეურნეობაზე ვსაუბრობთ, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში შეფერხებები მხოლოდ თავად ამ სფეროში წარმოშობილი სირთულეებით როდია გამოწვეული. იგი წარმოიშვება (ან არ წარმოიშვება, გააჩნია ქვეყანას), უფრო ადრე და უფრო წინა ეტაპზე. მაგალითად, საწყის ეტაპზე, მაშინ, როდესაც ახალი საწარმოს დაფუძნებახდება. იმაზე, თუ ხელისუფლების ორგანოები როგორ უწყობენ ხელს (ან პირიქით, აფერხებენ) ახალი საწარმოების დაფუძნებას, დიდადაა დამოკიდებული ამ საწარმოს შემდგომი

საქმიანობა. ამ ბოლო დროს საქართველოში ამ მხრივ გარკვეული სამუშაოები იქნა შესრულებული. აღნიშნულის შედეგად მნიშვნელოვნად გაიოლდა ახალი ფირმის ჩამოყალიბება. ეს კი არ შეიძლება დადებით გავლენას არ ახდენდეს ქართული (და არა მხოლოდ) ფირმების შემდგომ საქმიანობაზე.

ცხრილი №51*

ახალი საწარმოს დაფუძნების სირთულეები

ქვეყანა	საჭირო დოკ.რაოდენ.	მოცდის ვადები (დღე)	ხარჯ.(პროცე.ქვეყნის მშპ-დან ერთ სულზე)
საშუალოდ 75 ქვეყ.	10.2	10.2	0.34
პოლონეთი	10	10	0.28
საქართველო	9	9	0.28

ეკონომიკის მიზნობრივსა და ეფექტურ საქმიანობაზე უდიდეს გავლენას ახდენს ისიც, თუ რამდენად არის დამოკიდებული ამა თუ იმ ქვეყანაში ცალკეულ კორუფციულ ჯგუფებზე ხელისუფლების სხვადასხვა სფეროები. ქვემოთ მოტანილი ცხრილი სწორედ ამის შესახებ უქმნის მკითხველს გარკვეულ წარმოდგენას. კერძოდ, ცხრილიდან ჩანს, რომ ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ ბევრი რამაა გასაკეთებელი, რათა ხელისუფლების უმაღლესმა ორგანოებმა ცალკეული ,,ლობების'', ხშირ შემთხვევაში მავნე გავლენა, აიცილონ თავიდან.

ცხრილი №52*

,,სახელმწიფოს დამორჩილება'' (მოსყიდვა) და ადმინისტრაციული კორუფცია ქვეყნების მიხედვით

	საპარლამ. განრ.	პრეზ. ხრმ.	ცენტრ. ხანგრ	სხვ. სამ. საქ.	სამოქ.საქმე.	,,დამორჩილების'' ინდექსი საშუალო	ქრთაში, როგორც პროცენტი გაშპ.შემოსა.
ხელფარეული	28	26	28	28	19	28	2.1
უნგრეთი	12	7	8	5	5	7	1.7
საქართველო	29	24	32	18	20	24	4.3
ლატვია	40	49	8	21	26	30	1.4
ლიტვა	15	7	9	11	14	11	2.8
პოლონეთი	13	10	6	12	18	12	1.6
რუმინეთი	22	20	26	14	17	21	3.2
სლოვაკეთი	20	12	37	29	23	24	2.5
სლოვენია	8	5	4	6	6	7	1.4
ჩეხეთი	18	11	12	9	9	11	2.3
ესტონეთი	14	7	8	8	8	19	1.6
საერთო	24	21	25	18	20	21	3.0

ალბათ ჩვენი მსჯელობა სრულყოფილი არ იქნება, თუ კიდევ ერთი საკითხის შესახებ არ გავამახვილეთ ყურადღება. ეს არის კანდიდატი ქვეყნების რეიტინგი ადამიანისეული პოტენციალის განვითარების ინდექსის მიხედვით 2002

წლისათვის. ამ რეიტინგის მიხედვით მსოფლიო ქვეყნების მიხედვით კანდიდატი ქვეყნებიდან ყველაზე მაღალ ადგილს იკავებს სლოვენია - 29, მალტა – 30, ჩეხეთი – 33, უნგრეთი – 35, სლოვაკეთი – 36, პოლონეთი – 37, ესტონეთი – 42, ლიტვა – 49, ლატვია – 59, ბულგარეთი – 62 და რუმინეთი – 63 ადგილი. რაც შეეხება საქართველოს, იგი ამ მაჩვენებლის მიხედვით 81 - ე ადგილზეა.

---

*) წიგნიდან ,,გავლენიანი ჯგუფები და კორუფცია", რომან გოცირიძე და ოთარ კანდელაკი, თბ. 2001

---

§21. დასასრულის მაგიერ, ანუ რელიგია და ეკონომიკა, ესტონეთი - პროტესტანტული აღმსარებლობის ქვეყანა ლიდერობს

ახლა, როდესაც დავამთავრეთ წინამდებარე ნაშრომზე მუშაობა, შეიძლება ვთქვათ, რომ მთელი წინამდებარე ანალიზი სხვა დასკვნებთან ერთად, ერთი ასეთი დასკვნის გაკეთებისკენაც გვიბიძგებს:

ყველა იმ ქვეყანას შორის, რომლებმაც უარყვეს სოციალისტური განვითარების გზა, კაპიტალისტური მეურნეობის აშენება დაიწყეს და რომელთაც აქვთ შანსი, უახლოეს მომავალში ევროკავშირშიც გაერთიანდნენ, გარკვეული თვალსაზრისით ესტონეთი ლიდერობს.

ამიტომ, როდესაც იმ ფაქტორებზე ვფიქრობთ, რომელმაც ესტონეთის ამგვარი ეკონომიკური აღმავლობა გამოიწვიეს, სხვა ფაქტორებთან ერთად და იქნებ მათზე უწინ, ჩვენს გონებაში რელიგიური ფაქტორი ამოტივტივდება ხოლმე. იქნებ სწორედ ეს ფაქტორიც განაპირობებს ყოვლის უწინარეს ამ ქვეყნის ამგვარ უჩვეულო დაწინაურებას?!

სხვათაშორის, მრავალი მეცნიერის შეხედულებით, რელიგიურ აღმსარებლობას უდიდესი გავლენა აქვს საზოგადოების შრომის კულტურაზე, შრომის ორგანიზაციის ფორმაზე და როგორც ლოგიკური შედეგი, შრომის საბოლოო ეფექტიანობაზე. მათი აზრით, რელიგია საუკუნეების მანძილზე აყალიბებდა ადამიანში იმგვარ ჩვევებს, რასაც არ შეიძლება თავისი გავლენა არ მოეხდინა შრომისადმი მათ დამოკიდებულებაზე.

ამგვარ სწავლულთა შორის განსაკუთრებით გამოირჩევა ავსტრიელი მეცნიერი, ეკონომისტი და სოციოლოგი მაქს ვებერი. კერძოდ, აი, რას წერს იგი თხზულების, ,,პროტესტანტული ეთიკა და კაპიტალიზმის სული" – ქვეთავში, რომელსაც სათაურად ,,აღმსარებლობა და სოციალურ ფენებად დაყოფა" აქვს:

,,სხვადასხვა აღმსარებლობის მქონე ადამიანებით დასახლებული ნებისმიერი ქვეყნის პროფესიული სტატისტიკის გაცნობისას აუცილებლად იპყრობს ჩვენს

ყურადღებას ერთი მოვლენა, რომელიც არაერთხელ გამხდარა მსჯელობის საგანი გერმანიის კათოლიკურ პრესასა და ლიტერატურაში და ასევე კათოლიკურ ყრილობებზე. ჩვენ მხედველობაში გვაქვს პროტესტანტების უეჭველი უპირატესობა მეწარმეთა და კაპიტალის ყველა მფლობელსა, და ასევე მაღალი კვალიფიკაციის მქონე მუშათა შორის, უპირველეს ყოვლისა კი, თანამედროვე საწარმოს ტექნიკურსა და კომერციულ პერსონალს შორის. ეს თავის გამოხატულებას პოულობს სტატისტიკურ მაჩვენებლებში არა მხოლოდ იქ, სადაც განსხვავება რელიგიურ აღმსარებლობაში ემთხვევა ეროვნულს და ამით, განსხვავებას კულტურული განვითარების დონეში. ეს თვალსაჩინოა ასევე, მაგალითად, აღმოსავლეთ გერმანიაში მისი გერმანული და პოლონური მოსახლეობით, და საერთოდ, თითქმის ყველგან…" და შემდეგ …„ამ შემთხვევაში გარკვეულ აღმსარებლობისადმი მიკუთვნებულობა გამოდის არა როგორც ეკონომიკური მოვლენების მიზეზი, არამედ გარკვეულ დონემდე როგორც მისი შედეგი…". სხვა ადგილას მ. ვებერი შემდეგსა წერს:„ხელოსნობაში დასაქმებული კათოლიკეები უფრო მიდრეკილნი არიან დარჩნენ ხელოსნებად მოცემული ხელობის შიგნით, მაშინ, როდესაც პროტესტანტების უდიდესი უმრავლესობა მიისწრაფის მრეწველობისაკენ, სადაც ისინი ავსებენ საწარმოს მოსამსახურეთა და კვალიფიციურ მუშათა რიგებს..."

კიდევ ერთი საინტერესო პასაჟი ამავე მეცნიერის აღნიშნული ნაწარმოებიდან: „…კათოლიკებისათვის დამახასიათებელი „გაუცხოება სამყაროსაგან", მისი მაღალი იდეალების ასკეტურ ხასიათს მის მიმდევრებში უნდა გამოეწვია გულგრილობა მიწიერი სიკეთეთადმი…"

ჩვენ ვწყვეტთ ამონარიდების მოტანას გამოჩენილი გერმანელი მეცნიერის გენიალური თხზულებებიდან და გვსურს დავარწმუნოთ მკითხველი, რომ მ. ვებერი, ალბათ როგორც იშვიათი მეცნიერი, აშკარად ხედავს პირდაპირ კავშირებს ადამიანთა რელიგიურ აღმსარებლობასა და შრომისადმი მათ დამოკიდებულებას შორის.

სხვათაშორის, კათოლიციზმსა და პროტესტანტიზმს შორის ზოგიერთ პრინციპულ განსხვავებულობაზე თავისი აზრი აქვს გამოთქვამული დიდ ფრანგ განმანათლებელს ჟან ჟაკ რუსსოს. კერძოდ, თავის „აღსარებაში" იგი შემდეგს წერს: „პროტესტანტები, როგორც წესი, არიან გაცილებით განათლებულნი, ვიდრე კათოლიკები. ეს გასაგებიც არის. პირველთა განათლების სისტემა მოითხოვს განსჯას, ხოლო მეორეთა – დამორჩილებას.

ამავე თემაზე, თითქმის ანალოგიურ შეხედულებას სხვა მეცნიერებიც გამოთქვამენ. მათ შორის გვინდა გამოვყოთ მეცხრამეტე საუკუნის ცნობილი რუსი მეცნიერი, პოლიტოლოგი ალექსანდრე ტურგენევი (მწერალ ივან ტურგენევში არ აგვერიოს). კერძოდ, თავის წიგნში „პოლიტიკური პროზა" (მოსკოვი, 1989 წელი, რუსულ ენაზე) იგი შემდეგსა წერს: „რაც შეეხება პროტესტანტებსა და კათოლიკებს, თქმა არ უნდა, რომ პირველნი გაცილებით ჭკვიანნი და შრომისმოყვარენი არიან, ვიდრე მეორენი. მათმა თავისუფალმა აზროვნებამ, გათავისუფლებულმა ცრუმორწმუნეობისაგან, პროტესტანტები გაცილებით დაახლოვა

განმანათლებლობას, რის შედეგადაც ისინი ახერხებენ სხვათა აღმოჩენებით სარგებლობას, მაშინ, როდესაც კათოლიკებს, ძველებურად უცოდინრად დარჩენის გამო, საშუალება არ ეძლევათ წარმატებებს მიაღწიონ განათლების სფეროში. კათოლიკებს საკმარისი დროც კი არა აქვთ, რათა ისინი ისეთივე შრომისმოყვარენი იყვნენ, როგორც პროტესტანტები. მათ მრავალი დღესასწაული აქვთ და ნაცვლად იმისა, რომ მინდორზე სამუშაოდ მიდიოდნენ, ეკლესიაში მიდიან. საკმარისია შეხედოთ მინდვრებს, რომლებიც დამუშავებულია პროტესტანტებისა და კათოლიკების მიერ, რომ იგრძნოთ განსხვავება. შემდეგ ავტორი წერს წინადადებას, რომლის ზუსტი ქართული შესატყვისი არ მოგვეპოვება, ამიტომ ეს წინადადება რუსულად მოგვაქვს: „ნო კატოლიკი სიდიატ უ ბოგა ზა პაზუშკოი" და აგრძელებს: გერმანიაში მთელი სამხრეთი მხარე კათოლიკებით არის დასახლებული, ხოლო ჩრდილოეთი ძირითადად – პროტესტანტებით. მიწის ბუნებრივი ნაყოფიერება პირველებს უმსუბუქებს შრომას. მათ ყველგან მშვენიერი მიწები შეხვდათ: იტალია, საფრანგეთი, ესპანეთი ანუ, უკეთესია თუ ვიტყვით, რომ ყველა ცხელ ქვეყნებში, სადაც ტვინი ზარმაცია და არც თუ ისე მოქნილი, შემორჩა კათოლიციზმი; ჩრდილოეთმა და არა სამხრეთმა გერმანიამ წარმოშვა ლუთერი (მარტინ ლუთერი, - უდიდესი გერმანელი რეფორმატორი, როგორც რელიგიური მოძღვრების, ისე გერმანული სალიტერატურო ენის. როგორც ამბობენ, თანამედროვე გერმანულ ენას ლუთერმა მისცა საწყისი ბიბლიის ლათინურიდან ახალგერმანულ ენაზე თარგმნით. ა.გ.). იქ და არა სამხრეთში ჰქონდა განსაკუთრებული წარმატება მის მოძღვრებას" (იხ. დასახ. ნაშრომი, გვ. 130-131).

ცხადია, ამგვარი დამოკიდებულება არსებობს არა მხოლოდ პროტესტანტებსა და კათოლიკეებს, არამედ მსოფლიოში არსებულ ყველა სხვა ძირითად რელიგიებს შორის (ქრისტიანობის გარდა მაჰმადიანობაში, ბუდიზმში, ინდუიზმში, იუდაიზმში და სხვ.).

სამწუხაროდ, მართლმადიდებლური რელიგია ამ ასპექტით ჯერჯერობით კარგად არ არის გამოკვლეული და შესწავლილი. თუმცა საკითხის ამგვარად დაყენების მცდელობა უკვე იყო. მაგალითად, თანამედროვე მართლმადიდებლური მსოფლიოს პატრიარქმა ბართლომე პირველმა განაცხადა, რომ მართლმადიდებლებს შესაფერიოს დონეზე არა გვაქვს შესწავლილი საკითხები, რომლებითაც ვაჩვენებთ, პოლიტიკური ეკონომიკის რომელი მიმართულება მომდინარეობს ჩვენი ანთროპოლოგიიდან, ასკეტიზმიდან და ცხოვრებისეული ტრადიციებიდანო. უნდა ითქვას, რომ ეს არის პირველი შემთხვევა მართლმადიდებლური რელიგიის ისტორიაში, როდესაც მართლმადიდებლობა რელიგიური კონკურენციის სიტუაციაში თვითგანსაზღვრისა და საკუთარი მდგომარეობის გააზრების წინაშე დგას და იგი ამას აღიარებს.

ცხადია ისიც, რომ ამგვარი დამოკიდებულება რელიგიური აღმსარებლობასა და ეკონომიკურ წინსვლაზე იარსებებს გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებს და მათ შორის, ევროკავშირში გაწევრიანების კანდიდატ ქვეყნებს შორისაც, რამაც ჩვენ

გადაგვაწყვეტინა ამ კუთხითაც შეგვეხედა ამ ქვეყნების განვითარების პრობლემისათვის.